

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-  
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება  
ცოდნის“ ჟურნალი

# სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის  
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ  
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა  
ხოლმე“



№20-21  
2013

ჟურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

### სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის ძალით აკრძალულია. ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

**ნუგზარ წერეთელი (მთავარი რედაქტორი),**

**ნოდარ ზედელაშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი),

გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიციანი, ნიკო ლეონიძე, თეა მამარდაშვილი, ტარიელ სტურუა, ნოდარ ცხვირაგაშვილი, ალექსი ჭელია, ნინო წერეთელი.

**რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.**

**საკონტაქტო ტელეფონები:**

**299-00-35, 299-94-46, 293-43-10**

**577-52-31-31, 555-39-28-83**

ISSN 1987-7449

Ÿ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

## შინაარსი

|   |   |
|---|---|
| 1. შესავალი – საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოებრივი ცოდნაში“ ..... | 4 |
|---|---|

### *მხატვრული ლიტერატურა*

|  |    |
|--|----|
| 2. ნუზარ ჯერეთელი – გზები წყვდიადში (IV თავი) .....                              | 8  |
| 3. ემზარ კვიციანიშვილი – გურამ რჩეულიშვილის ლეგენდა არასდროს დასრულდება .....    | 32 |
| 4. მიხეილ ხანდუკელი - მოგონება, ლექსები .....                                    | 46 |
| 5. ნინო ჩხეიძე – რეზო მირცხულავას „მთავრის მოტაცება“ მარჯანიშვილის თეატრში ..... | 59 |

### *ახალგაზრდების შემოქმედება*

|                                 |    |
|---------------------------------|----|
| 6. ანა კუჭუხიძე – ლექსები ..... | 66 |
|---------------------------------|----|

### *კომეზია*

|   |    |
|---|----|
| 7. ვაჟა ჟღერტი – ლექსები .....  | 70 |
| 8. ნუზარ ჯერეთელი – გამოუქვეყნებელი ლექსების რვეულებიდან და ციკლიდან „პროზა ლექსებად“ ..... | 76 |

### *მოგონებები*

|   |     |
|---|-----|
| 9. სიკეთით სავსე კაცი – .....           | 98  |
| 10. სერბო შუღრა – მოგონება მამაზე ..... | 112 |

## საქართველოს სამართაშორისო „საზოგადოება ცოდნაში“



საქართველოს „საზოგადოება ცოდნა“, რომლის სრული აბრევიატურა ასე გამოიყურება: საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“, 1947 წლის მაისიდან არსებობს და ფუნქციონირებს. 3-4 წელიწადში დაარსებიდან სამოცდაათი წლისთავის საიუბილეო თარიღიც აღინიშნება. განვლილი ორმოცდაათზე მეტი წლის მანძილზე საზოგადოება „ცოდნა“ წარმატებით ხელმძღვანელობდა ქვეყანაში ლექციური პროპაგან-

დისა და სახალხო უნივერსიტეტების ფართო ქსელს, ქალაქებისა და რაიონების გარდა ყველა სოფელში ათასობით მაღალკვალიფიციური ლექტორთა ძალებით შედიოდა, ხელს უწყობდა ხალხის თვითგანვითარებას, პოპულარულად უხსნიდა ყველა სიახლეს, აცნობდა ეროვნული ლიტერატურის, მეცნიერებასა და ხელოვნების სიახლეებს, პასუხობდა ყველა სახის მწვავე შეკითხვას. საინფორმაციო ურთიერთობების ასეთი ფორმა ხალხს მოსწონდა, მოთხოვნილებაც საკმაოდ დიდი იყო, წლის მანძილზე „საზოგადოება ცოდნის“ ათასობით რეგისტრირებული ლექტორი რესპუბლიკაში ორასი ათასამდე ლექციას კითხულობდა, ან საფუძვლიან ახსნა – განმარტებით საუბარს ატარებდა. ამავე დროს „ცოდნის“ ხაზით გამოდიოდა 120-ზე მეტი დასახელების ბროშურა ეროვნული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროდან, საიდანაც ხალხს პოპულარულად განმარტებოდა უამრავი პრობლემა, ასევე გამოდიოდა ჟურნალების სერია საერთო სათაურით „კითხვა. პასუხი. პრობლემა“, რაც საზოგადოებრიობაში პოპულარობით სარგებლობდა.

1991-1995 წლების მძიმე არეულობის წლებში „საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობა საგრძნობლად გართულდა, მაგრამ მაინც მთელი მონღოებით მიმდინარეობდა. იმ პერიოდ-

ში უკვე საკმაოდ დაუძღვრებული სახელმწიფო მაინც გვიწევდა ყველა სახის შესაძლო დახმარებას. 1994 წლიდან ქთბილისის ღრმა ცენტრში არსებული და „ცოდნის“ ცენტრალური საბჭოს მიერ დაფინანსებული ჩვენი შენობა გადმოგვეცა ფლობისა და განკარგვის უფლებით, 1998 წლიდან კი უკვე სრულ საკუთრებაში, პირად ბალანსზე აყვანით. 1994 წლიდანვე სახელმწიფომ „ცოდნა“ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა, რაც დიდად უწყობდა ხელს „ცოდნის“ ყოველდღიურ მუშაობასა და საქმიანობის აღმავლობას. 2002 წლიდან, მაშინ ჯერ კიდევ ახლადდანიშნულმა ფინანსთა მინისტრმა „საზოგადოება ცოდნა“ ერთ-ერთი პირველი ამოიღო აღნიშნული დაფინანსების სიიდან და ორგანიზაცია უსახსროდ დარჩა. ამას ზედ დაერთო მომდევნო წლებში ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი ზემდგომი ორგანოების ყურადღების მკვეთრი შესუსტება, რამაც ბუნებრივია, მძიმედ იმოქმედა „ცოდნის“ სალექციო-საინფორმაციო მოღვაწეობაზეც და ეს დიდი, წლობით აპრობირებული საქმე ჩაშლის პირამდის მიიყვანა. უკვე აღარ იყო სახსრები საზოგადოების გამოჩენილი ლექტორები, რომელთა რიგებშიც იყვნენ აკადემიკოსები, პროფესორები, დოქტორები, მწერლები, ყველა დარგის თვალსაჩინო სპეციალისტები, მივლინებით გაგვეგზავნა ქვეყნის რაიონებსა და სოფლებში ხალხთან შესახვედრად და ხალხთან გულთბილი, გუ-

ლახდილი საუბრებისათვის. ამიტომაც იყო, რომ „საზოგადოება ცოდნა“ დააღვა საკუთარი წესდებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მოღვაწეობისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის ხელის შეწყობის მომიჯნავე და ასევე აპრობირებულ გზას.

ჯერ კიდევ 1950 წლიდან „საზოგადოება ცოდნაში“ ფუნქციონირებდა სამედიცინო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი. როგორც აღვნიშნეთ, მაშინ და შემდგომ წლებში ქვეყნის ოლქებისა და რაიონების მასშტაბით 150-ზე მეტი სახალხო უნივერსიტეტი მოქმედებდა, რომელთა შექმნაც და ხელმძღვანელობაც ქვეყნის მთავრობის დადგენილებით მთლიანად „საზოგადოება ცოდნას“ ევალებოდა. ორი და სამი წლის სწავლების შემდეგ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სახალხო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს ოფიციალური უწყებრივი და არა სახელმწიფო დიპლომებიც ეძლეოდათ, რაც მათ ხელს უწყობდათ ზოგადი განათლების მიღებაში და სამსახურებრივ წინსვლაშიც გარკვეულწილად ეხმარებოდათ, რადგან მაშინ ამ სახის საზოგადოებრივი პროექტების განხორციელება სავალდებულო და საპატიო სფეროს წარმოადგენდა,

1993 წლიდან „საზოგადოება ცოდნაში“ წარმატებული ფუნქციონირება დაიწყო ატესტირებულმა სამედიცინო კოლეჯმა, რომელიც 2000 წლიდან უმკაცრესი ატესტაციის გავლის შემდეგ უნივერსიტეტიც იყო და სასწავლო უნივერსიტეტიც.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესმა აკადემიურმა სასწავლებელმა უკვე ნაყოფიერი გზა განვლო. მან წარმატებით გაიარა ყველა საფეხური და ბარიერი, მიიღო ატესტაცია, ავტორიზაცია, მიმდინარე წელს კი განმეორებითი აკრედიტაცია მოიპოვა ხუთი წლის ვადით, ამავე დროს მივიღეთ ავტორიზაცია პროფესიული მიმართულებითაც. აქ მედიცინის პირველი საფეხურის მაღალკვალიფიციური მუშაკებიც მომზადდებიან, რაზედაც ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლეს აკადემიურ სასწავლებელში ასწავლიან ჩვენი ქვეყნის ფარმაციის ხაზით მომუშავე საუკეთესო, ძლიერი, მაღალკვალიფიცირებული კადრები, სრული და ასოცირებული პროფესორები, რომელთაც ცნობილი პრაქტიკული ფარმაცევტების თაობები ჰყავთ აღზრდილი. მაღალი დონის განათლების მიღებასთან ერთად ისინი რექტორატისა და ადმინისტრაციის მხარდამხარ სითბოსა და ყურადღებას არ აკლებენ მომავალ ფარმაცევტებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი აკადემიური სასწავლებლის კურსდამთავრებულები დასაქმების ანუ სამსახურში მოწყობის

ბის ძალიან მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევიან. ჩვენთან ბაკალავრის სახელმწიფო დიპლომები უღებები მუშაობენ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, საქართველოში კი პსპ-ს სისტემის აფთიაქებში, წამლის სააგენტოში თუ ეროვნული ფარმაციის სხვა ცენტრებში.

საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნაში“ ფუნქციონირებს გამომცემლობა, სადაც იბეჭდება ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების სახელმძღვანელოები, შრომები ფარმაციის სფეროდან, სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „ცოდნაშივე“ გამოდის სქელტანიანი (150-200გვ.) ჟურნალი „სიტყვა“, სადაც ხშირად იბეჭდება პროფესორებისა და სტუდენტების შრომები, მხატვრული შემოქმედების ნიმუშები, ლექსები და მოთხრობები, ნარკვევები და ჩანახატები.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ დგას ახალი პრობლემების, ახალი გამოწვევების წინაშე და მონდომებით ცდილობს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმართოს ყოველდღიური საქმიანობა.

*საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-  
საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება  
ცოდნის“ გამგეობა*



## „ბზები წყვდიადში“

## IV თავი

გიგა მაჩაბელი სამსახურში მივიდა თუ არა, ტელეფონის ზარმაც დაიწვრილა. ყურმილი უხალისოდ აიღო, გაიფიქრა ამ დილაადრიან ვინ ოხერი რეკავსო.

- გამარჯობა, გიგას ჭირიმე, ძლივს არ დაგიჭირე, ბევრი კი ვიწვალე რჯულის მადლმა, წუხელ ღამით სახლში გირეკავდი, არ იყავი, ამიტომაც დილაადრიან დაგირეკე, ძალიან მომენატრე, დაგენაცვლე.

- ვაა, ზებო, მართლა ძალიან გამიხარდა შენი ხმის გაგონება, როგორა ხარ, როდის ჩამოხვედი, შვილები, რივა როგორ არიან? ბევრჯერ ვცადე შენთან დარეკვა, ვერაფრით ვერ გამოვედი, სოხუმში დარეკვა ურთულესი საქმე გახდა.

- ეგერა ძმაო, ცხოვრება რომ აინგრ-დაინგრევა, აღარც ტელეფონს აქვს ფასი, და ზოგჯერ, შენ წარმოიდგინე, აღარც ცხოვრებას.

- რას შევები, სად ხარ, რამდენი ხნით ჩამოხვედი.

- სპეცდავლებით ჩამოვედი სამი დღით, ახლა სახლში ვარ, რომ გნახავ ყველაფერს გეტყვი, გავრბივარ საგარეჯოში და გურჯაანში, საღამოს სახლში ვიქნები, რვა საათისთვის წამოიყვანე ორი-სამი ჩვენი ბიჭი და მესტუმრეთ, კარგ ვახშამს მოვამზადებინებ, თან შარშანდელი ტობე ქაშერი ღვინო დავლიოთ, დარდები ცოტათი მაინც გადავიყაროთ, სახლი ხომ არ დაგვიწყებია, სინაგოგის უკან იდგა და დგას.

- შენს სახლს რა დამავიწყებს. რვა საათისთვის დაუგვიანებლად მოვალთ, შენც მომენატრე და შენთან ლაპარაკიც.

ცხრა საათი იწყებოდა, როცა დანიშნულების ადგილზე მივიდნენ. ზებო უკვე მეორე სართლის აივნიდან იცქირებოდა, სახლისკენ მომავალ ვიწრო ქუჩას ზვერაგდა. დაინახა თუ არა ბიჭები, კიბე სასწრაფოდ ჩაირბინა და მეგობრებს რკინის ჭიშკართან გადაეხვია.

- როგორა ხართ, ძალიან მომენატრეთ, ყოჩაღ თქვენ, რომ არ დაიგვიანეთ. გიგას თან საშა ყაფლანიშვილი, გურამ მაკალათია და ედიშერ სულხანიშვილი მიეყვანა, რითიც დიდი ხნის უნახავი ზებო ძალიან გაახარა.

- ჩემი ცხინვალი და თბილისი მომენატრა, სოხუმში ოცდაათი წელია, რაც ვცხოვრობ, ძალიან მიყვარს, სხვაგან ცხოვრება ვეღარც კი წარმომიდგენია, მაგრამ პირველი, ამ შემთხვევაში თუგინდ სიყვარული ვთქვათ, მაინც სხვა რამეა, ცხინვალი ჩემი სიყრმეა, თბილისი - ახალგაზრდობა, სტუდენტობა, სოხუმი - მთელი ცხოვრება, ჩემთვის ყველა ძალიან ძვირფასია და დაუვიწყარი.

- შენ კი არა, ცხინვალი მეც მენატრება, სადაც ოთხი წელი ვცხოვრობდი და ვსწავლობდი, შენ კი თვრამეტი წელი, განსხვავება დიდია.

- ამიტომაც ჩემს უპირველეს სამშობლოდ ცხინვალს ვთვლი.

ამ ლაპარაკში გაწყობილ სუფრასაც მოუსხდნენ. მოულოდნელად ჩამოვარდნილი დიდი გაჭირვების დროს მსგავს ძვირფას სუფრებს გადაჩვეულები სიამოვნებით შეექცნენ შემწვარ-მოხარშულს. თამადად გურამ მაკალათია აირჩიეს, ისიც მონღოებით შეუდგა ტრადიციული სადღევრძელოების წართოქმას.

გიგა და ზებო გვერდიგვერდ იხსდნენ, ყოველ თავისუფალ წუთს სალაპარაკოდ იყენებდნენ, ხშირად სადღევრძელოების დროსაც კი ვერ ჩერდებოდნენ, რისთვისაც თამადის მეგობრულ შენიშვნებსაც იღებდნენ.

- რა ხდება ზებო, რა ამბავია, ერთი დაწვრილებით მომიყევი, პირველი პირისგან ანუ უშუალო მონაწილისგან ვითარების გაგება მართლა საინტერესოა.

- ჯერ ამ მივლინებიდან დავიწყებ. წლის დასაწყისში აფხაზეთის ხელმძღვანელობამ გამოგვიძახა, ვიყავით მე და ჩემი უშუალო უფროსი, რუფეთ მიჭანბა, სინამდვილეში წმინდა წყლის ლოთი, უსაქმური. კაბინეტში დაგვხვდნენ ჩვენი კურატორი მინისტრთა საბჭოდან, ვაჭრობის განყოფილების გამგე ჯუბა წვინარია, რომელსაც მთელი ქალაქი ზედმეტსახელად ჟოპას ეძახდა. აქედანაც შეგიძლია განსაზღვრო რა ავტორიტეტით სარგებლობდა ის მოსახლეობაში, და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, (სწორედ მის დიდ კაბინეტში ვიმყოფებოდით) უმძიმესი ხასიათის პატრონი, ახალგაზრდობაში ქურდი და შემწერი შაკრილ კაჩახბა. ყველამ კარ-

გად იცოდა, განსაკუთრებით ხნიერმა ხალხმა, რომ ის ოცდახუთ წლამდე იყო შალიკო კაჭარავა, მერე კი ჩამოსახლებულ აფსუებთან მჭიდრო სიახლოვისა თუ მეტი გამორჩენის მიზნით გვარიც და სახელიც გადაიკეთა. სიტყვამ მოიტანა, ამ გადაკეთებებთან დაკავშირებით გამახსენდა, გუდაუთაში ცხოვრობს და მოქმედებს ჯონი ცერამბა (იგივე ჯემალ წერეთელი, ესეც ახალგაზრდობაში), მოქმედებს მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ მთელი ცხოვრება სულ ქართველების წინააღმდეგ იბრძვის, ფეხებზე ჰკიდია თავისი თავდაპირველი წერეთლობა და სულ იმის ცდაშია ცუდი რა გააკეთოს. მითხრეს ამ ბოლო დროს იქვე სადაც ცხოვრობს, ანუ გუდაუთაში ორასკაციანი ე.წ. „შურის მაძიებელთა ბატალიონი“ ჩამოუყალიბებია, თავად არის ერთპიროვნული ლიდერი, სისასტიკითა და დაუნდობლობით გამოირჩევა, სომხებსაც მაგან მისცა უშუალო მაგალითი, როცა ისინი ბაგრამიანის ბატალიონის ჩამოყალიბებას იწყებდნენ.

მოკლედ, შევიკრიბეთ კაბინეტში, ამ შაკრილ-შალიკომ დაიწყო ლაპარაკი, რა თქმა უნდა რუსულად, საერთოდ ამ ბოლო პერიოდში ძირითადად რუსული ენა გაისმის, აფხაზურიც კი მიჩუმდა. „ჩვენ პატივს გცემთ ზებედ მაისევიჩი, მაგრამ ახლა სხვა დრო მოვიდა, ჩვენ დამოუკიდებელი აფხაზეთისთვის ვიბრძვით და ეს დამოუკიდებლობა პირველ რიგში კადრებს უნდა დაეტყვით, ამ დროს კი ყველა ხელმძღვანელ ადგილზე ქართველები არიან მოკალათებულნი.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ თქვენც გაგიშვათ, საერთოდ კი არ გაგიშვათ, სხვა საპატიო ადგილზე გადაგიყვანოთ".

- ამ დროს მე შევაწყვეტინე, კარგად ვიცოდი არაფერი არ გამოვიდოდა, მაინც ვთქვი - „კი, მაგრამ შაკრილ მიხაილოვიჩი, - მე ხომ ებრაელი ვარ, ქართველ ებრაელებს იმიტომ გვიწოდებენ, რომ საუკუნეობით ამ მიწაზე ვცხოვრობთ“. ცოტა ხანს თითქოს შეჩერდა, ჩაფიქრდა, მაგრამ სულ მალე თავისმა ცნობილმა ვირობამ სწრაფად დაძლია და ხმაში უხეში ნოტებით მიპასუხა:

- რაც არ უნდა იყოს, მაინც შათაშვილი ხართ, ეს შვილი ყველაფერს ნიშნავს, ქართველობის ნიშანიც ეგ არი, ხალხს როგორ გავაგებინოთ ეს ქართველი არ არის, უბრალოდ გვარი აქვს ქართული.

ლაპარაკს და რაიმეს მტკიცებას აზრი აღარ ჰქონდა, სისულელეს და თავის დამცირებას უდრიდა, მეც ავდექი და წამოვედი. მეორე დღესვე გადამიყვანეს ძალიან ცნობილი რესტორანის „ამრას“ დირექტორად, სადაც შენაც არა ერთჯერ და ორჯერ გიქეიფია. მეც ვიფიქრე სოხუმიდან არსად წასვლას არ ვაპირებ, ამ ადგილზე მთელი ჩემი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ყველა მსურველი თავს იკლავდა, ვიმუშავებ და მერე ვნახოთ - მეთქი. ისე ჩემი ძმა ხარ და გეტყვი, „ამრასში“ ასჯერ მეტი მაყუთი კეთდება, ვიდრე მთელ ვაჭრობის სამმართველოში, რაც არ უნდა დაასხა და რაც არ უნდა საჭმელი მიუტანო, ყველაფერი ულაპარაკოდ სადღება. ახლა

ისეთი რთული პერიოდია, ყველა სმას ეტანება, რესტორნებისა და სასაუზმეების ბინადრებად იქცნენ. ეს „ამრა“ კი ღრმა ცენტრშია, ზღვაში, ყველა იქ მორბის, რუსები თუ უკრაინელები კი ყველაზე საოცნებო ადგილად მიიჩნევენ. ეს ტრადიცია გრძელდება, ხალხი ყოველთვის სავსეა, სასმელს ვეღარ ავუდივართ, სოჭიდან მთელი ვაგონი საშინელი ნარინჯის ნაყენად ცნობილი არაყი ჩამოვიტანეთ და დედის რძესავით სვამდნენ, ახლა კი სასმელის მარაგი გველევა, მოტანას ვეღარ ვასწრებთ, დიდი თანხები გამოყვეს და მე თბილისისკენ წამოვედი სამი სატვირთო მანქანით, შოფრებითა და შვიდი მცველით, რომ გზაში არავინ წაგვართვას. თბილისის გარდა მოვიარე საგარეჯო, გურჯაანი, რაც კი რამე იყო ყველაფერი შევიძინე: ღვინო, არაყი, ჭაჭა, კონიაკი თუ კონიაკისებური, ასევე რომისებური, კონიაკად გასაღდება დაბალი ღონის მსმელებში, სამი მრავალტონიანია გადაჭედილი, ხვალ დილით შვიდ საათზე გავდივართ, იქნებ ტრასა დღის სინათლეზე გავიაროთ, რაიმე ხიფათს არ გაადვეყნოთ. ახლა ქვეყნის ხალხია გამოსული შარავნაზე საყაჩაღოდ.

- ეს ვაჭრობის ამბები კარგად მომიყევი, სხვა რა ხდება გარეთ თუ ოჯახში?

- არიან, არა უშავთ, ჩიტის რძეს არ ვაკლებ, მაგრამ ქვეყანა ძალიან აირია, ასეთი დამაბულობა სოხუმში როა, მე არც მინახავს და არც არსად წამიკითხავს. შენც კარგად იცი, ყოველთვის რუსეთის ხელში ვიყავით, რუსები თავზე გვასხდნენ, ვითომ გვხელმძღვანელობდნენ,

ვითომ ჭკუას გვასწავლიდნენ, სულ კი თავისი მთავარი როლის წარმოჩენას ცდილობდნენ, თან უღმერთოდ სვამდნენ და ჭამდნენ, რაც მთავარია, ყველაფერი მუქთად მიერთმეოდათ. ისე იყვნენ მიჩვეული ამ მუქთანსორულ ცხოვრებას, სოხუმში იყო თუ სოჩაში, კრასნოდარში თუ მოსკოვში პურმარილი უეჭველად ჩვენ უნდა გვეკისრა, ამისთვის მუდმივად მზად უნდა ვყოფილიყავით, არც ფული დაგვენანებოდა, არც დრო და არც ჯანმრთელობა. სულ სოხუმსა და გაგრას შორის ვიყავით გაბმული. იქ ჩამობრძანდებოდნენ ხოლმე დასასვენებლად და მათი აზრით სრულიად ბუნებრივად დროის სატარებლად და სასმელად. ერთხელ, ეს ცოტა ადრეულ წლებში იყო, აფხაზეთის მთავრობაში დამიძახეს, ე.წ. პირველმა კაცმა მიმიღო და მეუბნება: „ზეხედ მაისევეჩი, ჩვენ ვიცით თქვენი ერთგულების და პატიოსნების შესახებ, - ისემც მაგას გაუხმეს თავი, პატიოსნება იმ ფაჩიკოს გარმონივით დაშლილი საბჭოთა კავშირის დროს სასაცილო იყო და მათი გაგებით ასეთი ხალხი სუ გამოსირებულები იყვნენ, - ასევე ვიცით თქვენი მარიფათისა და მოხერხებულობის შესახებ, ამიტომ მხოლოდ თქვენ გენდობით და გავალბოთ. „ხალოდნაია რეჩკაზე“ სტალინის ყოფილ აგარაკში ამ ორიოდ დღის წინ დასასვენებლად ჩამობრძანდა ანდრეი პავლოვიჩი კირელენკო თანმხლებ პირებთან ერთად, იგი ამხელა ქვეყნის მეორე კაცია და ხომ იცი ეს ჩვენს მოვალეობას სულ მაღლა და მაღლა სწევს, თან დაცვის წევრებიანა ოცდახ-

უთი კაცი ახლავს. თურმე ძალიან ჰყვარებია ახალი რძიანი სულგუნი, ოჯახში გამოყვანილი ლორი, მარწყვი, - მახსოვს მაისის თვე იდგა, - და ქართული სამარკო კონიაკები. მხოლოდ ერთი დღე გაქვთ შესაგროვებლად, ზეგ დილით ათ საათზე იქ უნდა იყოთ, იკითხეთ დაცვის უფროსი, პოლკოვნიკი საშა ბელიაევი და მას ჩააბარეთ ყველაფერი. ამ საშას თან ხუთიოდე ლიტრი მაგარი ჭაჭის არაყიც წაუღეთ, მას და მის ხელქვეითებს მოსწონებიათ". ჩამოარაკრაკა ეს ამხელა დავალება ამ შობელძალმა და მითხრა: „ნახვამდის, რომ ჩამოხვალთ, მოდით და მითხარით როგორ ჩაიარა ოფიციალურმა შეხვედრამ". საზიზღარი დავალება იყო, რთული, სჯულის მაღლმა, მაგრამ ასეთ დავალებებს შეჩვეული ვიყავი, ზოგს რა უყვარდა და ზოგს რა. წავიყვანე ჩემი ერთგული ბიჭები და დაყონებლივ გავქანდით. დილა იყო დავალებით რომ დამასაჩუქრეს: ოჩამჩირეში ობიექტი მქონდა, სადაც ზღაპრულად გამოჰყავდათ შებოლილი თხის ლორი, უგემრიელესი, მთლიანად ავიდე, მგონი სამი თხა იყო, ოცდახუთ კაცს რა დედიმისი ეყოფოდათ, სენაკში ვიცნობდი დიდი საქონლის პატრონ კვარაცხელიას, იქ ოცდახუთი ცალი რძიანი სულგუნი ვიყიდე, მსხვილი მარწყვი არსად არ იყო, სამტრედიიაში გავქანდით და იქ ნაცნობმა ებრაელმა, ვაჭრობაში მთავარმა კაცმა, ორი დიდი ემალირებული ქვაბი მსხვილ-მსხვილად დარჩეული მარწყვი მაყიდინა, იქვე ოცი ლიტრა ცეცხლივით მაგარი ჭაჭის არაყიც შევიძინე ოჯახიდან და უკან

გამოვქანდით. უკვე ღამდებოდა სოხ-უმში რომ შემოველით, ჩემი საცაგებიდან სამი ყუთი სამარკო კონიაკი, მხოლოდ „ენისელი“, „თბილისი“, „საქართველო“ ჩავალაგეთ და ღამითვე აველით გაგრა-ში, ღამე იქ გავათენეთ ერთი თანმხლები ბიჭის სახლში და დილით ათს თხუთმეტი წუთი უკლდა როცა „ხალოდნაია რეჩკაზე“ აწ უკვე გაგორებულ – გაკრიტიკებული სტალინის ყოფილ აგარაკთან მივედი. დაცვამ მოახსენა ამ ბელიაევს სოხუმიდან მოვიდნენ ამხანაგებიო. ცოტა ხანში ღამით კარგად ნაქეიფარი ბატონი საშა გამობრძანდა, ჯერ ცივად, ოფიციალურად ჩამომართვა ხელი, მერე როცა ორი გაჭედილი მანქანა გასინჯა, უცებ დატკბა, თავის მანქანაში მიმიპატიჟა და სასადილო კორპუსის წინ გავჩერდით. ჩემი მოყვანილი ბიჭები პოსტზე დატოვა, აქ იყავითო. თქვენ გიცნობთ ზებედ მაისევეიჩი, თქვენზე პირველმა მითხრა მაგაზე სანდო კაცი მთელ აფხაზეთში არ მოიძებნებაო. დაუძახა თავის ბიჭებს, გადმოაქვთ და გადმოაქვთ ყუთები, ქვაბები, ბოთლები, იქვე პირველი სართულის ერთ დიდ ოთახში შეაქვთ, მე ვდგავარ და ვუხსნი რა რა არის და როგორ მოიხმარება, ბელიაევი სიამოვნებით დნება, განსაკუთრებით ჭაჭის მაგარი არყის სიუხვემ აღაფრთოვანა. ამ დროს ფართოდ იღება კარები და ხუთიოდე კაცი შემოდის დაცვის თანხლებით, თურმე სეირნობდნენ და უკან დაბრუნებულებს დააინტერესათ რა მანქანები იდგა და რას ტვირთავდნენ. დავინახე სურათებში ნანახი ის შობელძაღლი კირილენკო

და გავშრი. საშა ბელიაევა „ჩესტი“ აულო და მოახსენა: „აფხაზვაჭრობის“ მოწინავე ხელმძღვანელი გახლავთ ზებედ მაისევეიჩი, სტუმრებისათვის განკუთვნილი საქონელი მოგვართვაო. ზმაც არ ამოუღია, ოდნავ თავი დაიქნია და გაოცებული შეუდგა თვალიერებას, სულგუნებმა და ლორის ყავისფერმა ნაჭრებმა დიდი ყურადღება დაიმსახურა, მარწყვის სიუხვემ და სისხომ ზომ ყველა გადარია, აი, ხალხი, აი, „მუჟიკი“, ასეთ რამეს სხვაგან ვერსად ნახავო. თან ფოტოგრაფიც ახლდათ, ყოველ წამს აჩხაკუნებდა აპარატს. გაბლენძილმა კირილენკომ ხელი ჩამომართვა, მადლობა მითხრა და კმაყოფილმა ხელიც კი გადამხვია. ეს მომენტი იმ წამსვე აღბეჭდა პირადმა ფოტოგრაფმა. მთავრობა მალევე წაბრძანდა, მე კი დიდის ამბით გამომაცილეს პოსტამდე, კიდევ ჩამოდი, გზა ხსნილი გაქვს, ნებისმიერ დროს გაგვიხარდება თქვენი სტუმრობაო. მაგათი თავის ხეთქვამ კიდევ მივადგებოდი ძღვენით, ჩემით არა, თუ ღამავალბდნენ, მაშინ რაღას ვიზამდი. ნაცნობი ფოტოგრაფიც იქვე ტრიალებდა, მოვახერხე და ჩემი „ვიზიტკა“ მივეცი, ჩემი სურათები როგორმე მომავლოდ ერთი ყუთი კონიაკი და გადაღება-დაბეჭდვის თანხაც იქნება-მეთქი. სამი დღის შემდეგ მართლაც მისგან გამოგზავნილი მძლოლი მანქანით მომადგა და ბლომად სურათები მომიტანა სამახსოვრო ტყავის „პაკით“. შეპირებული ერთი ყუთი კონიაკი ჩავუღდე და კონვერტით ორი ათასი მანეთიც გავატანე სახსოვრად. სურათები გავსინჯე, ერთ სურათში ვხედავ მე და

ყოველისშემძლე კირილენკო ვდგავართ ხელგადახვეულები. ეს სურათი მგონი ათი ცალი გამოეგზავნა. ჯერ ჩემს ლოთ, დაჩმორებულ უფროსთან შევედი, სურათი ვაჩვენე, ლამის გული წაუვიდა. რა ვითხრა ხელის გადახვევის დროსო, მითხრა თუ ვინმე გაწყენინებს დამირეკე და დედას ვუტირებო. დამიჯერა და ლამის ხელზე მაკოცა, მე შენი უფროსი კი არა, ძმა და თანაშემწე ვარო. პირველი პირი თბილისში იყო და სწორედ იმ დღით ჩამოვიდა. დავალების თანახმად სასწრაფო წესით მიმიღო, რაც გაგრაში ჩავიტანე გადამეტებებით მოუწყვევი, სიამოვნებისაგან სული დადნა. მერე სურათი რომ ვუჩვენე გაგიჟდა, თავი ვეღარ შეიკავა, ნეტავი მე წამოვსულიყავი, თუმცა მომერიდა, ძალიან დიდი კაციაო. სურათში კირილენკოსთან ჩემი ჩახუტების ამბავი მთელმა სოხუმმა გაიგო, ნაცნობები მოდიოდნენ, მთხოვდნენ მეჩვენებინა, ჩემი მარკა მგონი ერთი ათასჯერ აიწია, ბევრმა დევენერატმა ან ჩვენებურად რომ ვთქვა, ჩვენს ენაზე - ხამორმა, დაიჯერა, რომ ქვეყნის მეორე პირი თუ მეორე მეფე კირილენკო ჩემი ახლოობელი იყო, ათას სისულელეს მთხოვდნენ, ის კი არა და მაშინ როგორც ვამბობდით ზემდგომი ორგანოები და მილიცია - „ობეხეც“ კი შეეშვა ჩემს დაქვემდებარებულ ობიექტებში ხშირ-ხშირად შეწანწალებას ფულის გამოძალვის მიზნით. მოკლედ ჩემო ძმაო, გიგა, ამ კირილენკოს სურათით რამდენიმე წლის მანძილზე სანამ სამუდამოდ გადაამსერებდნენ, იმდენი ფული გავაკეთე, რომ ჩამეყარა აფხაზეთის სანა-

პირობებთან ზღვა დაშრებოდა. ასე იყო რუსეთის ბატონობის დროს, როცა ჩვენ მართლა ყმები და მონები ვიყავით, ახლა ასეთი გაშიშვლებული სახით არ ჩანს ვითარება, უფრო შეფარული და შეფუთული სახე მიიღო, რუსებს აფხაზეთის ელიტარული ნაწილი გამოჰკერილი, დამონებული ჰყავთ, სულ მათ დაკრულ ღუღუკზე ცეკვავენ, ყველაფერი მათი მზაკვრული გეგმების მიხედვით წარიმართება. სოხუმში ახლა ფორმითა თუ უფორმოდ იმდენი რუსი გენერალია, რომ ნახო პირდაღებული დარჩები. ჩემი თითქმის ყოველდღიური კლიენტები არიან ეგ არყის მონები, რომ გასკდებიან და გაითიშებიან რას აღარ რომავენ. იმ დღეს ერთ გაპობილ გენერალ-ლეიტენანტს მეც აფხაზი ვეგონე, მითხრა: „ჩვენ ძმები ვართ, ჩვენს ერთგულ ხალხად გთვლით და ნუ გეშინიათ მალე გაგანთავისფლებთ ქართველების ბატონობისგან, აყვავდებით, გაიფურჩქნებით და მუდამ ჩვენთან იქნებითო“. გულში შევუკურთხე შენი გათახსიებული ლოთი დედაც, შენი აყვავებული თუ ასაყვავებული ვინც არის იმის დედაც - მეთქი. მერე ვითომ პატივისცემისა და „მაყარიჩის“ ნიშნად კონიაკის ბოთლებში ჩასხმული სამი ბოთლი რომისეზური მოვართვი თავის პადოშვით მაგარი მწვადებით, ჩემთვის ვფიქრობდი, იქნებ ჩაიხოცნონ და მორჩნენ უსავნო ლაყბობას. მართლა ისე დასკდნენ, ზოგმა იქვე არწყია, სულ სამნი იყვნენ, თუმცა ათი კაცის სამყოფს ისხამდნენ მუცელში, შოფრებმა ძლივს შეასვენეს მანქანების უკანა სკამებზე და წაათრიეს. ორი

დღის მერე კვლავ მოვიდნენ გასახეთქად ის გაუმაძღარი ლოთები და მადლობას მიხდიდნენ რამხელა პატივი გვეციო. ასე მიდის გაქანებული სმა, ფულის, თან დიდი ფულის გათეთრება, გაყოფა, მიწების, შენობების შექმნა. ძალზე ხშირია საიდუმლო შეკრებები და გვემების დალაგება როდის, როგორ, რა გზით განახორციელონ აფხაზეთის ოკუპაცია. ნამდვილ აფხაზებს, ანუ ძირველ მოსახლეობას სულაც არ მოსწონთ რუსების ამგვარი მოქცევა და არც მათდამი ნდობა-პატივისცემით არიან გამსჭვალულები, მაგრამ რა ქნან, ამინდს სხვები ქმნიან, სწორედ ის შედარებით მცირე, მაგრამ ხელმძღვანელი, ფულთან ახლოს მყოფი აფსუების ნაწილი. მოკლედ მდგომარეობა ძალიან რთულია, რთული კი არა ურთულესი, გამოუვალი, ჩვენი ახლადფენადგმული სახელმწიფოს ხელმძღვანელობა უაღრესად ჭკვიანურად, დიდი დაკვირვებით თუ არ მოიქცა, საქმე ძალიან ცუდად წავა და ჩვენს მყიფე დამოუკიდებლობასაც დაგვკარგავთ. თუმცა რა უნდა გააკეთონ, რა ენაზე შეიძლება ელაპარაკონ ამ უთავბოლო და უპატრონო რუსეთს, როცა მას მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებს - ჩვენი კვლავაც დამონება, საკუთარ განაპირა გუბერნიად ქცევა, ჩვენს მიერ ჩაზიდული „სუხოე ვინოთი“ და ცეცხლივით არყით თრობა, თავად ბევრს ცდილობენ და ასეთი მაგარი არაყი არ გამოხდით, რადგან მეორედ გამოხდას ანუ გადაბრუნებას ვერ უცდიან, პირველსავე ჯერზე სვამენ, - ეს ხუმრობით, - ასპროცენტთან

სპირტს კი ვერ უძლებენ, დახოცა ნახევარი რუსეთი, თანაც ეს ოხერი ეთილის სპირტის სისტემატური სმა აბრმავებს, აყრუებს, აძუნჯებს და მერე კვლავს საცოდავ ადამიანს, რუსებზე კი ახია, ნებით იკლავენ თავს.

საერთოდ ძალიან უნუგემო მდგომარეობაა, რუსეთის ჯარი ათასობით ტანკითა და ზარბაზნით მომდგარია საზღვართან, არანაკლები რაოდენობით უკვე ჩვენს ტერიტორიაზეც არის შემოსული, ვერ აიტანეს, რომ ორასი წლის წინ დაპყრობილი და შიშის დასათესად ბევრჯერ სისხლში ნაბანაგები ქვეყანა, მისი პატარა და მამაცი ხალხი მაინც არ დაემორჩილა, აჯანყდა და საოცნებო თავისუფლება მოინდომა. როგორც რუსი გენერლების ალკოჰოლური ლაყბობიდან ირკვევა ჩვენი ყველაზე უფრო მეტად სანიმუშო დასჯა მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, რომ სხვებისთვის ჭკუის სასწავლი მაგალითი შექმნან, ერთგვარი რეპრესიული მოდელი, ამის მერე უკვე სხვადასხვა ველარ უნდა გაბედოს თავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისკენ თუნდაც ერთი ნაბიჯის გადადგმა. ამჟამად დღესდღეობით ასეა და ვნახოთ რას მოგვიტანს ხიფათით სავსე ხვალინდელი დღე.

ზებო შათაშვილის ოჯახში სტუმრობა ღამის ორ საათზე დამთავრდა, დილის შვიდ საათზე კი მისი ალკქარავანი, როგორც თვითონ ხუმრობდა, არაყს მოწყურებული სოხუმისაკენ მიემართებოდა. უკვე ღამის სამი საათი იყო გადასული, როცა ბიჭებმა მაგარი მთვრალი გიგა საკუთარ ეზომდე მი-

აცილეს. მაღალი სახლებით ყველა მხრივ შემოზღუდულ გრძელ ეზოში სიბნელე იდგა, მხოლოდ ორი ბინიდან გამოდიოდა სინათლე და გენერატორების მონოტონური ხმაური მთელ მილამოს ეფინებოდა. ნაკაიძეების ბინაშიც სინათლე ენთო, ოღონდ ეს უფრო ლამპის თუ სანთლების შუქს გავდა, გენერატორის დგანდგარი არ ისმოდა. იქ შეკრებილი ცხოვრებისაგან გარიყული ადამიანები ღრუბდნენ, ითხლიშებოდნენ და ამით უბამდნენ მხარს ერთიმეორეს.

დილით სამსახურში მიმავალ გიგას გვერდით მომდგარ კორპუსში მცხოვრები მეზობელი ვანო ძინძიბაძე შეხვდა. ვანო დიდი ხანია არსად არ მუშაობდა, ეზოს გარეთ ჩადგმული პატარა სავაჭრო ჯიხურით ირჩენდა თავს, ცოლსა და სამ შვილსაც არჩენდა. სამაგიეროდ თავისუფალი დრო თავზე საყრელად ჰქონდა, მთელი დღეები ეზოში იჯდა, ან ნარდს თამაშობდა, ან დომინოს და უზარმაზარი ეზოს ყველა კორპუსის მცხოვრების ამბები სულ ზეპირად იცოდა, თანაც გაბერვისა და ტყუილების დამატების უბადლო ოსტატი იყო, ისე გულიანად იფიცებდა და ისეთი დარწმუნებით გიყვებოდა ამა თუ იმ ამბის შესახებ, რომ ძალაუნებურად გაჯერებდა, მართალია, ეჭვიც უხვად ჩნდებოდა, მაგრამ ეჭვების შემოწმების თავი ვილას ჰქონდა.

- სადა ხარ გიგა, გუშინ მთელი დღე არ ჩანდი, ასეთი რა საქმეები გამოგიჩნდა.

- დღისით სამსახურში ვიყავი, მართლა ბევრი საქმე მქონდა. დილით

მე რომ სამსახურში მივდიოდი, შენ შენს ძვირფას „ბუტკას“ ახლადმოტანილი საქონლით ამარაგებდი და სხვაგან არც იხედებოდი. სალამოს ბიჭებმა გამომიარეს და სოხუმიდან ჩამოსულ ჩვენს მეგობართან მაგრად ვიქეიფეთ.

- რა თქვა, რა ამბებია სოხუმიში?

- კარგს რას იტყოდა, მხოლოდ ცუდი ამბებია და კიდევ უფრო უარესი ცუდის მოლოდინი. ჩვენს ეზოში ანუ შენს საკურატორო უბანში ხომ არაფერია ახალი.

- როგორ არა, ამ აპოლონასთან პირველი ცოლიდან ჩვიდმეტი წლის ბიჭი გადმოვიდა საცხოვრებლად.

- გადმოვიდა თორემ ვერ დაეტევა, რვა თუ ცხრა ოთახიან ბინაში ერთი კაცია გაჭიმული მოახლესთან ერთად. ალბათ თვითონ გადმოიყვანა, რომ მართლობას არ შეეწუხებინა

- არა კაცო, რას ამბობ, სასტიკი წინააღმდეგი იყო თურმე ბიჭის, თან პირველი შვილის თავისთან გადმოყვანის. ცოლს დაურეკავს და უთქვამს როგორც გინდა მოუარე ამ შენს უსაქმურ, ხულიგან, შენსავით თავხედ შვილს თორემ წერილის მივწერ ზემდგომ ინსტანციებს, პოლიციაში ვიჩივლებ ან ვიშუამდგომლებ სამი წლით ჯარში წაათრიონო. გაბერილი აპალონაც შვილის გზიდან აცდენამ კი არ შეაწუხა, ისევ და ისევ საკუთარ პერსონაზე ახალი ჭორების აგორებას მოერიდა, მაგისტრის მთავარია საკუთარი თავი, ვილაც-ვილაცების მოსატყუებელი უმწიკვლო რეპუტაცია და ასევე

მთავარია მისი მინეტის დიდოსტატი ცოლი, რომელიც ახლა ვიღაც გათახსირებულ ბიზნესმენტან გორაობს, ანუ როგორც ტელევიზორში აცხადებენ-ხოლმე, ჟიმაობს. თავად აპალონი კი ხმასაც არ იღებს, ისევ და ისევ თავისი ძვირფასი პერსონის ირგვლივ ჭორებს ერიდება, ხალხს თვალს უხვევს, ვითომ პატიოსნებაზე დებს თავს ეგ ობერმექრთამე ხურუშიანი.

- ვახომ ნათქვამს დაგუბებული ბოლმაც ამოაყოლა, რადგან არაკაც უბირიასგან ვერასოდეს ხეირი ვერ ნახა, მცდელობები კი არ დაუკლია, არც მლიქვნელურ თხოვნებს მორიდებია.

- შენ ძმაო გიგა, მთელი დღეები საშსახურში ხარ, - აგრძელებდა ლაპარაკს ხელსაყრელი შემთხვევისათვის ყოველთვის მზადმყოფი ვახო ძინძიბაძე, - მე კი დილიდან საღამომდე სულ ეზოში ვტრიალებ, რამდენი კატა და დის, ისიც კი ვიცი. - ხომ გაგიგონია ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო, ის ერთი მუგუზალიც დაგვემატა. ჩვენი ეზოც და ჩვენი ეზოს ახალგაზრდობაც მაგრად აირია, როცა ისედაც არეული და გადარეული იყო. ერთი თვეა, რაც აპალონი უბირიას შვილი ჩვიდმეტი წლის კოკა მამასთან გადმოვიდა საცხოვრებლად. შესახედავად კარგი ბიჭია, მაღალი, ცისფერთვალეა, ჩამოშლილი ქერა თმებით, მაგრამ ამ გარეგანი სილამაზის მიღმა ენით აუწერელი საშინელებაა, ახალგაზრდა მონსტრია მასში ჩამფლარი, ჩამალული, სულ სმა, გაჩნირვა, რაღაც ერთმანეთში არეული წამლების კაიფისთვის მიღება, ასევე სულ ჩხუბი, ცემა-ტყეპა, აღ-

ამიანების მიმართ ზიზღიანი ქედმაღლობა და ყველას დამცირება, გალადავება. ეზოში გადმოსვლისთანავე საოცრად დაუძმაკაცდა გარეწარ ლუკა ნაკაიძესა და ასეთსავე ღორო ღვინიაშვილს, მთელი დღეები ერთად დამრწიან. კოკა უბირიას ფული არ აკლია, ან მამამისი აძლევს ან პარავს, არყის და ლუდის ფული არ ელევა, თუ შემთხვევით შემოაკლდათ, რასაც კი მოახელთებენ, წამსვე ყიდიან, სარდაფებში საერთოდ აღარაფერი დარჩა. ფარჯანაძეს რემონტის გამო მაცივარი და ტელევიზორი ჩაუტანია დროებით შესანახად, ღამით წაღიათ და მეორე დღითვე გაუყიდათ, იციან კოკა უბირიამ რომ გააკეთა, თუმცა მამამისის შიშით ვერაფრის თქმას ვერ ბედავენ, დარწმუნებული ვარ ცხრა მთავრობის გოთვერანმა აპალონამ დაფინანსება თუ შეუწყვიტა, უკვე ქურდობას და ბინების გატეხვას დაიწყებს, თუმცა ეს უკვე დაწყებულიც აქვს, თავის საშინელ „მაიკასთან“ ერთად რას არ კადრულობს, საერთოდ სინდისგარეცხილები არიან, ბიჭებს უმიზეზოდ ცემენ, ამცირებენ, დანებს ცხვირწინ უტრიალებენ, უკანასკნელ კაბიკებს ართმევენ, მაგათი შიშით გარეთ ველარავინ გამოდის, ბევრი ძირს დააგდეს და ფეხებით გათელეს, თუ ასე გაგრძელდა საქმე ძალიან ცუდად დამთავრდება.

გიგა ჩააფიქრა ძინძიბაძის მონაყოლმა, ყოველთვის ვერა, მაგრამ შაბათკვირაობით თუ უქმე დღეებში მაინც თვალყურს ადევნებდა ლუკა ნაკაიძის ნაცვლად გაბოროტებული ბიჭების დიდი გუნდის ახალ უპირობო ატამა-

ნად მოვლენილი კოკა უბირიას ცხოვრებას, რაც იქვე ეზოსა და საკმაოდ მოზრდილ უბანში ასობით ადამიანის თვალწინ მიმდინარეობდა.

დიდ ეზოში მცხოვრები ბიჭების საკმაოდ მრავალრიცხოვან გუნდს არაფერი საქმე არ ჰქონდა, არც არავითარი ინტერესები არ გააჩნდა, მხოლოდ გოგოებს თუ აქცევდნენ ყურადღებას, ისიც მხოლოდ პირუტყვული ვნებების შესაძლო დაკმაყოფილების მიზნით, სიყვარული და თბილი რაინდული დამოკიდებულება მათგან ძალიან შორს იყო. ახალგაზრდა ბიჭების გუნდის წინამძღოლს კოკა უბირიას მეზობელ სახლში მცხოვრები ძალიან ლამაზი, ქერა, ცისფერთვალება და ლერწამივით მაღალი გოგო მოსწონდა. გოგონას რამდენიმე წლის წინ ახალგაზრდა მამა გარდაცვლოდა, უნიჭიერესი და დიდი იმედების მომცემი არქიტექტორი, უკვე რამდენიმე განხორციელებული პროექტის ავტორი. სამი წლის მერე გოგონას დედა, მაღალი, ლამაზი ქალი ჩამოვარდნილი გაჭირვებისა და სამწუხარო მოდადქცეული წესის გამო ხნიერ და მდიდარ უცხოელს გაჰყვა ცოლად, კანადაში ცხოვრობდა, ხანდახან რეკავდა, ამბავს იკითხავდა, ჩვიდმეტ წელს გადაცილებულ შვილს ცოტ-ცოტა თანხას უგზავნიდა, რასაც პენსიონერი ქვრივი ბებია ანაწილებდა, ძირითად ნაწილს შვილიშვილის განათლებას ახმარდა. გოგონას კარგი სმენა, ძალიან კარგი ხმაც ჰქონდა, მონაცემებიც, მაგრამ მძიმე შინაგანი განწყობის შედეგად აღარ ეძღვრებოდა, ამიტომ როცა დრო მოვ-

იდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები და ყოველგვარი პატრონის გარეშე სტდენტი გახდა.

ამ მშვენიერ გოგონას, ნანა ფარცხალაძეს, პირველი დანახვისთანავე დააღვა თვალი კოკა უბირიამ. გაცნობას დიდი ამბავი არ დასჭირვებია, მეზობლები იყვნენ და ისედაც შორიანლოდან იცნობდნენ ერთმანეთს. მართალია კოკას ცუდი სახელი ჰქონდა, მაგრამ შესახედაობა და ყველასთვის ცნობილი სიმდიდრე მაინც თავის როლს თამაშობდა. ფულის იოლად მშოვნელი კოკა გოგონას მიმართ სპეციალურად გათამაშებულ ჯენტლმენურ ყურადღებას იჩენდა, ყვავილებს უგზავნიდა, მეგობრებთან ერთად კაფე-რესტორნებსა და კონცერტებზე პატიჟობდა, ლექციებიდან დაბრუნებულ გოგონას უნივერსიტეტის ჭიშკართან ხვდებოდა და ბინის კარამდე მიაცილებდა, ლიფტსაც კი თვითონ იძახებდა, გოგონას არაფერზე არ აწუხებდა. ასეთმა ქცევებმა ნელ-ნელა მოხიბლა უპატრონოდ დარჩენილი ახალგაზრდა გოგო. ის თავისთვის ფიქრობდა „აცვნილი, მოჩხუბარი და ლოთი კი არის, მაგრამ ეს ყველაფერი შეიძლება ახალგაზრდობის ბრალია, გავადრო, გამოსწორდება, მეც შევუწყობ ხელს გამოსწორებაში, დადინჯდება, დაკაცდება, ჭკუა მოემატება, შეუძლებელია ასეთი მომხიბლავი შესახედაობის ბიჭი მხოლოდ ხულიგნის ცხოვრებით ცხოვრობდეს, ალბათ საკუთარი ოჯახი, ცნობილი მამაც იმოქმედებს მის საბოლოო დაღვინებაში და მეც პატრონი მეყოლება“. საბედის-

წეროდ გოგონას ბიჭი შეუყვარდა, ეს მისთვის პირველი, ცხოვრებაში ჯერ არგანცდილი სიყვარული იყო და შინაგანად აღტაცებულს მთელი სამყარო სიკეთითა და სილამაზით სავსე ეჩვენებოდა. თავზეხელაღებული ბიჭის ახალი სასიყვარულო გატაცების პერიოდში საოცარი ამბები მოხდა, ძველი მთავრობა ხალხს ყელში ამოუვიდა, მათ მიერ გაკეთებულიც არაფრად ალა მიაჩნდა, დღედაღამ ერთი და იგივე ლაპარაკი გაისმოდა - რა გააკეთეს, რაც გააკეთეს ისიც მხოლოდ ჩვენი ფულითა და საკუთარი ხეირის სურვილით გაკეთდა, მილიონები და მილიარდებიც მოტეხეს, ცალ-ცალი კალოშით მოსულეებმა ესპანეთსა, საფრანგეთსა თუ იტალიაში ვიღები იყიდეს, ხალხის კეთილდღეობისათვის კი თავი არ შეუწუხებიათ, ხალხი უკიდურეს სიღარიბეში სულს ღაფავს, საჭმლის და წამლის ფული არ აქვს, ყველაფერი თავისთვის უნდათ, მაგათ პარპაშს ბოლო უნდა მოეღოს. ჰაერში საძულველი რევოლუციის სუნი დატრიალდა, ქვეყანაში გარანტირებული იყო დიდი არეულობა, ძალზე საშიში სიტაცია გაბატონდა, სულ ცოტაც და არ იყო გამორიცხული ვულკანს ამოეხეთქა. ამასობაში არჩევნები ჩატარდა, როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება, ახალმა ძალამ გაიმარჯვა, მართალია ამ ახალ ძალას ძველიც უამრავი მიეტმანა - მერყევი ბუნების გამყიდვლები, ყველა ღროში სკამის, ფულის, მდგომარეობის სანთლით მაძიებლები დიდი წვიმების შემდეგ სოკოებივით იყვნენ მომრავლებულები, მაგრამ ახალი მაინც ახა-

ლი იყო. რაც მთავარია ხალხს სიახლე უნდოდა და ამ ცვლილებებით კმაყოფილდებოდა, თან ეს სიახლე საკუთარი ძალებით მოპოვებულად მიაჩნდა, ამიტომაც ქვეყნის გარდაქმნაში საკუთარ როლს გაზვიადებულად წარმოიდგენდა.

ახლადჩამოყალიბებულ ხელისუფლებაში აპოლონ უბირიას ახლობლები და თანამოაზრეებიც მრავლად მოხვდნენ, რომელთაც კორუფციის ერთ-ერთი მამამთავარი საქმის მკეთებელ დიდ ოგანიზატორად მიაჩნდათ, არა ერთი და ორი მასთან კორუფციული გარიგებებითაც იყო დაკავებული, თანაც ეს გარიგებები ყოველთვის მსხვილი და სარფიანი იყო. რამდენიმე ჯგუფი ან რამდენიმე ადამიანისაგან შემდგარი დაჯგუფება, რომელთაც საიდუმლო მაქინაციების გამჟღავნებისა და შემდგომ მოსალოდნელი სასჯელის ცხოველური შიში აერთიანებდათ, ერთმანეთთან დანაშაულებრივი დაკავშირებით, შეკვრით, დაძმაკაცებით, მილიონებს შოულობდნენ, თანაც დიდი ფულის შოვნის აზრტი წლითიწლობით თუ დღითიდღეობით უძლიერდებოდათ და უნმტკიცდებოდათ.

ასეთმა ვითარებამ სასურველი როლი ითამაშა ახალგაზრდობის ასაკს ახლადგადაბიჯებული ქალაქის ყოფილი საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ცხოვრებაში. ბევრისთვის სრულიად მოულოდნელად აპოლონის საოცარი აღზევება მოხდა, უკვე ყოფილად ქცეული კაცი კვლავ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა, რამაც მისი მრავალრიცხოვანი

დამქაშების ალტაცება გამოიწვია, ხალხში კი მითქმა-მოთქმა, ლაპარაკი და ეჭვები უცბად მოვარდნილი ღვარცოფით გააძლიერა. ვერის უბანში დიდი ეზოს მცხოვრებლებს ეს დანიშვნა ყოველდღიური და ყოველსაღამოური ცხარე კამათის საგნად ექცათ. ძირითადად ორ მაღალ სახლს შორის დატოვებულ ვიწრო გასასვლელთან ან ველისციხელი ლოვას მიერ ქირით აღებულ გარაჟში გაკეთებულ სავაჭრო დუქანთან თავგამოდებული საუბრებისათვის იკრიბებოდნენ.

- დახეთ, რა მოხდა, კიდევ იტყვიოთ სასწაულები არ არსებობსო, - საუბრის დაწყების სურვილს აღვივებდა ყოვლისმცოდნე და მეზობლებში ამბის მიმტან-მომტანი ვახო ძინძიბაძე.

- სასწაულები როგორ არ არსებობს, მაგ სასწაულებსა და მოულოდნელობებსა აგებული მთელი ჩვენი ცხოვრება, - მხარს უბამდა უბანში არანაკლებ ცნობილი მურთაზ ქოჩლაძე.

- აბა, ხომ ხედავთ, უკვე ჩამოვარდნილი და ზოგიერთის აზრით მიწასთან გასწორებული კაცი ისევ როგორ აღზევდა, ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება მოხდეს, მხოლოდ საქართველოში.

- რატომ კაცო, ასეთი რამ შეიძლება რუსეთშიც მოხდეს და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

- ჰო, ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ევროპა-ამერიკის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში შეიძლება გეები და პედერასტები აირჩიონ მერებად, ჩვენთან ჯერ, მაღლობა ღმერთს, ასე არ ხდება, სამაგიეროდ მაგარი და ფულის

ასევე მაგარი დამრიგებელი უნდა იყოს, რომ ამხელა პოსტზე დაგნიშნონ, თანაც მეორედ.

- ესე იგი ხალხური ანდაზა სწორი არ გამოდგა ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა შეუძლებელიაო.

- მაგარი მარიფათიანები ორჯერაც შედიან და სამჯერაც, არსებობს ყოვლისშემძლე ხალხი, ვინც სწორედ დიდი ფულით დამეგობრებულ-დამძაკცებული ნაცნობ-მეგობრების ხარბი ანგარების შედეგად ყველაფერს აღწევენ.

- ამბობენ უბირიას ეს დაუჯერებელი დანიშვნა თორმეტი მილიონი ნაღდი ფული დაჯდაო, - ლაპარაკის გამძაფრების ახალი ნაპერწკალი ისევ ვახო ძინძიბაძემ ჩააგდო.

- შენ რა იცი რომ თორმეტი დაუჯდა, იქნებ თხუთმეტი იყო და გეშლება, ან ვთქვით ათი, ეგ ისეთი ღრმა მაფიოზია არავის გააგებინებს ვის რამდენი მისცა და თავად რამდენი აიღო.

- კაცო, ეს მე კი არ მომიგონია, რომ მომგარდით, მიმა პაპუნძემ მითხრა ვერის ბაღში თქვეს ამის შესახებ, თან ისეთი ბიჭები ლაპარაკობდნენ მთავრობაში ხალხი რომ ჰყავთ და ყველაფერს ზუსტად იგებენ, მათ შორის ძალიან საინტერესო ამბებსაც, საერთოდ არაფერი არ იმალება, ფარული საქმეების შესახებაც ხდება სერიოზული გამოყოფა სამთავრობო კულუარებიდანო.

- არა, განა იმიტომ მოგვარდით თითქოს დაუჯერებელი რამე სთქვი, შეიძლება სულაც ზუსტი იყოს, ჩვენ

თუ გაჭირვების გამო ასი და მით უმეტეს ათასი ლარის მიცემაც გვეჭვება, ეგენი უკვე მილიონობით ანგარიშობენ.

- ბოროტი ენები იმასაც დამაჯერებელი ტონით ლაპააკობდნენ, რომ თავის დროზე უბირიას მართო ასფალტის დაგების სამუშაოებიდან, მშენებლობებიდან, ტენდერებიდან, ბაზრობების გახსნიდან ორი მილიარდი ფული შეუვიდაო, ასეთი კაცი თორმეტ მილიონს ვერ მისცემდა, მისცემდა კი არა სულ ცეკვა-ცეკვით მიარბენინებდა, თან როცა იცის თუგინდა ერთ თვეში მოახერხებს მიცემული თანხის ამოღებას.

- კი, თუ ჭკუა არ ისწავლა, თავისუფლად შეუძლია ეგრეც მოხდეს, თუმცა მეც ვთქვი, უბირიასნაირი კაცები ჭკუას არასოდეს სწავლობენ, მაგათი უპირველესი მიზანია ბატონობისათვის საჭირო დიდი ფული, ზოგიერთ მთავრობის უმაღლეს ეშელონში მყოფ პიროვნებას ოფიციალურად აღიარებულ მილიარდერებზე მეტიც აქვს, მაგრამ თანამდებობის გამო ყველაფერს მალავს და ჩქმალავს, ვითომ ვინმეს ეჭვები რომ არ გაუჩნდეს. თან ამას იმიტომაც აკეთებენ და გარშემო ხელშეუხებლობის მაღალ გალავანსაც იშენებენ, რომ თავისთავად ეშინიათ დიდი ფულის მშოვნელის სახელის შემთხვევაში მაღლა და მაღლა კიდევ უფრო მეტს მოითხოვენ, თან გაქურდვისაც ავადმყოფურად ეშინიათ. ხომ გახსოვთ უბირიას სარდაფის თუ ბუნკერის ისტორია, რამდენი მილიონი დაკარგა და ხმაც ვერ ამოიღო. ამას გარდა,

როგორც კი დიდი ფულის ამბავი დატრიალდება, პირველ რიგში ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები, მერე მეგობრები და მეზობლები მიაკითხავენ, თხოვენ ფულს, რომ არავის არაფერი მისცეს, შეიძულებენ, ცუდ პიარს აუგორებენ, თავს მოჭრიან და არც წყევლას დააკლებენ, მისცეს და რა ქნას, ეშინია ერთს თუ მისცა მეორეც გაიგებს, თან ხომ გაგიგონია მილიონს ერთი მანეთიც რომ აკლდეს მილიონი აღარ არისო, ამათი აზარტი კი მილიონებისა და მილიარდებისკენ მიემართება, სანამ ფენს არ წაიტეხენ და ქვეყნიდან არ გაიქცევიან უკეთესი მომავლის დადგომის იმედით.

აპოლონის ხელახალმა აღზევებამ კოკას სახელიც გაზარდა, იცოდნენ, რომ შექმნილი ვითარების მიუხედავად მამასთან მაინც ახლოს იყო, ზემოქმედებაც შეეძლო და უკვე ათასი სათხოვრისთვის ემზადებოდნენ. ნანა ფარცხალაძეც გაახარა თავისი აზრით უახლოეს მომავალში სამამამთილოს ახალმა წარმატებამ. ახლა უკვე აპოლონი დიდიდან შუალამემდე სახელში არ იყო, ხშირად სამსახურის უზარმაზარი კაბინეტის უკანა ანუ მოსასვენებელ ოთახშიაც იძინებდა, განსაკუთრებით პირველ ხანებში, რომ საკუთარი ბიოგრაფია უფრო და უფრო პოპულარული გაეხადა. ახლა სახელში ოჯახის მანქანაზე მომუშავე მძღოლს ყოველდღიურად მოჰქონდა მდიდრული საჭმელ-სასმელი, მოსამსახურე ქალი უამრავ კერძს, სალათებსა და ნამცხვარს ამზადებდა, კოკასაც ყოველდღიურად შინ ესხდნენ თანამებრძოლე-

ბი, განსაკუთრებით ლუკა ნაკაიძე, ღორღო ღვინიაშვილი, აგრეთვე ეზოდან თუ უბნიდან მომრავლებული მეგობრები. ნანა ფარცხალაძეც ხშირად ესწრებოდა შეკრებებს. გამოუცდელმა გოგონამ ყვაილებს, თაიგულებს, საჩუქრებს, მიპატიჟებებს, სასიყვარულო ფიცს ვეღარ გაუძლო, კოკას ძალდატანებითა და ცოლობაზე სისტემატური ლაპარაკით გაბრუვდა, ბიჭის ნებას დაჰყვა და ქალწულობაც დაკარგა. ახლა კოკას უკვე ცოლივით ჰყავდა, გოგონა კი ყოველდღე ელოდა როდის დამთავრდებოდა მათი სიყვარულის ამბავი. დაპირებებში ღრო გადიოდა, მიჰქროდა, ერთხელაც დაპირებებით გაბეზრებულმა გოგონამ ბიჭს კონკრეტულად დაუყენა საკითხი, როდემდის შეიძლება ასე ვიყოთ, უკვე ბებიჩემამაც იცის შენს შესახებ, ვანკუვერში მცხოვრებ დედასაც გავაგებინე ტელეფონით, მითხრა როგორც კი საჭირო იქნება და მეტყვი, ჩამოვალ, რომ შენი ბედნიერება ვიზეიმოთ.

იმ დღეს კოკას, ლუკა ნაკაიძის ბინაში ზომაზე მეტი მოუვიდა კოკაინის მიღება, მაგარ კაიფში მყოფი კარგ გუნებაზე ვერ იმყოფებოდა. იმ ამბავმა, რომ გოგონას ყველა შინაურისთვის ეთქვა მათი ურთიერთობის შესახებ უცებ გააბრაზა და ღრენის გუნებაზე დააყენა.

- სად გექჩარებოდა წინასწარ რომ მოუყვიე ყველას, იქნებ მე დამიჭირეს, იქნებ მამაჩემი კიდევ მოხსნეს, იქნებ დედაჩემს არ მოეწონე სარძლოდ, წინასწარ არაფრის ლაპარაკი და ჭკორაობა არ ვარგა.

- რა ჭკორაობაზე მიმანიშნებ, აქ საჭკორაო რა არის, უკვე ერთი წელი გადის რაც გამიცანი და აღარ შემეშვი, სწორედ ცოლობაზე შენმა გაუთავებელმა ფიცმა მიბიძგა შინაურებისათვის სიმართლე არ დამეძალა. თანაც აქ უკვე რაღაა დასამალი, უკვე ორ თვემდის ორსული ვარ, ექიმთან ვიყავი გასინჯვაზე და მითხრა.

- აუ, შენ სულ გაუბერე, ეგ კი აღარ ვიცოდი, ახლა ჩვენ ბავშვის თავი გვაქვს, ჯერ ვსწავლობთ, მუშაობა არ დაგვიწყია, გზაზე არ ვართ დამდგარები.

- შენ რაღაც სხვანაირად ალაპარაკდი, იქნებ ფიცისა და მტკიცების დრომ გაიარა.

- ყველაფერს თავისი ღრო აქვს, ახლა კი ეგ ჩანასახი ბავშვი უნდა მოიცილო, ჯერ ადრეა, მაგის დროც მოვა.

- რა სისულელეებს ლაპარაკობ კოკა, ენა როგორ გიბრუნდება ასეთი საშინელების სათქმელად.

- რა, მარტო ჩვენ ხომ არა ვართ, ყველა ასე აკეთებს, დღეს საღამოსვე მამაჩემს ფულს გამოვართმევ, კარგ კლინიკაში მოველაპარაკებით და ხელად მორჩება ყველაფერი, დროულად, უმტკივნეულოდ.

- ასეთი რამ არ მოხდება, მირჩევნია დაგცილდე და ბავშვი თვითონ გავზარდო, ვიდრე ასეთი ცოდვა ჩავიდინო, მე მორწმუნე ვარ, შენნაირი ურწმუნო უწმინდურისგან მეტს რას უნდა მოველოდე.

- შენ ცოტა წესიერად ილაპარაკე, თუ დაცილება გინდა დავცილდეთ,

გგონია შემაშინებ, ამ საკითხებზე წინასწარ რომ მიწვებოდი მაშინ უნდა გეფიქრა.

- კიდევ მე გიწვებოდი, შენი ფიცით და ცრემლებით დამღუპე, ახლა კიდევ მე მაბრალე. შენი ცოლობაც მართლა ისეთი საშინელება იქნება, ალბათ დამორება ბევრად აჯობებს.

- აჯობებს და აჯობოს, საერთოდ მე წინასწარ მიმცემი გოგო არც მინდა, სხვადაც რომ ჩემსავით გთხოვოს, ხომ არ არის გამორიცხული იმასაც მისცე, ეს მინდა ახლა მე, ამაზე უნდა ვინერვიულო.

- შენ ან გიჟი ხარ, ან იმდენი გაგიჩხერია, რომ ჭკუიდან ხარ გადასული, არანორმალურ მდგომარეობაში ხარ შე ისედაც არანორმალური, არაკაცო, მორფინისტად დაბადებულ, რა სისულელეებს ლაპარაკობ.

გოგონამ კარი გაიბრაუნა და თითქმის სირბილით წავიდა. უკვე ბნელოდა, მეზობლები ბინებში იყვნენ შეყუჟულები, თორემ აწითლებული, ცრემლიანი გოგოს დანახვაზე შეკითხვებს დაუსვამდნენ, მიხვდებოდნენ, რომ რაღაც ცუდი ამბავი მოხდა. დილით ახლად ნარიჟრაჟეზე მოხუცმა ბებამ, რომელიც ყოველთვის დილის ექვს საათზე დგებოდა, სააბაზანო ოთახში ჭერზე ჩამოკიდებული გოგონას გაცეიბებული ცხედარი იპოვნა. მოხუცის განწირულმა კვილმა მთელი სახლი და პირდაპირ მდგარი სახლები შეძრა. ხალხის ტალღა ფარცხალაძეების სადარბაზოსკენ დაიძრა. ლუკა ნაკაიძემ სასწრაფოდ ტელეფონით აცნობა ეს საშინელი ამბავი კოკას, მან ასევე

სასწრაფოდ გამოიძახა თავისთან ლუკა და ლორო, გადანახული ფული მთლიანად აიღო, დიდი სიფრთხილით გამოვიდნენ სახლიდან, დიდი სიფრთხილით ჩასხდნენ მანქანაში და ბათუმისკენ გაემართნენ. მთავარი იყო კოკა არ დაენახათ, მერე კი გაეგოთ, რომ თბილისში არ იყო, სადღაც იყო წასული მეგობრებთან ერთად. ამით დიდ ხათბალასა და მითქმა-მოთქმას გადარჩებოდა. ერთი კვირა ტელეფონიც არ აუღია, სპეციალურად გათიშა, თავადაც სულ გათიშული იყო განუწყვეტელი გაჩხირვებისაგან. მხოლოდ აპოლონს დაურეკა ბათუმში ვარ მეგობრებთანო, დაკავებულ მამას კი შეკითხვებისთვისაც არ ეცალა, შვილი სახლში როცა არ იყო უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს.

დაბრუნების შემდეგ მთელი ათი დღე სახლიდან არ გასულა. შიკრიკებს მოჰქონდათ ამბები. ნანას დედა ვერ ჩამოსულიყო კანადიდან, გრიპი ჰქონოდა, ბებია საავადმყოფოში გადაეყვანათ. მეტს არც არავის იცნობდა. მეზობლები ლაპარაკში საცოდავ ნანას ამტყუნებდნენ, ახალგაზრდა ქალმა როგორ ჩაიდინა ასეთი საშინელი საქმეო. სხვა საიდუმლოება კი საიდუმლოდ რჩებოდა. კოკას ბოროტი როლი ნაკლებად იყო გამოკვეთილი. ურთიერთობის შემზარავი დეტალები ბოლომდის არ იცოდნენ, მხოლოდ ყურმოკულ ჭორებს იმეორებდნენ, განუყრელ მეგობრებსაც კი ვერაფერი დასტყუეს. მკაცრად გაფრთხილებული ბიჭებიც სულ არ ვიცი, არ ვიცის გაიძახოდნენ, მუქთა ჭამა-სმისა და ნარკოტიკების იოლად

შოენის გამო გამორჩენისთვის მზადყოფი ბიჭები ქალაქის ცნობილი ხელმძღვანელის გარეწარ შვილს ლამის მონებად დადგომოდნენ.

ათი დღის შემდეგ კოკა კვლავ მოევლინა ეზოსა და დიდ უბანს. მის მიერ შემოკრებილი აცვენილი ბიჭების გუნდი უკვე იმხელა ძალას წარმოადგენდა, უფროსებიც და უმცროსებიც შიშით გარს უვლიდნენ, ნაცნობები მოკრძალებით ესალმებოდნენ, შედარებით დაბალი დონის მცხოვრებლებში მამის სახელიც ძალიან დიდ როლს თამაშობდა, თავისთავად იწვევდა პატივისცემასა და სამწუხარო მლიქვნელობის გრძნობას, მაინც ფიქრობდნენ იქნებ რამეში გამოეყენებინათ ბიჭთან ნაცნობობა, რომ ამ გზით საკუთარი ან ეზოსათვის სასარგებლო რამ გამოეტყუებინათ.

კოკა და მისი უსაქმური ამფსონები კვლავ დიდი მონდომებით ეწაფებოდნენ ნარკოტიკებსა და ამასთან ერთად მზად იყვნენ არც არაფი და კონიაკი დაეკლოთ. ზეაწეულ გუნებაზე მყოფები კვლავ დაბორილობდნენ უბანში, გოგოებს ებლლარძუნებოდნენ, ბიჭებს ახირებული მიდგომით სალაპარაკოდ იწვევდნენ, კამათობდნენ, მერე კი დასისხლიანებამდე ურტყამდნენ და ნაცემებს, პერანგჩამოხეულებს უშვებდნენ სახლში. მშობლების ჩივილსა და გაფრთხილებას ყურსაც არავინ უგდებდა, მაინც რის გაკეთება შეეძლოთ, მხოლოდ ლაპარაკითა და ჭორებით იონებდნენ გულს.

ერთ გვიან საღამოს როცა ელექტრონის ბოძებზე ანთებული

ყვითელი ნათურები ნალვლიან ფერს ფენდნენ მიდამოს, ქალაქის ხელმძღვანელის განსაკუთრებულად გარემონტებულ საპარადოსთან დიდი, შავად პრიალა ჯიპი გაჩერდა. მეზობლები გვერდითა მეორე საპარადო შესასვლელის წინ გამართულ ცისფერ ძელსკამზე იხდნენ და საუბრობდნენ. მათი ყურადება მყისვე მიიპყრო გამორჩეულად მდიდრულმა ჯიპმა. მანქანის წინა კარი გაიღო, მეზობლებმა ჯერ ქალის თეთრად კრიალა მუხლებსა და ბარძაყებს მოჰკრეს თვალი, მერე თავად ქალბატონი გადმოსრიალდა ტყავის წინა სავარძლიდან. მაღალი, მოხდენილი ქალის დანახვაზე მეზობლებმა ლამის შეჰყვირეს, ეს იყო სამი-ოთხი თვის წინ გაუჩინარებული ლიზი კომაძე. ქალს შეკრებილი საზოგადოებისკენ არც გამოუხედავს, სასწრაფო მოძრაობით აკრიფა საპარადოს რკინის მტრედისფრად შეღებილ კარზე კოდი და სადარბაზოში გაუჩინარდა. უბირიას დაცვის ორმა წევრმაც ფართოდ დაალო პირი ჩაცმულ-გამოპრანჭული კოხტა ქალბატონის დანახვაზე, ხმაც კი არ ამოუღიათ, მხოლოდ ძალაუნებურად თავები დახარეს ვითომ მისალმების ნიშნად. ზარის დარეკვის შემდეგ მასიური რკინის კარი შინამოსამსახურე ქალმა გააღო და გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა, მხოლოდ ერთი სიტყვის წაბურტყუნება შეძლო - მობრძანდით.

- სახლშია? - იკითხა ლიზიმ, მოსამსახურე თითქოს გონს მოეგო, დაბნეულობა დაძლია.

- დიხს, თავის კაბინეტშია, ახლახანს მობრძანდა, დღეს ვერ მოვიცალეო და პრესას ეცნობა.

ლიზიმ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების ბაკაბუკით გაიარა დიდი სასტუმრო დარბაზი, კორიდორი და დაუკაკუნებლად შეაღო კაბინეტის კარი. მაგიდასთან მჯდარი აპოლონი გაზეთს კითხულობდა, კარის შეღების ხმაზე თავიც არ შემოუტრიალებია, ეგონა მოსამსახურე ქალი შევიდა ვრცელ კაბინეტში.

- გამარჯობა აპოლონ, - შესვლისთანავე თქვა ლიზიმ და სავარძელში ღრმად მჯდარი მეუღლისკენ გაემართა ჩასაკონებლად.

ლიზის ხმის გაგონებაზე გაზეთის კითხვაში ჩაფლული ქალაქის თავკაცი გველნაკბენივით წამოხტა და უკვე მისკენ ხელებგაშვრილ ქალს არაბუნებრივი ხმით დაუღრიალა - არ მომეკარო შე ჩათლახო ნაბოზარო.

ლიზი ამგვარ შეხვედრას ბუნებრივია ელოდა, წარბიც არ შეუხრია, პირიქით თითქოს სითამამე მომატებოდა.

- რა გაყვირებს ამხელა ხმით, შე კაი კაცო, შეიძლება ასე შეხვდე თითქმის ოთხი თვის უნახავ ცოლს.

- წადი შე მართლა ბოზო და გათახსირებულო, ოთხი თვის ნატყნაურები ჩამოეთრიე და ახლა გინდა ოვაციებით შეგხვდე, შე მოლაღალტე მაწანწალა, სირცხვილია ჩემი მდგომარეობის კაცი ბიჭივით იქცეოდეს, თორემ მაგრად გცემდი, დაგასივებდი, თავყბას დაგამტვრევდი.

- კარგი კაცო, ქალის ცემა რა ვაჟკაცობაა, ამგვარი ველურობა ყველგან უარყოფილია.

- ჰოდა, სადაც უარყოფილია ისევ იქ წაეთრიე შე ყლისთვის გაგიჟებულო, შენ სხვა არაფერი არ გაინტერესებს, ავხორცა ნაბოზარო, შენთვის ტყნაურია ცხოვრების მთავარი მიზანი.

- ასე რომ ყოფილიყო, რა მრჯიდა უკან ჩამოვსულიყავი, ვინ მაძალებდა, ჯერ მომისმინე, გაიგე რაშია საქმე, მერე კი ან იყვირე, ან მცემე, ან მაკოცე, ბავშვები ხომ აღარ ვართ მოლაპარაკებისა და მიზეზების გარკვევის გარეშე ვიჩხუბოთ. მართლა, სულ დამავიწყდა რითიც უნდა დამეწყო. მომილოცავს ქალაქისთავობა, როგორც იქნა მიხვდნენ შენ ვინ ხარ და რამხელა საქმეების კეთება შეგიძლია.

- წადი შენი ბოზი დედაც მოვტყან, შე მართლა ჩათლახო და ყლის სიყვარულით დაავადებულო, ეტყობა გაიგე რომ დამაწინაურეს და ისევ გინდა ქალაქის მასშტაბის პირველი ლედი გახდე, შეიძლება ქვეყნის პირველ ლეღობაზეც ოცნებობ, ვერ მოგართვეს, წაეთრიე აქედან და შენი მსუქანი ტრაკით სხვას ჩაუჯექი კალთაში, მე კი ჩემი შეცდომა საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია, შენნაირი ნათრევი ბოზი ცოლად რომ მოვიყვანე, რა მრჯიდა, რამ ამირია ტვინი, ვითომ უქორწილოდ მოცემაზე უარს იტყოდი, შენ ხომ ასპროცენტიან მიმცემად ხარ დაბადებული, მე კი არა მერიის დარაჯსაც რომ ეთხოვა იმასაც დაუწვებოდი.

- გეყოფა ამდენი ლანძღვა-გინება, გავიგე ორი ქმარი მყავს გამოცვლილი, ჩემი ბრალი რა არის ამაში თუ ქალს ვერ მოუარეს, თავად იყვნენ ყლებები და შენი არ იყოს ბოზობას სხვას აბრალებენ. ახლა შენც მორჩი ამდენ ყვირილს და შეუაცხყოფას, თორემ ტვინი თუ გადამიტრიალდა ამ მართლა ასპროცენტთან მასალებს, ნივთმტკიცებებსა თუ ფაილებს ავდგები და მთავრობას გავუგზავნი, თან ისიც არ დაგავიწყდეს, რომ მე ახლაც შენს კანონიერ ცოლად ვითვლები, მერე საკუთარი თვალთ ნახავ როგორ დარჩები შენს საყვარელ ადგილზე, დარჩები კი არა დარწმუნებული ვარ ციხის ერთ კარგ „კუტუსკასაც“ გამოკრავ ხელს. ყვირილი და გინება რა კაცის საქმეა, მთავარია მიხვდე რა ხდება ან რა ხდებოდა შენს თავს და სწორი, სამართლიანი დასკვნებიც გააკეთო.

აბოლოონს ელდასავით ეცა ლიზის გაავებული შემოტევა, დარწმუნებული იყო ქალი ტირილს დაიწყებდა, მუხლებზე დაეცემოდა, დაჩოქილი სთხოვდა პატიებას, ათას მიზეზს მოიგონებდა, შეცდომას აღიარებდა, აქ კი უკვე გააღმასებულ ქალს ხედავდა, რაც მის აბობოქრებას ძალას უკარგავდა და ვერამოხსნილი ვითარებისკენ მიაქანებდა.

უხამსი შეტევების შენელების შემდეგ ლიზიმ ტყავის დიდი ხელჩანთა გახსნა, კარგა სქელი საქაღალდე ამოიღო და გაზეთებისათვის განკუთვნილ მაგიდაზე დადო, თან საქაღალდეს ხელი დაარტყა - აქ არის მთელი საოცრება და უბედურება, აქ ზოგიერთ ისეთ

მასალასაც ნახავ, შენ კი არ უნდა მაგინებდე, მე უნდა გლანძღავდე და გცილდებოდე კიდეც, მაგრამ რა ვქნა, ნამდვილი სიყვარული მართლა რთული და ყველა დაბრკოლების გადაძლახავი ყოფილა.

- რაშია საქმე, რა რებუსებით ლაპარაკობ, კიდეც რა ნაბოზრული ჭორები მოიგონე, შენგან ყველაფერია მოსალოდნელი, იქნებ საწოლ ოთახში ვიდეთვალე დააყენე და ის გადააღებინე როგორ გტყნავდი წინიდან თუ უკნიდან, ახლა კი რაღაცა გზებით დამაშანტაჟო.

- ისე ლაპარაკობ ვითომ მაგარი მტყვენელი იყავი, ეგ ყველაფერი რაც ბრძანე და რაც ავადმყოფურ თავში მოგივიდა სრულიად კანონიერი იყო, მაგაზე არავინ არაფერს გეტყვის, მე აქ მოთავსებულ მასალებზე მოგახსენებ, რაც ფაქტიურად შენი დაღუპვის ტოლფასია და დაიღუპებოდი კიდეც მე რომ არ მემარჯვა, მაღალი გონიერება რომ არ გამომეჩინა და ზოგიერთის თვალში თუნდაც ჩემი უზნეობის ფასად არ გადამერჩინე. ახლა ასე მოვილაპარაკოთ: ამ უბინძურეს მასალებს შენ დაგიტოვე, მთელი ღამე დასჭირდება ნახვას და ნანახის გაანალიზებას, კიდეც კარგი ხვალ კვირაა და უფლება გაქვს ერთი დღით მაინც დაისვენო, თან რომ იცოდე ეს ყველაფერი სამ ეგზემპლარად იყო გაკეთებული, მე სამივე მოვიპოვე, ოღონდ ჯერ ორი საიმედო ადგილასაა გადანახული, ამიტომ ჯერ განადგურებაზე არც იფიქრო. დაჯექი შენთვის, აგერაა კომპიუტერიც, ფეისბუქიც, აიპოდიც,

აიფელიც, ყველაფერი კარგად ნახე, უეჭველად ძალიან ბევრი შეკითხვა დაგებადება, რაც სასწრაფო გარკვევას მოითხოვს, ამიტომ მარტო დაგტოვებ, მეტი გავალ, მსუბუქად ვივარსებ და მერე ჩემს ლოგინში დავიძინებ, შენ კი ხვალდინვე უნდა შეაპარო მთავარ მოჭორავეებს, რომ ჰოლანდიაში წასვლა ან ვიღაცის გაყოლა მხოლოდ თვალის ასახვევად იყო გამოგონილი, პირიქით ამერიკაში გამიშვი სამი თვით სასწავლად, ძალიან ძვირი კოლეჯი იყო, ამის თქმის მოგერიდა და ჭორების გაფანტვაც აღარ გიცდია. ახლა კი დავბრუნდი და კურსების დამთავრების სერთიფიკატიც ჩამოვიტანე, რაც მომავალ სამსახურში დასაწინაურებლად გამომადგება.

აპოლონი ისე დაიბნა და ჩაიფერფლა, რომ წესიერად ხმაც ვეღარ ამოიღო. ლიზი კაბინეტიდან გავიდა, თავად კი ენაჩავარდნილი საქალაქის გაცნობას და მოტანილი ვიდეომასალის ნახვას შეუდგა.

დილის ათ საათზე გამოძინებული და შეღებულ-გალამაზებული ლიზი მეუღლის კაბინეტში შევიდა. აპოლონი იჯდა, ბოლო კადრებს ეცნობოდა, თან რაღაც საკითხებს ფურცელზე იწერდა. მწითური სახე და აღაჟღაჟებული ლოყები გაფითრებოდა, თითქოს ჩავარდნოდა კიდევ, თან უსიამოვნოდ ყვითელი წვერი მოკიდებოდა.

- რა ქენი აპოლონიჩიკ, ნახე ყველაფერი? რამე ხომ არ გამოგიტოვებია?

- ვნახე ეს საშინელებათა სერია და ახლა ვფიქრობ ნეტავ საერთოდ არ მენახა.

- რომ არ გენახა სხვა ნახავდა და სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა საკუთარი თავი სამუდამოდ დაგელუპა.

- თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, ალბათ, სამწუხაროდ ასეც იქნებოდა, მაგრამ ბევრი რამის არ მჯერა.

- რა, შენ კიდევ ეჭვი გეპარება მართლაც ამ საშინელებათა სერიის სიზუსტეში, უბრალოდ გიჭირს დაჯერება, რომ ამდენი დანაშაული და არაკაცობა პირადად შენ გაქვს ჩადენილი. კარგია, როცა სხვას, თუნდაც საკუთარ ცოლს ბოზს, ჩათლახსა და მინეტის ოსტატს ეძახი, მაგრამ ამ დროს გავიწყდება ან უბრალოდ აღარ განსოვდა თავად შენ მართლა ბოზი გოგოებიდან ლამაზმანს როგორ აწუწინებ სირს და როგორ აწვები ტრაკიდან. მარტო ამ გაუკუღმართებული სექსის სურათების გაგზავნა ხელისუფლებისათვის საკმარისი იქნებოდა შენს ასაორთქლებლად.

- კარგი, ყველაფერს ჯანდაბის გზა ჰქონია, ბოლოს და ბოლოს ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე, ახლა სამსახურში დავრეკავ, დღეს დანიშნულ თათბირს ხვალისთვის გადავდებ, არავის არ მივიღებ, ტელეფონსაც გავთიშავ, შენ კი დაჯექი და ყველაფერი ზუსტად მომიყევი რა იყო, რა ხდებოდა, როგორ და ვისგან შეიქმნა ეს ამაზრზენი ფირები, ბოლოს და ბოლოს მე ხომ უნდა გავიგო რა ვირწ-

მუნო და რა არა, იქნებ ზოგიერთი სახის ფაბრიკაციასთან გეჭონდეს საქმე.

- რა ფაბრიკაცია, ისეთი ფაქტები, უმრავლესობის სიზუსტე შენც იცი და მეც, აი, აქ არის მთელი უბედურება.

აპოლონმა რამდენჯემე დარეკა მობილური ტელეფონით, მერე საწერ მაგიდასთან გადაჯდა ფურცლითა და ქალაღლით ხელში, ნახევრადშიშველი ლიზი კი ტყავის სავარძელში მოკალათდა, შიშველი მიმზიდველი მუხლები ზემოთ ასწია, ხელით დაეყრდნო და საიდუმლოების გამომჟღავნების გაწე-ლილი ხმით დაიწყო მოყოლა:

- ძალიან გრძელი ისტორიაა, ზოგჯერ ფანტასტიკურ ტონალობაში გადასულიც კი, ამიტომ შევეცდები რაც შეიძლება მოკლედ, კონკრეტულად და გასაგებად მოგითხრო. ნუ გამაწყვეტინებ, აზრებს ნუ დამიკარგავ, ფურცელი და პასტა წინ გიდევს, ჩაიწერე რაც არის გაუგებარი და დამთავრების მერე შევეცდები ყველაფერი ისე აგიხსნა როგორც მე ვიცი და როგორც მესმის.

ჩემს უახლოეს დაქალთან თიკო სულაქველიძესთან ქეიფისა და შემდეგ ყავის სმის ღროს გავიცანი მისი ბიძაშვილი ზურაბი, რომელმაც საოცრად დიდი ინტერესი გამოავლინა ჩემდამი, თითქოს ყოველ წუთს თაყვანს მცემდა, წელში მოხრილს მოჰქონდა ყველაფერი, თან თიკოს თუ მაგიდის სხვა წევრებს ეუბნებოდა, რომ ჩემსავით ლამაზი, მოხდენილი, ჭკვიანი და პიკანტური ქალი ჯერ არ ენახა.

- არ გინდა ახლა საკუთარი თავის გაძლიერებული ქება, ჯობია

საქმეზე ილაპარაკო, ფაქტების კონსტანტირებით.

- ესეც ფაქტის კონსტანტირება იყო. მოკლედ, თიკოსთან ისედაც ხშირი შეხვედრები კიდევ უფრო გახშირდა. ეს შეხვედრები და სმა-ქეიფები თვეზე მეტხანს გაგრძელდა. ქალი მაინც ქალია და საიდუმლოს ბოლომდის მაინც ვერ დაფარავს. ერთ საღამოს, როცა მარტონი ვიყავით, კარგა მაგრად გადაკრული თიკო გამომიტყდა, რომ ეს ზედმეტად დამაქრული ზურაბი სულაც არ იყო მისი ბიძაშვილი, არამედ, როგორც შენ ძალიან გსიამოვნებს გამოთქმა თიკოს მტყვენელი იყო. სინამდვილეში ცოლი და ორი შვილი ამერიკის ქალაქ ატლანტაში ყავდა განიზნული, სადაც ქართული რესტორანი ჰქონდა გახსნილი, ღვინო-არაყს სახლში აყენებს, საუკეთესო მზარეულე-ბი ჰყავს ჩაყვანილი, მაგარი პოპულარობით საგებლობს და დიდ ფულსაც აკეთებს. ფიცითა და პირობის დადებით ნელ-ნელა სხვა ბევრი რამეც შევიტყვე. ეს ტიპი სულაც არ იყო ზურაბი, არამედ იყო ბიზნესმენი ბაკურ ჯაბიძე. გამიკვირდა რატომ დამალა საკუთარი გვარ-სახელი. ამ გვარ-სახელის გაგონებაზე აპოლონი შეხტა, მაგრამ თავი მოთოკა და ფურცელზე რაღაცეები ჩაიწერა. მერე და მერე ისიც გავიგე შენი პარტნიორი ყოფილა მგონი ბაზრობების ბიზნესში. გარკვეული დროის შემდეგ დიდი უსიამოვნება, ჩხუბი მოგსვლიათ, შენ ბიზნესიდან გაგივლია, წილი წაგირთმეოდა, რასაც მილიონობით დოლარის უკან დაბრუნება თუ ასევე წართმევა მოჰყოლია. ეს

მომხდარა ოთხი წლის წინ, მაშინ წაუყვანია ცოლ-შვილი ამერიკაში, სადაც მისი უფროსი ძმა მუშაობდა ბენზინისა და გაზის ბიზნესში. წასვლის წინ უახლოესი ადამიანებისთვის უთქვამს, კაცი კი არა უკანასკნელი პედერასტი ვიყო თუ აბოლონ უბირია არ დავამხო და ფეხებით არ გავთელო. ერთი წლის წინ დაბრუნებულა, დაუქირავებია სპეციალურად მსგავს ბინძურ საქმეებში გაწაფული ფოტოგრაფები ანუ პაპარაცები და შენი ყველა ნაბიჯის შესწავლა-დაფიქსირება დაუწყია. ასე შეუქმნია ეს ამაზრზენი კლიპები, აქ ბევრი სექსუალური ურთიერთობებია, სხვათაშორის, მეც საკმაოდ ვარ გადაღებული, სამწუხაროდ ბევრია გაუკუღმართებული სექსის ფაქტები, ჩემნაირი ცოლის პატრონს რა გაგიჭირდა, რომ მსგავსი დანაშაულები არ გეკეთებინა, თუმცა ყველა კაცი ერთნაირად მოსაკლავია. ესეც თითქოს არაფერი, მაგრამ უამრავია ფულის ალების ფაქტები, თან სულ მილიონების მიღებაა დაფიქსირებული, ასევე ოქროს, ძვირფასი სურათების, ბრილიანტების ალების ფაქტები, რისი გამართლებაც თითქმის შეუძლებელია და მსგავსი ფაილების ნახვა-გამოძიებას უდავოდ მოჰყვება დაჭერის, კონფისკაციის, შეწერის ფაქტები. მე მგონი ისე არც შეიძლება უყვარდე სამართალდამცველ ორგანოებს, რომ შენს წინააღმდეგ მიმართული საბუთების შესწავლას მწვანე შუქი არ აუნთონ.

- ხედავ ვინ ყოფილა ეს გარეწარი, ჩემი ყოფილი პარტნიორი, ვითომ ძმაკაცი, სინამდვილეში კი ტიპური

აფერისტი, გაქნილი გაიძვერა, მატყუარა და ერთი წამითაც არასანდო პიროვნება. ხედავ რა მდაბლური საქმე წამოუწყია. ეგეთი ხალხი არავის არ უყვარს და მაგასაც დედა ეტირება. ეს ყველაფერი დაახლოებით გასაგებია, მაგრამ შენ როგორ მოხვდი მაგასთან, თან საზღვარგარეთ, და რაც კიდე უფრო მთავარია, ეს ვერაგული საილუსტრაციო მასალა როგორ მოხვდა შენთან.

- ახლავე ყველაფერს გეტყვი ასევე მოკლედ და კონკრეტულად. ამ გათახსირებულ ბაკურს ისიც დაუტრახებია გოთვერან უგულავას ცოლიც უნდა წავართვა და საზღვარგარეთ წავიყვანო, რომ უფრო გამწარდეს და ჩემი სახელის გაგებისთანავე სულ თითები დაიკნინტოსო. მე ეს ყველაფერი გავიგე, შენთვის რომ მეთქვა ამის შესახებ, დარწმუნებული ვარ საქმე ათასჯერ ცუდად წავილოდა, ამიტომ ჩემი გეგმები შევიმუშავე და პირიქით ამ გათახსირებული ტიპის ბოროტ მიზნებში იქით გამოწვევა მტკიცედ გადავწყვიტე. თიკო შევეკარი ეთქვა, რომ მე ქმარი არ მიყვარს და მისგან დღეღღებე გაქცევას ვაპირებ. ამ ცნობამ მისი ვერაგული მიზნები გაამყარა და თავისი ბნელი სურვილების განხორციელება უნდა დაეწყო. სწორედ ამ დროს დაურეკა ატლანტიდან ცოლმა ჩამოდიო. საგადასახადო დეპარტამენტის ინსპექტორები შესულიყვნენ საზღვების ობიექტში და სასწრაფოდ ჩამოდიო. ერთ საღამოს ქეიფის მერე ცოტა გადაკრული გამიყვანა და პირდაპირ დამაჯახა - აქ მოწყენილი ხარ, ქმარს

შენთვის არ სცალია, არც უყვარხარ, ვეღარ გიტანს, წამოდი ჩემთან ამერიკაში, დედოფალივით მოგივლი, წილშიც ჩაგსვამ, ჩეჩქივით ფულს გამოვინებ, თუ არ მოგეწონება როცა გინდა დაბრუნდი, ოღონდ ჯერ ჰოლანდიაში წავიდეთ, ძებნა რომ არ დაგვიწყონ გზა ავურიოთ, მერე კი ვენიდან გავფრინდეთ ამერიკაშიო. მე ვუთხარი ძალიან რთული საკითხია და ერთი დღე მაინც მინდა მოსაფიქრებლად მეთქი. ეს ამბავი თიკომ რომ გაიგო, ეტყობა გულში მაინც იეჭვიანა და გაცეცხლებული სახით განაცხადა მეც უნდა წამოვიდე ამერიკაში, ჩემი დაქალი თუ წამოვა მე აქ რაღა მინდაო. იმ აფერისტსაც სხვა გზა აღარ ჰქონდა, ბინძური ჩანაფიქრი რომ არ ჩამოვლოდა, თანხმობა განაცხადა, სამი ბილეთი მოიტანა. წავედით ამსტერდამში, ორი დღის მერე ვენაში გადავედით და ამერიკაში გავფრინდით. სულ რომ გაიძახი ასე უხეშად იტყნაურე და იტყნაურეო, თავისი სატყნავი ობიექტიც თან ჰყავდა, ცოლიც ამერიკაში ელოდებოდა. ისე რომ მე გულითაც რომ მომენდომებინა შენს ღალატს მაინც ვერ შევძლებდი. სამი თვე ვიყავით ატლანტაში, მე და თიკო ცალკე ვცხოვრობდით სხვა რაიონში, ცალკე სახლში. ეტყობა ცოლი აგდებული ჰყავდა, ხშირად რჩებოდა ჩვენთან და თიკოსთან ცალკე სართულზე ნებივრობდა. მერე როცა დარწმუნდა, რომ მე ქმარს ნამდვილად გავეჩქეცი, ამით კი მას ვასიამოვნე, ერთგულებაც დაუუმტკიცე, ამიტომაც გამენდო: აპოლონმა მე მილიონები წამართვა და მილიონების

მომტანი საქმე დამაკარგვინა, მისგან მინიმუმ ათი მილიონი მაინც უნდა წამოვიღო, ფულის მეტი რა აქვს, თუ ჭკუას არ მოუხმო და ვირუღად გაჯიქდა, მაშინ ამ მასალებს ხელისუფლებას მივაწოდებ, თუმცა ასეთი ბოზობის ჩადენა და მერე ჩემკენ სხვების გინების მომართვა ნამდვილად არ მინდა, მე უფრო ვაჟკაცურად ვარ გაზრდილი და ასეთ რამეებს ვერ ვიტანო.

მე მაშინვე სწორმა აზრმა გამიელვა თავში როგორ და რა გზებით უნდა მემოქმედა. ვუთხარი დავვადები, ორი დღეში ყველა საიმედო ვარიანტებს ჩამოვწერ და ძირფესვიანად მოვილაპარაკოთ-მეთქი. კარგად გავიანზრე, რომ ამ მასალების გამოჩენა, შენც დაგლუპავდა და მეც ზედ მიმაყოლებდა. მზად ვიყავი გინდაც მომეკლა, ოღონდ ეს საოცარი სიბინძურე ხელში ჩამეგდო. ორი დღის მერე სადამოხანს დავსხედით, ვუთხარი ბევრი ვიფიქრე და ამაზე საინტერესო გამოსავალი ვერ მოვიფიქრე მეთქი. დიდი ყურადღებით მოვისმენ ნებისმიერ წინადადებასო. ისიც მინდა ვთქვა, რომ მართლაც ჩემი უახლოესი მეგობარი თიკო სულაქველიძე კვლავ შემეკრა, მხარში დამიდგა, მე მითხრა ბაკური უსინდისოდ მატყუებდა, დღედაღამ მეფიცებოდა შენს ცოლად შერთვაზე ვოცნებობო, აქ კი კანონიერი ცოლ-შვილი ჰყოლია, თანაც გამოცდილი ქალის ხედვით ვატყობ ერთი სული აქვს შენთანაც მიღალატოს, არამდგრადი პიროვნებაა, მოღალატის სული სძლევეს. ეს ფაქტიც არ მომწონს, როგორ გადაწყვიტა ყოფილ

პარტნიორზე ასეთი სიბინძურის შეგროვება, ეს რა კაცის საქმეა, ჯობდა რაც მოხდა გაერჩიათ, ეჩხუბათ, დაერთყათ, თუ საჭირო გახდებოდა მოეკლა კიდეც, ოღონდ ბოდიში და ასეთ წმინდა ბოზურ გზას არ უნდა დასდგომოდა. ჯაბიძის მიერ დაწყებული შურისძიების სქემა და შინაარსი მეც ძალიან არ მომწონდა, არაკაცურ საქციელად მეჩვენებოდა, შურისძიებასაც კი ვაჟკაცური საფუძველი უნდა ედოს, ყველაფერი არ უნდა იკადრო.

ჩემი მოსაზრებები ვუთხარი, ყურადღებით მისმენდა, ეტყობა გონებაში გაანალიზებას ცდილობდა, თუმც არც ამხელა გონებრივი შესაძლებლობებით გამოირჩეოდა. მე ვუთხარი - ახლა შენ რომ წახვიდე თბილისში და ეს მასალები წაიღო, ჯერ ერთი არ გცალია, საქმეები აქაც არეულა, მეორე და მთავარი - შენთვის უკიდურესად საშიშია, ეს ამბავი საიდანმე გაჟონავდა, საქართველოში სხვა რა დამალულა, რომ ეს ამხელა საქმე დაიმალოს, ამიტომ აპოლონიც მზად იქნება და გამოჩნდები თუ არა, როგორც პროვოკატორს, ყალბისმქნელს, გამომძალველს, სისხლის სამართლის ძალიან მკაცრი მუხლებით დაგაპატიმრებს და შეიძლება ხანგრძლივი „სროკიც“ აიკიდო. სხვას რომ თავი დავანებოთ აქ, ამერიკაში ყველაფერი დაგეგუპება. ახლა ამ რთულ საქმეში ჩვენ უკვე ერთნი ვართ, შენ რომ რამე მოგივიდეს, მეც და თიკოც ვიძირებით, აქ ცხოვრებას ვეღარ შევძლებთ, იქ კი ვისთან დავბრუნდეთ. ამიტომ ჯობია ეგ მასალები მთლიანად, როგორც შენ სთქვი, სამივე ეგზე-

პლარი გადმომცე მე, აქ უკვე ძალიან ღია თამაში უნდა წავიდეს. მე წამოსვლის წინ ბევრ ბოზსა და ჭორიკანას დაუბარე კი არ გავრბივარ, ჩუმიად სასწავლებლად მივდივარ, რაც არ მინდა გახმაურდეს-მეთქი. ამ ჩემს ნათქვამს აუცილებლად დაატარტალებდნენ, არც ასეთი ხმებია ურიგო და გამომადლება. როგორც თქვი, შენი მიზანია აპოლონს 8-10 მილიონი წაართვა, კი, ბატონო, იყოს ათი, მე შეიძლება ისე ჩავაწყო საქმე თხუთმეტი მილიონიც ავიღო. ამ შემთხვევაში ესეც პირადად შენს მოგებად შეიძლება ჩაითვალოს, მე და თიკო უზრუნველყოფილები გეყოლებით. მე ქალი ვარ, ჭკვიანი და გაბედული ქალი, თანაც ჯერ კიდევ მის კანონიერ ცოლად ვითვლები, ყოველ მიზეზს გარეშე მოვახერხებ რომ აპოლონმა ირწმუნოს, რაც შეიძლება მოხდეს მის თავს და ჩემთვის მილიონების გადმოცემა არ გაუჭირდეს, მე ყველა უბანზე ნაცნობების წყალობით ამ თანხის გადმორიცხვას მშვენიერად მოვახერხებ. მთლიანად ძალიან ძნელია, მაგრამ საგრძნობი ნაწილის წამოღებას მაინც მოვახერხებ, ბოლოს და ბოლოს მანქანით გადავალ თურქეთში, დარეკილი იქნება, რომ საბაჟოზე სრულიად დაუბრკოლებლად გამატარონ, თურქეთიდან კი აქ ფულის ჩამოტანას წინ რაღა უდგას, როგორც გინდა, პირადად შენი არჩევანია, შემიძლია მარტო მე წავიდე და წავიღო ყველაფერი, თუმცა საქმეში სიზუსტისა და სინქრონის მისაღწევად მაინც აჯობებს თიკოც წამოვიდეს, ორზე ეჭვს საერთოდ ვერავინ ვერ მიიტანს, თან

ატეხილი მითქმა-მოთქმის საფუძველზე ჩემი გავლენიანი ყოფილი ქმრის მაინც მოერიდებათ და შეეშინდებათ.

დავამთავრე საუბარი, ეს მართლაც ჩათლახი ბაკურა კარგა ხანი უსიტყვოდ იყო და როგორც ჩანს დიდ სულიერ ბრძოლას განიცდიდა, თან ამ ხარბმა კარგად მოტვინა, რომ უშიშრად, განსაცდელისა და მაგარი ჩალიჩის გარეშე შეეძლო ნანატრი მილიონები მიეღო, თან საკუთარი თვალთ ნახა საკუთარი ქმრისაგან ჩემი უკომპრომისო გამოქცევა, რაც მისიანად მაქცევდა და ფიქრობდა ღალატის გზები მოჭრილი მქონდა.

თავი გვიან აიღო და თქვა, მე მგონი ძალიან გამოცდილი და ძლიერი ადამიანის მოფიქრებულია ყველაფერი, დეტალები და მიდგომების გზების ძებნა

მერე გადაწყდება. მარტო წასვლას და ამხელა სარისკო საქმესთან შეჭიდების გათვალისწინებით ჯობია თიკოც წამოვიდეს, აზრების გამზიარებელი მაინც გეყოლება, თან ორივე წილში გახვალთ. - უკვე ფულებს ანაწილებდა, თან თიკოზე ზრუნვას თავიდან იცილებდა, ის ათი მილიონი კი მხოლოდ და მხოლოდ საკუთრად მიაჩნდა, ჩვენ ზედმეტის მიღებას თუ მოვახერხებდით, თავისი მოკლე ჭკუით, იმას დიდსულოვნად თვლიდა ჩვენს წილად. მასალების გადმოცემისას ასჯერ გავაფრთხილე, დავაფიცე და დავაგინებინე არაფერი მასალა აღარ დაეტოვებინა, თორემ ერთ კაპიკსაც ვერ მიიღებდა და მსხვილი აფერული შანტაჟისტის ისევ მას დაედებოდა ბრალი.

*ნუგზარ წერეთელი*

*მეოთხე თავის დასასრული.  
გაგრძელება იქნება*

## ბურამ რჩეულიშვილის ლეგენდა არასდროს დასრულდება



*ემზარ კვიციანიშვილი*

ხშირად მიფიქრია – გასული საუკუნის სამოციანელთა უძლიერესი თაობის ყველაზე მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო გურამ რჩეულიშვილის უღვთო, მოულოდნელი დაღუპვა.

სულაც არ გამკვირვებია, რომ ამავე აზრისაა თანამედროვე ქართული მწერლობის პატრიარქი, დიდი ქართველი რომანისტი და მამულიშვილი, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული ჭაბუა ამირეჯიბი, ვისაც გურამ რჩეულიშვილის უპირველესი და უერთგულესი მეგობრის, მისი ცხოვრების დაუღალავი და პირუთვნელი მემკვიდრის ნუგზარ წერეთლისათვის, დაბადების

სამოცდამეხუთე წლისთავზე (2009) საუცხოო სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე წერილი გაუგზავნია.

ეს მილოცვა ნუგზარ წერეთელს მარჯვედ, მოხდენილად ჩაურთავს გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ მესამე, მრავალმხრივ საყურადღებო წიგნში „გურამ რჩეულიშვილის ლეგენდა გრძელდება“ (2012), რომელზედაც მსურს მოკლედ გავიზიაროთ ჩემი აზრი. წინასწარ უნდა აღინიშნოს – ამ წიგნში ბევრი ისეთი რამეა ნათქვამი თამამად და შეულამაზებლად, რასაც უმკაცრესი საბჭოთა ცენზურის პირობებში ავტორი ვერასგზით ვერ იტყოდა.

ადრესატის დამსახურებული ქების შემდეგ ჭაბუა ამირეჯიბი, ვისაც თვრამეტწლიანი პატიმრობიდან, გულაგიდან ახალდაბრუნებულს, გურამ რჩეულიშვილთან მცირე ხნის, მაგრამ გულითადი ურთიერთობა ერგო, ხსენებულ ბარათში განაგრძობს: „გურამ რჩეულიშვილის სიკვდილი მე თუ მკითხავს ვინმე, მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩვენი სულიერი მომავლისათვის უმნიშვნელოვანესი დანაკლისი იყო და ვითომ რა გასაკვირია, რომ მასთან ერთად გამოვლილმა სიცოცხლემ მისი მართლაც რომ საკადრისი, ნაღდი და აღტაცებული წიგნი დაგაწერია ... ბარაქალა, ნუგზარ წერეთელი – მწერალი და მარად მებრძოლო მამულიშვილო“.

ჭაბუა იგონებს, რომ ორთაჭალაში, მისი ადრინდელი სამსახურის მახლობლად (იალბუჯის აღმართი), მტ-

კვრისპირა სასაუზმეში, წასახემსებლად, მარტო მჯდარა და იქ უეცრად გურამ რჩეულიშვილს შეუვლია („სალამი, ღვთის რჩეულო რაინდო!“ „სალამი, უფლის მიერ ჭაბუკობით დაჯილდოებულ რაინდო“ ასე მიმართავდნენ თურმე ისინი ერთმანეთს).

ამ რიტუალური, ნახევრად სახუმარო, მაღალფარდოვანი მისალმების შემდეგ ჭაბუკს გურამი მაგიდასთან მიუწვევია, ერთად ვისამხროთო. ასეთი სამხრობა, უცნაური დამთხვევის გამო, რამდენჯერმე მოსწვევიათ. მერე, ხუხულების დანგრევისა და რეკონსტრუქციის შემდგომ, მტკვარზე გადაკიდებულ რესტორანშიც შეხვედრიან ერთმანეთს, ვერანდიდან უყურებდნენ დაბლა მოჭყუმპალავე ბიჭებს, რომელთაც, მათივე თხოვნით („ძია, ერთი მანეთი ჩამოგვივდე, რა!), დაჭმუჭნულ ფულს უგდებდნენ მდინარეში და ძირს იმართებოდა წეწვა – გლეჯა.

ამას მოსდევს ერთი გუნების წამხდენი, რამდენადმე მისტიური ადგილი, რომლის განსხვავებაც, აძენი ხნის მერე, ღრმად მოხუცებულ ჭაბუკს ღღემდე უსიამოვნო ჟრუანტელად უვლის ტანში.

„ერთხელაც იყო ვსხედვართ გურამი და მე, ვსაუბრობთ, ფულები უკვე გადაყრილი გვქონდა, ვერ გეტყვი რატომ, მაგრამ ასეთმა ფიქრმა გამკრა – ახლა აი, ის ბიჭუნა რომ იხრჩობოდეს, რჩეულა დამასწრებს საშველად, გადახტომას, თუ მე უფრო ძალი აღმოვჩნდები მეთქი?“

ორიოდე კვირის შემდეგ გაგრიდან, სხვების გადასარჩენად ზღვაში დაღუპული გურამ რჩეულიშვილის

საშინელი ამბავი მოვიდა და თუ რა თავზარს დასცემდა ასეთი ტრაგედიის გაგება ჭაბუკს ამირეჯიბს, ამის წარმოდგენა ძნელი არ არის.

აქვე უნდა გავიხსენო (ამაზე ადრე კიდევაც ვწერდი), მეორე დიდი მწერალი – რევაზ ინანიშვილი – როგორი შესაშური ოსტატობით, სახიერად ხატავდა ერლომ ახვლედიანის ოჯახში გაცნობილ გურამ რჩეულიშვილთან ურთიერთობას.

რეზო მისეული უშუალობითა და პირდაპირობით იწყებს ამ ძალზე უბრალოდ დასათაურებულ („გურამ რჩეულიშვილთან“) მცირე მოგონებას: „მეგობრები არ ვყოფილვართ, არც ახლო ამხანაგები, პირიქით, აშკარად გვიპირისპირდებოდა ჩვენი თაობის მწერლებს – გაბედულებით, სილაღით, ხელგამლილობით“.

მერე იწყება უწყინარი უცნაურობანი, რასაც გურამი და მისი ამფსონები ყველას დასანახად სჩადიდნენ (მაგალითად, რუსთაველის გამზირზე ზარ-ზეიმით ჩამოატარეს საიდანლაც ჩამოყვანილი „სულ პატარა ჩოკინა ... ამაყად ყურებდაჭიმული ყოჩაღად ფეხგამლილი, პაკუნა“).

როცა რეზოს შეხვდა ერლომის ბინაში, იმხანად ჭრელი აბანოს მახლობლად მდებარე „გრძელი, ბარაკულად შეკრული, ლურჯად შეღებილი“ საჩაიე ჰქონდა ამოჩემებული და რეზო ინანიშვილი ერლომ ახვლედიანთან ერთად იმ საჩაიეში დაპატიჟა. მათ ახლდათ კულტურული ლოთი, კლასიკური მარგინალი, შიო არაგვისპირელის ვაჟი, მოგრძო სახის შავგვრემანი კაცი შოთა დედაბრიშვილი (მასთან რამდენჯერმე

ვარ შენახვედრი ავთო ვარაზთან და შოთა ჩანტლაძესთან ერთად, საკმაოდ მწარე, გამკილავი ენა ჰქონდა).

დაპატიუებამდე გურამს ისე დაუსურათხატებია იმ საჩაიეს მიჩვეული მუშტრები და იქაური გარემო, რეზო ალტაცებას ვერ მაღავს, აკვირვებს „გურამის შემჩნევის სიზუსტე“ მოაქვს ხსოვნაში სამუდამოდ ჩარჩენილი მისი წამოძახილი: „აუ, და რა ჩაია! რა ტიპები არიან ჩალაგებულნი! ძველი და ახალი. აშვერილი აქვთ აორთქლებული თეფშები ამ ორს შუა და არიან ეგრე“.

გურამს შოთა დედაბრიშვილი - „სარკასტული ინტელიგენტის გარეგნობის თითქმის შუა ხნის კაცი“ რეზოსათვის ადრე, წიგნის პალატის ვესტიბიულში გაუცვნია. იმას ხელის ჩამორთმევისთანავე თითებზე დაუხედავს, შეუმოწმებია და ვერდიქტით უთქვამს: „ნამდვილი გლეხური, წითელი ხელია. ლექსებზე არ გაისარჯოთ, არაფერი გამოგივათ. – პროზა, პროზა შეიძლება, მოგონებები სოფლის ცხოვრებიდან“. რეზოს ხმა არ გაუცნია, ანკი რა უნდა ეთქვა.

გვიანი შემოდგომაა, ნოემბრის მიწურული. ახალ ნაწვიმარზე ჰაერში სიგრილე იგრძნობა. შოთა დედაბრიშვილს ერთი სული აქვს, სანამ ცხელ ჩაის დალევდეს, თან მისებურად ქილიკობს გვერდით მდგომის გარეგნობაზე: „ტუნები არ გაქვთ მწერლისა... ნიკაპიც“...

რეზო არც ამ ჩხვლეტას იმჩნევს. ალბათ ედიმება გუნებაში. ფუნჯის ოსტატის სიფაქიზითა და ელვაურებით ხატავს საჩაიესკენ მიმავალ გზას:

„ნათელი ნისლეები ხან დაფარავდა, ხან გამოაჩენდა ნარიყალას ლელვთახევის გაღმა, თაბორის გორები, დაჟანგებულვით იყო გადაწინწკული წითელ – ყვითელ ფერებით. პირდაბანილივით ცოცხლად იყურებოდნენ ზემოთ წასული აბანოთუბნის სახლები“.

საჩაიეშიც სწორედ ის სურათი დახვდება, გურამმა მოკვეთილად, ხელით – ერთპირად რომ მოხაზა და თვალწინ დაუყენა. შემცბარი იგონებს მის ხატოვნად ნათქვამს: „მარტო ტოკავენო ძველსა და ახალს შორის, თითქოს მართლა ექსპონატებივით იყვნენ ჩაწყობილნი. გაბრწყინდებოდა ესა თუ ის ოფლიანი თავი, ანდა იმ თავებს ზემოდან გადაწვდილი შავი ხელი, უცებ ავიდოდა წვრილი და მკვრივი თეთრი კვამლიც, ერთ თავს აჰყვებოდა ორი – სამი სხვაც, მათ ადგილს იკავებდნენ სხვები“.

ჩაის სმით გული რომ იჯერეს, გამოლაგდნენ, ლესელიძის ქუჩას აუყვანენ მოედნისკენ. გურამი ანტიკვარული მაღაზიის ნივთებს ათვალიერებდა, ყველაფერი აინტერესებდა, თითქოს თვითვე ნაკეთობას, შენობებსაც კი ისრუტავსო. „პასაჟთან“ ატირებული სოფლელი დედაბერი მდგარა. ვიღაც არამზადას შვიდი თუმანი ამოუცლია. გურამს ქუდი მოუხდია (ასეთი რამ პაოლო იაშვილს გაუკეთებია ერთხელ), გამვლელ=გამომვლელისთვის მიუძართავს – გაჭირვებულ სოფლელ დედას ვიღაც ჯიბგირმა უკანასკნელი კაპიკები ამოაცალა და დავენმართო. თვითონ პირველს ჩაუგდია ხუთმანეთიანი. სხვებმაც მოიქაჩლეს თავი. მალე ცხრა თუმნამდე შეგროვებულა. ფული

იმ მოხუცებულ ქალს გადასცა, მოსახვევზე აკოცა, თბილისელებს მადლობა გადაუხადა და სწრაფად გაშორდა იქაურობას. თან წასვლისას ასეთი ფრაზა დაუგვია:

„– არ შემიძლია საცოდავების დალოცვის ატანა“.

აქ ჩანს მთელი მისი ხასიათი, უკიდურესობამდე მიყვანილი უანგარობა რეზო ინანიშვილი რწევა – რწევით მიმავალს უყურებს (გურამს სუნთქვისას ულაყვივით ებერებოდა ნესტოები), ამ მოვლებს წერისას კი, როცა გურამ რჩეულიშვილი დიდი ხნის გადასულია უკვდავებაში, მისი ზურგი „ძალიან კაემნიანი“ რჩება.

ვისაც გურამ რჩეულიშვილის იშვიათი, ყველასაგან განსხვავებული ბუნების ღრმად შეცნობა სწადია, ვურჩევდი გულისყურით წაიკითხოს ეს ხუთგვერდიანი მოთხრობა, რომელიც ავტორმა ტყუილად როდი შეიტანა თავისი რჩეული ნაწერების ოთხტომეულში.

ჩარჩოში ჩასმულს გავს, არ შორდება მზერას ნოემბრის ცრიატი დღე; მისი შეუდარებელი კალმით დახატული, ნარიყალას თავზე მცოცავი ნაფლეთ – ნაფლეთი ნისლები. საერთოდაც, ნისლი კვამლი და იმ სამუდამოდ ახვეტილი, ფიცრული ჩაიხანის ორთქლიც, რაღაცნაირად, მიღმური სამყაროს იერს ანიჭებს პროზის დიდოსტატის უცნაურ, სევდიან მონათხრობს – მითუმეტეს, მასში ნახსენები ოთხეულიდან ერთიც აღარ დაიარება ამ ცოდვებით დამძიმებულ მიწაზე-ყველანი ჰადესის ყრუდ მოგუგუნე ბურში არიან გახვეულები.

ნუგზარ წერეთელს თავისი ძმადნაფიცთან ურთიერთობის ერთი ფიორი არ ემეტება დასავიწყებლად და დასაკარგავად, ნამცეც – ნამცეც აგროვებს ყველაფერს, რაც მასთან ერთად გადახდენია, ამჯერადაც სამაგალითო სიცხადით აცოცხლებს ხსოვნაში ჩარჩენილ, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გადატანილ თავგადასავლებს.

უთუოდ სწორად მოიქცა ნუგზარ წერეთელი, ამ წიგნში ხალასი ნიჭის ჟურნალისტ ირმა ხარშილაძისთვის 2011 წელს მიცემული ძალზე მოქნილი და ბევრის დამტკევი ინტერვიუ რომ შეიტანა. აქ ჩანს, მას ოდნავადაც არ განელებია სამუდამო, სულისშემძვრელი ტკივილი, 1960 წლის 23 აგვისტოს, გაგრაში მომხდარი თავზარდამცემი ტრაგედიის დროს რომ განიცადა. ამ ინტერვიუში ისეთი რამეებიც არის, რასაც ადრე, მიზეზთა გამო, არ ამხელდა, ნათქვამია, რომ გურამ რჩეულიშვილის ერთადერთი სიყვარული იყო უზადო გარეგნობის მზია ჩაჩავა (პირველი ნახვისთანავე გურამი დაბნინდა, დაამუნჯა მისი თვალებიდან გამომკრთალმა ცეცხლმა), რომელიც ყველასათვის მოულოდნელად უეცრად სხვაზე გათხოვდა. ასეთი ელდის შემდეგ გურამმა შეიყვარა უფრო მეტად ლამაზი რუსიკო თიკანაძე (მე მინახავს ისინი ერთად უნივერსიტეტის ბაღში, უფრო შესაფერისი წყვილი ძნელი წარმოსადგენი იყო), მაგრამ მათი ერთად ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა. აქვე ნუგზარ წერეთელი გამოთქვამს ერთ მეტად ზუსტ და ღრმა

ფსიქოლოგიურ დაკვირვებას: „წლები გავიდა და დრომ გვიჩვენა, რომ გურამს ერთადერთი ქალი უყვარდა – მზია და დანარჩენი სიყვარულები მხოლოდ იმ სიყვარულისგან თავის დაღწევის მცდელობა იყო...“ იქვე იმასაც გვიმხელს (ამბობს, რომ სიბერეში ამის დამალვას აზრი აღარ აქვს), რომ გურამ რჩეულიშვილი რამდენიმე მოთხრობის გმირად გამოყვანილ ირინაში „გურამ თიკანაძის დას რუსიკოს გულისხმობდა“.

ეს და სხვა ადგილები გვარწმუნებს, გურამის ამაგდარ დასთან, მარინე რჩეულიშვილთან ერთად, ნუგზარ წერეთელი გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე საფუძვლიანი და სანდო კომენტატორია.

წინამდებარე წიგნის გამოწველივით განხილვას ვერ ვიტვირთებ, მაგრამ მოვიხმობ რამდენიმე თვალსაჩინო ეპიზოდს, სადაც მთელი სიცხადით და სისავსით არის დახატული გურამ რჩეულიშვილის უტენი ხასიათი, მისი ყველასგან მკვეთრად განსხვავებული ადამიანური ბუნება.

ჩვენი და მომდევნო თაობებიდანაც ბევრი გაიხსენებს, ახალგაზრდობისას, როგორ გვეხალისებოდა და გვიხაროდა ზამთრობით ბაკურიანში ჩასვლა და იქ ლალი დროსტარება. ნუგზარ წერეთელი სწორედ ერთ ასეთ შემთხვევას აღწერს. ოთხი ბიჭი (გურამ რჩეულიშვილი, ნუგზარ წერეთელი, ჯუნა მიქატაძე და დათო ლოლობერიძე, მეტსახელად „ჩერჩილა“) ორ უნივერსიტეტელ, ნუგზარის თანაკურსელ, ზრდილ გოგონასთან

ერთად, მოედანთან მდებარე ერთადერთ რესტორანში შესულან, საჭმელი შეუკვეთავთ და იაფფასიანი კახური ღვინო, „მშობლიური რვა ნომერი“ მოუთხოვიათ. მალე მათ მახლობლად, ბაკურიანი ოსი ბიჭები დამსხდარან და არყის სმა გაუჩაღებიათ. ათნი ყოფილან, ისე აყაყანებულან, თბილისელებს ერთმანეთის ხმა აღარ ესმოდათ. ჩვენს უზომოდ გულკეთილ ჯუნა მიქატაძეს (ღმერთმა ნათელ ში ამყოფოს), საქართველოს ერთ – ერთ საუკეთესო მოქანდაკეს, ვინაც სიმთვრალეში ჭინჭყლი და, ცოტა არ იყოს ყიამყრალი გახლდათ, ოსებისათვის უთხოვია, ხმადაბლა ილაპარაკეთო და თანაც „თქვე ჩემა“ მიუყოლებია.

ამაზე შეზარხოშებული ოსები დაბოლმილან, მათ შორის ერთი ლაჟღაჟა, „ჯირკივით ჩადგმული ოსი“ მჯდარა, როგორც ეტყობოდა, იმათი ყოჩი, სათხილაშურე შეჯიბრებაში გამარჯვებული ცნობილი სპორტსმენი და ყველაზე მეტად ის ბობოქრობდა, ჯაყოსავით დაუწყია ღრინვა და ბურღლუნი, წამდაუწუმ წამოიძახებდა თურმე: „მე მარაგა პარასტაევი არ ვიყო, თუ ვინმეს რამე შეგარჩინო“.

არაყნასვამი, გათამამებული ოსები გარეთ დალოდებიან ქართველებს საქმის გასარჩევად და აყაყანებულები იმუქრებოდნენ. გურამი მარტო წასულა მათი ჯგუფისკენ. ხსენებული მარაგაც, როგორც წინამძღოლი, მისკენ წამოსულა და გამომწვევად უკითხავს.

„- ვინ იყო ისა, რო გვაჩერებდა, ჩვენს სამშობლოში თუ ეგრე იქცევით, სხვაგან რა უნდა გავაკეთოთ“.

ჩანდა, ჯგუფის „ბელადი“ შარზე

იყო, ჩხუბის საბაბს ეძებდა.

გურამს ზრდილობიანად, თავშეკავებულად უპასუხნია, ეს ჩვენი საერთო სამშობლოაო.

პარასტაევს უარესად აიმყრალა პირი: „თქვე ჩათლახებო, ეგ თქვენი ბოზებიანად მოუსვით აქედან, თორე მაგარი ცემით გაგყრით...“ მერე დედაც შეუგინებია ყველასათვის...

ამის მომთმენი გურამ რჩეულიშვილი აღარ იყო და უზომოდ გათავხედებულისათვის მუშტი ისე ამოურტყია ყბაში, მოცელილი იქვე გონდაკარგული დავარდნილა. მთვრალ ოსებს ხმა ველარ ამოულიათ. კარგა ხანს ასულიერებდნენ თავიანთ ჯილას. ყბამონგრეული მერე საავადმყოფოში მიუყვანიათ.

მეორე დღეს, ნასადილევს, თბილისელებს, „სამშვიდობო მისიით“, სამი ოსი მისდგომიათ, მარატას თქვენთან დალაპარაკება უნდაო.

ბიჭებს თანამდგომთა შეგროვება განუზრახავთ, მაგრამ გურამი ამაზე არასგზით არ დათანხმებულა, უარესი ამბავი მოხდებოდა და ხუთი საათისათვის მარტო წასულა პარასტაევთან შესახვედრად.

კარგად არის აღწერილი, ათი – თორმეტი ბიჭი, ყინვაში, როგორ ელოდებოდა გურამ რჩეულიშვილის გამოჩენას. აქ ჩანს ნუგზარ წერეთლის – მწერლის – მახვილი თვალი: „გულის ფანცქალით ვიდექით ქუჩაში სახლის წინ და დაღმართში თეთრ მდინარესავით ჩამავალ თოვლიან ქუჩას გავცქეროდით“...

შებინდებულზე, ორი საათის შემდეგ, ხორაგით და სასმელებით

დატვირთული გურამი (ხუთი ლიტრი ოსური არაყი, ლუდი, მოხარშული ღორის ხორცი, თეთრი, გემრიელი ხაბიზგინები – ყველაფერი ეს მარატამ დედას და დებს გაამზადებინა) გამოჩენილა.

რა ილაპარაკეს პირისპირ, დაწვრილებით არავინ იცოდა. მარატა პარასტაევი მაინც სპორტსმენი ბიჭი იყო, ალბათ იფიქრა, რომ გურამისთანა ვაჟკაცთან სამკვდრო – სასიცოცხლო დაპირისპირება სიკეთეს არ მოუტანდა და შერიგება, მეგობრულად დაშორება ამჯობინა, ბოდიშიც მოუხდია, დედა არ უნდა შემეგინებია, ამას ვერც მე მოვითმენდიო, უთქვამს გამომშვიდობებისას.

არანაკლებ სახიფათოდ გამოიყურება სხვა შემთხვევა (ამ ამბავს გურამის ახლო მეგობარი, თბილისის ისტორიის საუკეთესო მცოდნე თემო ბერიძე იგონებს), როცა სოხუმიდან, გვიან ღამით, თემოსთან ერთად გაგრაში დაბრუნებული გურამი ვიღაცის შავ „ზიმს“ ჯიქურად გადადგომია. საჭესთან მჯდომი ძალაღობი აფხაზი სახელგანთქმული და ძალზე საშიში ავტორიტეტი გამომდგარა. ნამდვილი ბანდიტი, მეტსახელად „სოხუმსკი“. განაწყენებულს კი მიუყვანია ორივენი ნაქირავებ ბინაში, მაგრამ ჩანდა, ყველაფერი ასე იოლად არ დამთავრდებოდა. გურამი იმ აფხაზს დასალაპარაკებლად გაჰყოლია. ჩხუბი მოსვლიათ. გურამს, ძიძგილაობაში, მისთვის იარაღი წაურთმევია, ღონითაც დაუჩაგრავს. მერე ერთმანეთი მოსწონებიათ. იმას თავის სახლში დაუპატიჟებია. დილაამდე კონიაკი უსვამთ. მერე „სოხ-

უმსკის“ ბაღჩაში ნესვები და საზამთროები დაუკრეფია და ამნაირად გაცნობილი გურამი ისევ გაგრაში დაუბრუნებია. რომ არა გურამის ფანტასტიკური სიმარჯვე, ის შეხლა – შემოხლა შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო.

რამდენიმე გვერდზეა აღწერილი, თანაც ერთობ მიმზიდველად, მცხეთელი, ნახევრად გაქართველებული, ჯანღონიანი და მაგარი ძველი ბიჭის, მანქანის პატრონ რობერტ ეგანოვსა (გურამი და მისი ძმაკაცები ბევრს მოგზაურობდნენ და სახიფათო შემთხვევათა უმეტესობა მანქანასთან იყო დაკავშირებული) და გურამ რჩეულიშვილს შორის გამართული პაექრობა, გაწვე – გამოწვევა, ვინ რომელს აჯობებდა. გურამმა მეტოქე ყველაფერში დაჯობა (ნიშნში სროლა, ძალის მოსინჯვა, ხელის გადაწვევა და ბოლოს ბებრის ცინესთან ჭიდაობა, სადაც იმოდენა „ბეხლეწს“ მოღზე ზღართან მოადენინა. ჭიდაობაში დამარცხებულს დიდი პურ – მარილი უნდა ეკისრა და რობერტ ეგანოვმაც გურამი და მისი ყველა თანმხლები შინ წაიყვანა, გემოზე აქეიფა, წესიერი ბუნება გამოამჟღავნა, ახალგაგნობილებს კარგად დაამახსოვრებინა თავი.

ყველა საინტერესო და ხალისით წასაკითხავ ეპიზოდებს ვერ შევხები, არ მინდა მკითხველს სიამოვნება დავაკლო. ამიტომ ვცდილობ მხოლოდ მთავარს, არსებობს მივაქციო ყურადღებას.

ახალ წიგნშიც არაერთხელ არის ხაზგასმული, თუ ადამიანის ბუნების წვდომის რაოდენ დიდი ნიჭი ჰქონდა

გურამ რჩეულიშვილს, როგორ უყვარდა, მაგალითად, ჩვენს თაობაში სიკეთით, გარეგნობით, პატიოსნებითა და პირდაპირობით ცნობილი ქართლოს სვანიძე, რა შეუმცდარად, ზუსტად ჰქონდა განჭვრეტილი მისი თვითიული მოძრაობა, ავ-კარგი, ბავშვური გულუბრყვილობა. სახელდახელოდ მოხაზული ფსიქოლოგიური პორტრეტიდან ერთი შტრიხის მოტანაც იკმარებს, რომ ეს ვირწმუნოთ: „მიუხედავად იმისა, რომ სუფრაზე, სადღეგრძელოში, შეიძლება შეგპირდეს მილიონ რამეს და მერე დაავიწყდეს, მაგას არა აქვს მნიშვნელობა – მთავარი ისაა, როცა გპირდება, მაშინაა გულწრფელი, მერე ქართლოსს ნამდვილის შეგრძნების უნარი აქვს... ეს სიმართლე, არანამდვილის შეგრძნების თვისება ეტყობა მთელ ხასიათში, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, კიდევ ვამბობ, რომ მაგას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ის თავისთავად, კარგის პრინციპში არის გულწრფელი, რაღაცნაირად ქართლოსს ვპატიობ, რომ არ მომეხმაროს გაჭირვების ჟამს და არც მოვთხოვ მისგან ამ დახმარებას, უბრალოდ, მისი ვალი არ არის ბედისწერას აღუდგეს წინ“.

ამ ყოველად უშეღავათო დახასიათების მოტანის შემდეგ ნუგზარ წერეთელი მართებულად დაასკვნის: „ეს არის გულწრფელი ცდა, საერთოდ ადამიანის, ამ შემთხვევაში კი მეგობრის შეულამაზებელი, რეალური პორტრეტის შექმნისა“. აქვე ისიც იგრძნობა – გურამ რჩეულიშვილი სხვას არასოდეს აძალეობდა იმას, რისი გაკეთებაც თავად ყოველ წუთს შეეძლო.

ძალზე მეტად, რომ გურამი თურმე მეგობრობდა ჩემი გარდაცვლილი მეუღლის ნათესავთან, დიდად კეთილ, მაგრამ, სამწუხაროდ, გზასაცდენილ ბიჭთან ძალხაზ მიქაძესთან (იგი გიორგი ლეონიძის ბიძაშვილის, თამარ ლეონიძის ვაჟი იყო). გურამ რჩეულიშვილს დიდი ენერჯია დაუნარჯავს (რამდენიმე ნოველის პერსონაჟადაც ყავს გამოყვანილი), რათა მის პლენანოველ ძმაკაცს სხვათა წამხედვარობით დაწყებული ცუდი გზით სიარული მიეტოვებინა, წესიერ ცხოვრებას შესდგომოდა.

გურამ რჩეულიშვილს უკიდურესობამდე ჰქონდა დახვეწილი დიალოგის ხელოვნება, რაც პროზაიკოსის მწერლური ოსტატობის ერთ-ერთი მთავარი საზომია. ამაზე იგი ადრეულ სიჭაბუკიდანვე იწაფავდა ხელს და სასურველმა შედეგმაც არ დააყოვნა. მის ნაწერებში უხვადაა გაბნეული სხარტი, მოკვეთილი ფრაზები და ეს თხრობას უჩვეულო დინამიურობას ანიჭებს, პერსონაჟთა მეტყველებაში იძერწება მათივე ხასითი, იქმნება საჭირო განწყობილება. ნუგზარ წერეთელს მრავლად მოაქვს საამისო მაგალითები მისი მცირე მოთხრობებიდან და დღიურებიდან, რაზედაც საგანგებოდ არ გავამახვილებ ყურადღებას, ამას ისედაც გრძნობს დაკვირვებული მკითხველი.

ნუგზარ წერეთელი მთელი ცხოვრების მანძილზე აღმერთებდა და აღმერთებს გურამ რჩეულიშვილის უბადლო ნიჭს, მის არავისთან შესადარ ფენომენს, დაუმორჩილებელ რაინდულ სულს და როგორ შეიძლებოდა,

გულაგის ჯურღმულებში ნაწამებ მის მამას უდიდესი სინანული არ გამოეხატა შვილის ყველაზე ძვირფასი მეგობრის უეცარი დაღუპვის გამო.

ბატონ აკაკის იმავე ავადსახსენებელ 1960 წელს დაუწერია ტრაგიკული ვნებათაღელვის გამოძახებელი ლექსი („გურამ რჩეულიშვილის სახელს და ხსოვნას“), რომელიც თანდაყოლილი მოკრძალების გამო საქალაქში შეუნახავს, არ გამოუჩენია და მხოლოდ ნახევარი საუკუნის მერე გამოქვეყნდა. ორიოდ სტროფი მაინც მინდა მოვიხმო ამ სევდიანი, ძლეულვარე ლექსიდან იმის დასტურად, თუ რა მწვავედ განიცადა ჩვენი მამების თაობამ მაშინდელი ტრაგედია:

„ამაოების შანთებს თითქოს  
მკერდით ვეგები,  
აწი შავი ზღვა დავიწყებამ  
უნდა შებუროს,  
სად ჩაიფერფლა უძმაფრესი  
შენი ვნებები,  
ანგელოზივით ალავერდზე  
ამაღლებული.  
.  
.  
.  
ამაღლებული ხარ სიკვდილზე  
ვნებით ძლიერით,  
აქ დარჩენილნი შენს უმეტესს  
ვერას იზამდნენ  
და საქართველოს ვაჟკაცური  
შენი იერი  
სულ თან გაჰყვება უკუნითი  
უკუნისამდე“.

დიქტატორული საბჭოთა ხელისუფლება ასეთ დახვეწილ ინტელიგენტთა მხოლოდ დაჭერას არ

ჯერდებოდა, მთელი მისი პირადი ქონებაც მიჰქონდათ (ეს დამცირება, თავის ღროზე ჩვენმა ოჯახმაც განიცადა, ნუგზარის მსგავსად, მეც „ზეკის“ შვილი ვარ). ნუგზარს ჩამოწერილი აქვს მშობლის დაპატიმრების შემდეგ, ოჯახური რელიკვიების გარდა (ფოტოსურათთა ალბომები, გამოჩენილ ადამიანთა წერილები), რა ფასდაუდებელი სიმდიდრე წაიღეს ჩეკისტებმა. გული მოგეწურება ამის წაკითხვაზე: „გაზიდეს მამაჩემის უდიდესი და უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რაც მსხვილი და წვრილწვრილი წიგნების მისეული აღწერით თითქმის ოცდაცამეტ ათასს უდრიდა, მათ შორის მე-17 საუკუნეში იტალიის სტამბაში გამოცემული ყველა ქართული წიგნი, უძვირფასესი ანტიკვარული უნიკალური წიგნები, ფული, ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტები, უძველესი სიგელ – გუჯრები, ასევე უძველესი ოქროს მონეტების დიდი კოლექცია, ვენეციური მომწვანო ფერის ჭალები, მე-19-ე საუკუნეში ბაბუაჩემის მამის, დიდი მიხეილ წერეთლის მიერ თურქეთიდან ჩამოტანილი ექვსი – შვიდი ულამაზესი ხალიჩა, 1935 წელს სანკტ-პეტერბურგში შექმნილი დიდი რუსი პოეტის ალექსანდრ ბლოკის ბაბუის, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის ბეკეტოვის ზღაპრული კაბინეტი, ბროლის ჭურჭელი, უცხოური სერვიზები და ათასი სხვა რამ დიდად ფასეული, მათ შორის, მამაჩემის მიერ პარიზში შექმნილი პიკასოს პატარა ნახატი, ფიროსმანის, გიგო გაბაშვილის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის - ფერწერული ტილოები“.

ბლოკის ბაბუა ანდრეი ბეკეტოვი (1825-1902), პროფესორი, პროფესიონთ ბოტანიკოსი პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი რექტორი დიდად განათლებული პიროვნება იყო და თვალსაჩინო როლი შეასრულა სახელოვანი შვილიშვილის აღზრდა – ჩამოყალიბებაში. სხვათა შორის, სამეცნიერო კარიერა მან საქართველოში დაიწყო, ხუთ წელს მსახურობდა აქ და დატოვა ძველი თბილისის უბნების დიდად საყურადღებო აღწერილობა, რომელიც ქართულად მშვენივრად თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა და ალბათ კიდევ გამოქვეყნდება „ჩვენ მწერლობაში“.

ბუნებრივია, ასეთი გამოჩენილი ადამიანის ყოველ ნიეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, აქ ნახსენები, მისი ნაქონი „ზღაპრული კაბინეტი“ რეპრესიამდე წერეთლების ოჯახის კუთვნილება იყო. ნუგზარმა თვითონ მითხრა, რომ იგი მამამისს ნასესხები, შეგროვებული ფულით უყიდა პეტერბურგში და წვალებით ჩამოუტანია. ფრიად დასანანია, რომ ასეთი რელიკვია, სხვა ძვირფას რამეებთან ერთად (მარტო ფიროსმანის, პიკასოს, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის და სხვათა ნამუშევრები რად ღირს!), უკეთურმა ადამიანებმა, სისხლიანი რეჟიმის მსახურებმა წაიღეს და გააქრეს.

ნუგზარ წერეთელს სწამდა – გურამ რჩეულიშვილი სხვანაირ ვარსკვლავზე იყო დაბადებული და ცდილობდა, ყოველი მისი სიტყვა აღენუსნა. ერთი, მამულიშვილური მგზნებარებით

ანთებული სადღეგრძელო, რომელშიც იგი ჩვენი სამშობლოს მოძალადეებისაგან დამონებასა და თავისუფლების დაუოკებელ წყურვილზე ლაპარაკობდა, ძალიან მოსწონებია, დახსომებია და, შინ მისულს, კიდევაც ჩაუწერია. როცა მეორე დღეს უთხრა, როგორც მოიქცა, ეტყობა იმას გაღიშებია და, თავად საარაკოდ უშიშარს, ძმაკაცისათვის მწარე იუმორით უთქვამს: „ჩაწერა რად გინდა, გონებაში უნდა შეინახო, რასაც ფიქრობ, თორემ ნაწერები რომ ვინმეს ჩაუვარდეს ხელში, შეიძლება მამაშენის გზას გაგიყენონ, ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი, თუ დასჭირდათ“.

სხვა, მონატრებულ, დიდი ხნის წინ გარდაცვლილ ადამიანებთან ერთად, ამ წიგნის ფურცლებიდან შემომანათა ნუგზარ წერეთლის თანაკურსელის ტატა ციციშვილის თაფლისფერმა თვალემა და ანტიკურ კამეასავით გამოკვეთილმა მისმა ბროლივით სახემ. იგი ჯეირანივით გამოჩნდებოდა ჩვენი დროის უნივერსიტეტის დერეფნებში, ლაზათს მატებდა იქაურობას. სშირად, ხალისით მონაწილეობდა გურამ რჩეულიშვილისა და მისი საძმოს ხმაურიან შეკრებებში. გულღია შეხვედრა იცოდა, გადაგეხვეოდა, მოგიკითხავდა. არ გაუმართლა ბედმა, აერია გზა – კვალი, ახალგაზრდა გაშორდა სამხეოს, ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი დამაბრმავებელი სილამაზე დაჭკნა და ჩაიკარგა დროის უღმობელ ოკეანეში!..

ადრევე ავღნიშნე – მრავალი რამე გამოვტოვე, ბევრი წინასწარ დაგეგმილი თუ უცაბელი ქეიფი არ მიხსენებია, მაგრამ ძმაკაცების თელავში განავარ-

დება (გურამსა და ნუგზარს ქართლოს სვანიძემაც ჩააკითხა) და იქაურ, გურამ რჩეულიშვილის მამაპაპეულ ადგილებში მოლხენა არ შემიძლია მთლად უყურადღებოდ დავტოვო.

ერეკლეს სასახლის წინ თავმეყრილებს (ექვსნი იყვნენ) როგორღაც შუამთის განთქმულ რესტორანში საქეფო ფული უნდა ეშოვნათ. ეს ძნელი მისია გურამ რჩეულიშვილმა იკისრა – მამამისის კარგ ნაცნობს, თელავის მთავარ ქუჩაზე მდებარე სასადილოს გამგეს გეგე სულხანიშვილს მიაღდა და იმანაც ბატონ მიშას ხსენებაზე (გურამის მამამ მალევე გაისტუმრა ყმაწვილების ვალი) უარი ვედარაკადრა სათხოვარზე მისულს, ხალათის ჯიბიდან ამოაძვრინა ნანატრი ხუთთუმნიანი. ეს ფული იმხანად კმაროდა საქეიფოდ და ახლა მანქანის შოვნალა ჭირდებოდათ. აქ კი მარჯვე თელაველმა ძმაკაცმა ფარნაოზ სიღამონიშვილმა გამოიჩინა ფხა. თვით მისი მეტსახელი (ფანცქალა) გვამცნობს ამ კაცის დაუდეგარ ხასიათს. ფანცქალა დატრიალდა, ნაცნობი მძლოლი იპოვნა, ახალგაზრდა ბიჭი, დანგრეული „მოსკვიჩის“ პატრონი – ექვსნი ძლივს შელაგდნენ ვიწრო სალონში და შუამთისკენ გაუტიეს.

ნუგზარი იგონებს, მანამდე როგორ შეეგებნენ თელაველები იქაური მეგობრის, თენგიზ ჯაშიაშვილის ბიძაშვილის, ენაკვიმატობით ცნობილ (აქ ჩანს კახელების დინჯი და შემპარავი იუმორი), მისთვის სადღეგრძელოში, ცხადია, ხუმრობით, ასეთი რამ უთქვამს: „შენზე უშნოც რომ ჩამოსულიყო, შენზე მაიბუნიც (სადაური უშნო და შეუხე-

დავი იქნებოდა ცხრამეტი – ოცი წლის ნუგზარ წერეთელი?!), მე მაინც ვალდებული ვიყავი პატივი მეცა, რადგან ჩემი ბიძაშვილის და ამ ბიჭების ძმაცადა ხარ!“

ადვილი წარმოსადგენია, როგორი ლაგამაწყვეტილი ქეიფი გაიმართებოდა „ასწლოვანი წიფლებისა და მუხების ფართოდ გაშლილი ტოტების“ ჩრდილში. გურამ რჩეულიშვილის დაუმრეტელ ენამზიანობას, პოეტურ, გულშიჩამწვდომ სადღევრძელოებს ქართლოს სვანიძე აუცრემლებია, ხოლო თამაძობაზე ჭიპმოჭრილ ფანცქალა სიღამონიშვილს, ილია ჭავჭავაძის ტონალობით, მწერლობაში ვაჟა – ფშაველას გამოჩენას რომ მიესალმა, „როხროხა ხმით“ საჯაროდ განუცხადებია: „ჩვენ, ძველებმა, ჭიქები ძირს უნდა დავდოთ, ოღონდ დაცლილი, და გზა გურამს დავუთმოთ!“

ამ მოგონებაში, გასაგებ მიზეზთა გამო, ბევრი რამე ყმაწვილური, ასაკისმიერია (გადაბმული ქეიფები, ჩხუბები), მაგრამ საკმაოდ ადგილი ეთმობა გურამ რჩეულიშვილის მწერლურ ოსტატობასაც, ვინც ოთხ-ხუთ წელიწადში ნამდვილი სასწაული მოახდინა, უჩვეულოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მხატვრული სამყარო შექმნა. მის შემოქმედებას უცხოეთში, სამწუხაროდ, კარგად ვერ იცნობენ.

ნუგზარ წერეთელს არ შეეძლო ამ წიგნში თუნდ ერთხელ რომ არ მოეხსენებინა გურამ რჩეულიშვილის გზის დამლოცავი, თვითონაც დიდებული მწერალი და ვაჟკაცი, წუთისოფლიდან ნაადრევად წასული, უკვდავი მოთხრობების, ჩვენი პროზის უეჭვე-

ლი შედეგის, „მკვდრის მზის“ ავტორი გიორგი შატბერაშვილი, ვინც ქართული მწერლობის იმედად მოვლენილ უმცროს მეგობარზე, ულმოებული სტიქიის პირისპირ შეუდრეკელად მდგარი მზეჭაბუკის მიმართ თავისი თანადგომა ასე გამოხატა: „და იგი ისე დაიღუპა, არ თქვა მიშველეთ, არ თქვა მიშველეთ, ასეთია ბედი ამაყთა“.

მუდამ ამავე აზრისა იყო ნუგზარ წერეთელიც და ამჟამადაც წერს, რომ სხვების გადასარჩენად აბოლოქრებულ ზღვაში ტანისამოსიანად გადაშვებული, იგი მისსავე უშიშარობას ემსხვერპლა, არ იკადრა სხვებისაგან მიშველება, ხელის გაწვდენა და ბოლოს, უზარმაზარმა ტალღამ დანთქა.

შემთხვევის გამო მოხდა ისე, რომ მამაჩემი და ჩემი უმცროსი ძმა 1960 წელს აგვისტოში ზღვაზე იყვნენ და შეესწრნენ მთელი საქართველოსთვის თავზარდამცემ, მოუნელებელ ტკივილს, მახსოვს როგორი დაზაფრულები დაბრუნდნენ გაგრიდან, გაფითრებულებს, ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდათ. ნახევარ საუკუნეზე მეტია მას შემდეგ გასული და ყველა ჩვენთაგანისთვის ახლაც აუტანელია იმ ძაძითმოსილ დღეთა გახსენება.

გურამ რჩეულიშვილის დაუდგრომელი, ქარიშხლისებური ცხოვრების მოწმე ნუგზარ წერეთელი თავისებურ სიმართლეს ამბობს, როცა წერს: „მის მიერ განვლილი 26 წელი, ჩემი ღრმა რწმენით, 260 წელიწადს შეიცავდა, რადგან გურამის ყოველი დღე ზოგიერთის მთელ უშფოთველ წელიწადს უდრიდა“.

ასევე შეუმცდარი, ზედამოჭრილ-

ია მასზე ის შეხედულება, რომლითაც წიგნის ერთი მონაკვეთი ბოლოვდება: „მისი თავისუფალი, უბორკილო, ამაყი სული სულ სხვა თარგზე იყო მოჭრილი, წვრილმანი, ცხოვრებისეული საგნები არასოდეს არაფრად მიაჩნდა, მისთვის მარადიული მხოლოდ რაინდული სიყვარული და რუსთველური მეგობრობა იყო“.

შიგადაშიგ გურამ რჩეულიშვილი თავისუფალ, ურიტმო ლექსებს წერდა და აქაც ავლენდა თავის განუმეორებელ ხელწერას, ბობოქარ სულს. მახსოვს, ნუგზარ წერეთელმა „ცისკარში“ გურამის ბოლოდროინდელი რამდენიმე ლექსი მოიტანა. იქ მყოფი ოთარ ჭილაძე ძალზე ააფორიაქა დედისადმი მიძღვნილმა, ავი წინათგრძნობით ამოთქმულმა სტრიქონებმა მართლაც ამაღელვებელი ლექსიდან.

„დედა, ნუ ჩამოხვალ ზღვაზე,  
ზღვა ძალიან ღელავს,  
შენ სუსტი ხარ, დედა,  
ზღვა დაგახრჩობს შენ,  
მე თოლია ვარ,  
ქარს და ტალღებს ვეთამაშები“.

ოთარმა მაშინ ასეთი რამ თქვა: ნამდვილი ტალანტი ყველგან და ყველაფერში იჩენს თავს. ეს განცდა მხოლოდ ლექსად უნდა გადმოღვრილიყო და მას გურამ რჩეულიშვილის გარდა ვერავინ დაწერდა!...

2010 წელს „ინტელექტმა“ გამოსცა ოთარ ჭილაძის მრავალმხრივ საყურადღებო, ბრწყინვალე წიგნი „ცა მიწიდან იწყება“. ერთგან იგი იგონებს 1950 წლის ზაფხულს, როცა სიყრმის

მეგობრებთან ერთად მოიარა ხევსურეთი - „საქართველოს წარმართული წარსულის ღია მუზეუმი.“ რა დაავიწყებდა უღელტეხილზე სერგო ზაქარიადესთან ყოფნას და სიცივეში აბრიალებულ კოცონს, რომლის შუქზეც გოლიათურად წამომართული უნიჭიერესი ხელოვანი მისანივით კითხულობდა ხალხური პოეზიის გაუხუნარ მარგალიტებს. პირიქითა ხევსურეთის ფანტასტიკური ხედები ოთარ ჭილაძის წარმოსახვაში ოდნავადაც არ გამკრთალებულა, თორემ არ დაწერდა: ... „იქ გადატანილი სიცივისა და შიმშილის მიუხედავად, უფრო დიდი შთაბეჭდილება საერთოდ ცოტა რამეს მოუხდენია ჩემზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში“.

ხევსურეთში დაწყებულია მისი და გურამ რჩეულიშვილის მეგობრობა. ამ სამიოდე გვერდზე (იგი საუკეთესო ნოველასავით იკითხება) უდიდესი ოსტატობით არის დახატული ყმაწვილი გურამ რჩეულიშვილი - „მისი ბავშვურად ამაყი, ბავშვურად ბედნიერი სახე-გახვითქულ ცხენზე გადაძვდარი“...

გურამ რჩეულიშვილი და ძმები ჭილაძეები (თამაზი და ოთარი) ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ბუნებრივია, გურამს გულით ეწადა მათთან დაახლოვება. ხშირად მჯდარა თურმე მათი სახლის ზღურბლთან დილით მისული, სანამ ისინი (მწერლობაში სხვებზე ადრე ფეხმოკიდებულები) გაიღვიძებდნენ. მერე კი ახლო მეგობრები გახდნენ.

ოთარს, ცხადია, შეუძნეველი არ დარჩებოდა, რომ ჭაბუკი გურამი არ ერიდებოდა თანატოლებთან შეხლა -

შემოხლას, ძალ – ღონის გამოჩენის სურვილიც ეტყობოდა, მაგრამ შინაგანად სრულიად სხვა პიროვნება იყო. სწორედ ეს არის ამოზიდული ხსენებულ მოგონებებში, რომლის მსგავსი გურამ რჩეულიშვილზე ცოტა თუ დაწერილა.

„უაღრესად კეთილი, უაღრესად სათუთი ბუნება ჰქონდა და მე მგონი, ცოტა სცხვენოდა და კიდევ ამის გამოძულავნება. საერთოდ, ჩემი აზრით, მისი „ბობოქრობაც“ და „დაუდგრომლობაც“ ძირითადად ასაკისმიერი, ქვეცნობიერი ამბოხი იყო ნებისმიერი სიპატარავის, ნებისმიერი სისუსტის, ნებისმიერი მორჩილების წინააღმდეგ და ამავე დროს, ასევე ასაკისმიერი, მაგრამ აუტანელ, მიულწეველ ჟინად ქცეული მცდელობა თვითდამკვიდრებისა, რაც ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად გადაიზრდებოდა მიზანდასახულ და რაც მთავარია, მხოლოდ და მხოლოდ სასიკეთოდ გამიზნულ ცხოვრებასა და შემოქმედებაში და ამის თქმის უფლებას ისევ თავად მამლევეს უპირველეს ყოვლისა თავისი წარმოუდგენელი შრომისმოყვარეობითა და ნაყოფიერებით. არა მგონია, რომელიმე ჩვენგანს, მასთან მეტნაკლებად დაკავშირებულ ადამიანს, მის სიცოცხლეშივე სცოდნოდა, ანდა სცოდნოდა და დაეჯერებინა, ამდენი თუ ჰქონდა უკვე შექმნილი.

პირადად ჩემთვის, მაშინ კი არა, ახლაც ძნელი ასახსნელია, როდის წერდა საეთოდ. მაგრამ რაკი ღმერთს მწერლად ჰყავდა გაჩენილი, ეტყობა, სხვა, მარტო მისთვის გასაგები და მარტო მისთვის მისაღები კანონების შესაბამისად ახერხებდა ცხოვრებასაც და

წერასაც. რაც მთავარია, თვითონ აშკარად სწამდა საკუთარი ნიჭიც და შესაძლებლობებიც და სადოლე ცხენის მოუთმენლობით ელოდებოდა „დოლის“ დაწყების ნიშანს. უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ, ბავშვური მოუთმენლობით ელოდებოდა „ცისკრის“ იმ ნომრის გამოსვლას, რომელშიც მისი პირველი მოთხრობები უნდა გამოქვეყნებულიყო. სწორედ ამაზე ვლაპარაკობდი ჩვენი ბოლო შეხვედრის დროს, მაშინდელ მახარამის ქუჩაზე, „ცისკრის“ რედაქციასთან, სადაც თურმე უკანასკნელად ჩამოვართვი ხელი მიწიერი ცხოვრებიდან მწერლურ მარადისობაში მიმავალს“.

თუ ვინმე მომავალში გადაწყვეტს, მნიშვნელოვანი, ღირებული ბიოგრაფიული რომანი შექმნას გურამ რჩეულიშვილზე, მან უთუოდ უნდა გაითვალისწინოს, მეტიც, სახელმძღვანელოდ გაიხადოს ეს მოზრდილი ამონაწერი, რომელიც ბოლოსათვის შემოვიწახე და რომელშიც ერთი დიდი მწერლის მიერ ნაპოვანია მეორე, ასეთივე დიდი და უცნაური ტალანტის საიდუმლო გასაღები.

ოთარ ჭილაძე, ვინც საქებურ სიტყვას ძალზე ძუნწად იმეტებდა, გურამ რჩეულიშვილზე უყოყმანოდ ამბობს: „გურამი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავიდანვე, დაბადებიდანვე პიროვნება იყო“.

ფრანსუაზა საგანი წერს ერთგან (ესეც არ უნდა იყოს მთლად შემთხვევითი) – სულ უფრო და უფრო მცირდება იმ ადამიანთა რიცხვი, პიროვნებანი რომ არიანო.

ნუგზარ წერეთელი თავის წიგნს

გურამ რჩეულიშვილის სიტყვებით ამთავრებს და, ამ შემთხვევაში, უკეთესი ფინალი მართლაც რომ ძნელი მოსაძებნი იყო:

„ ... სწორედ ამიტომ არიან დიდი სულელები, დიდი ვნებები, რომ ეს ლტოლვა განსაკუთრებული სიმძაფრით ეტყობათ – ასეთი სული მაქვს მე ... განა რა მნიშვნელობა აქვს საერთოდ, წამი იცხოვრე თუ მილიონი წელი, უსასრულობისათვის ორივე ერთნაირად სასაცილოა“ ...

წინამდებარე წიგნის მშვენიერაა გურამ რჩეულიშვილის უკანასკნელი ფოტო, 1960 წლის აგვისტოს გაგრაში რომ გადაუღია, რათა ასე ლაღად, ბედთან მოთამაშედ დარჩენილიყო ჩვენს ხსოვნაში – მძლავრი, დაუმარცხებელი ხელის მტევნები თეძოებზე აქვს შემოწყობილი, შავი ხალათი გადაუღელია და, თავშიშველს, სახეს ულამაზესი, ანგელოზური ღიმილი უნათებს. ასე გაღიმება მხოლოდ მარადისობის, უკვდავების კარიბჭესთან შეიძლება.

ყოველთვის ნაღვლიან გუნებაზე მაყენებდა ნოდარ ჩხეიძისა და გურამ რჩეულიშვილის იშვიათი ფოტო, რომელზედაც შორეული ზაფხულის დღეა აღბეჭდილი, როცა ისინი ხევსურეთში ერთად მოგზაურობდნენ. ტანმორჩილ ცხენებზე სხედან – ნოდარს თავი აქვს დახრილი, მოწყენილია, თითქოს გრძნობს, მალე რომ უნდა გამოეთხოვოს მზისქვეშეთს. გურამიც დაღვრემილი მისჩერებია სივრცეს, ყურთასმენა კი დაუძაბავს, გეგონება, სიკვდი-

ლის ანგელოზის ფრთების შრიალი ესმისო. მათ ზურგებს უკან შქერისა და თრიმლის ბუჩქები ილანდება. აქამდე ვერ მომიშორებია დამთრგუნველი შეგრძნება, რომ იმ ორთა, ნიადაგ ხიფათის-მაძიებელთა ფოტო თითქოს სულეთშია გადაღებული.

მე ისიც მიფიქრია – ცაში ავარდნილი ალავერდის ტაძრის გრძელსარკმელებიანი გუმბათის მორკალულ, ხორკლიან კედელს სამუდამოდ შერჩება გურამ რჩეულიშვილის მხარბეჭიანი, ხელებაწვდილი, მოცახცახე ლანდი“.

და ბოლოს, ერთ რამის აღნიშვნაც მინდა – ნუგზარ წერეთელმა დაახლოებით იგივე შეძლო გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებისა და პიროვნების წარმოსაჩენად, რაც მაქს ბროდმა გენიალური ფრანც კაფკას მიმართ გააკეთა.

ერთხელ კიდევ უნდა გადავუხადო გულითადი მადლობა ჩვენს დიდ მხატვარ-მონუმენტალისტს ბატონ ზურაბ წერეთელს, ვინც არაფერს იმურებს ხოლმე გურამ რჩეულიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად და ამ მშვენიერ წიგნსაც მან დასლო ამაგი.

„ალავერდობის“, „ბათარეკა ჭინჭარაულის“, „დევების ცეკვის“ და სხვა შედეგრთა ავტორი კარგა ხანია, მარადისობაშია გადასული და ნუგზარ წერეთელთან ერთად გვეჯერა – გურამ რჩეულიშვილის ლეგენდას დასასრული არასოდეს ექნება.

*ემზარ კვიციანი*

მიხეილ ზანდუკელი – დაიბადა თბილისში, ცნობილ ინტელიგენტურ ოჯახში. დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. იმუშავა ჯერ სკოლაში, შემდეგ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებაში.

მიხეილ ზანდუკელის გამოქვეყნებული სტატიები და წიგნები უმეტესად საზოგადოებრივ თემებს ეძღვნება.

ლექსებს ბავშვობაშიც წერდა. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები. იბეჭდებოდა „ლიტერატურულ საქართველოში“, „სალიტერატურო გაზეთში“, ჟურნალებში. მოგონებასთან ერთად გთავაზობთ მ.ზანდუკელის რამდენიმე ლექსს.

### მცირე მოგონება დიდი მწიგნობის ცხოვრებაზე

დიდი მწერლისა და ბრწყინვალე, მრავალი ღირსებით დაჯილდოებული პიროვნების, სრულიად ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილის ტრაგიკულმა დაღუპვამ შესძრა მისი უახლოესი



ადამიანები და მთელი საზოგადოებაც. ვინც მას მეტ-ნაკლებად იცნობდა ან ეზიარა მკითხველთა სულში უცბათ შემოჭრილ მის შემოქმედებას. გ. რჩეულიშვილის თვითნაბადი ნიჭის, უტყუარი ინტუიციისა და კეთილშობილური, რაინდული შემართების შესახებ დღევანდლამდე ბევრს წერენ გამოჩენილი ლიტერატორები თუ საზოგადო მოღვაწეები, რომელთა შორის პირველობა ეკუთვნის მის ერთგულ მეგობარს, ცნობილ პოეტს, მეცნიერს, ქმედით მოღვაწეს ნუგზარ წერეთელს. ბატონმა ნუგზარმა დააარსა გურამ რჩეულიშვილის საზოგადოება, რომელსაც შეუცვლელად ნაყოფიერად უძღვება და გამოჩენილი მეგობრის შესახებ სისტემატიურად საინტერესო მასალებს გვაწვდის თავისი საყურადღებო პუბლიკაციებით, რითაც ჩვენს სიყვარულს კვლავაც იმსახურებს. (ნ. წერეთელი ჩვენს სკოლაში ერთი კლასით წინ იყო ჩემზე. მასთან მეტად თბილი, ახლობლური დამოკიდებულება დღემდე არ შეცვლილა). მიმაჩნია, რომ გ. რჩეულიშვი-

ლის მკაფიოდ გამორჩეული პიროვნების შესახებ ჯერ ყველაფერი არ არის თქმული. იგი თავისი უდიდესი კაცთმოყვარეობით, სამართლიანობით, უშიშარი ვაჟკაცური სულით, კეთილშობილური უბრალოებით, განათლება-ნიჭიერებით, უაღრესად სწორი თვალთახედვა-აღლოთი და გააზრებული მსჯელობით ამა თუ იმ საკითხის თაობაზე უცბათ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ახლად გაცნობილზეც. გამოვტყდები, რომ მისი განსენება მეც მინდოდა რამდენიმე ათეული წელია, მაგრამ უნებისყოფობის თუ გაუბედობის გამო ეს მხოლოდ ჩანაფიქრად რჩებოდა. შევეცდები ნაწილობრივ მაინც გავიხსენო ის ეპიზოდები, რომლებმაც ჩვენს სულებში მისი სახელი უკვდავყვეს და ცრემლიანი მოგონებები დაგვიტოვეს.

გურამ რჩეულიშვილი 60 წლის წინათ - 1953 წლის ზაფხულში გავიცანი, ლისის ტბაზე, სადაც უკვე ხშირად დავდიოდი, როცა პეტრიაშვილის ქუჩიდან ჩვენი ოჯახი გადავიდა ვეძისში, რომელიც მაშინ გარეუბნად ითვლებოდა და მეგობრები ფერეიდნელ ქართველსაც მეძახდნენ. ტბაზე ავედი ვეძისში მცხოვრებ ჩემს მეგობართან სოზარ გოქაძესთან ერთად, რომელიც იყო კეთილშობილი, ყოველმხრივ ღირსეული ახალგაზრდა, სპორტსმენიც, თუმცა 53 წელს მიახლოებული სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. სოზარი იქ შემთხვევით შეხვდა დიდი ხნის ნაცნობს - გურამ რჩეულიშვილს, რომელმაც გვითხრა, მეგობრებმა დავთქვით ამ დღეს აქ შეხვედრა, მაგრამ რატომღაც

ვერ მოვიდნენო. გურამმა მარტომ იცურავა და წყლიდან ამოსულმა ნახა, რომ მისი პერანგი მოეპარათ. (მაღლობა ღმერთს, შარვალი მაინც დამიტოვესო! - იცინოდა გურამი!) იმასაც ამბობდა, ქალაქის ცენტრში წელზემთ გაშიშვლებული როგორ გამოვჩნდეთ. სოზარმა დაამშვიდა - ჩემს სპორტულ პერანგს გათხოვებ, მე ხომ აქ ვეძისში ვცხოვრობო. ვეძისამდე ჩამოვედით სასიამოვნო საუბრით, გურამს ჩავაცვით, ჩავსვით ავტობუსში და დავემშვიდობეთ. მას იქამდე არ ვიცნობდი, - სხვადასხვა უბანში ვცხოვრობდით და როგორც იტყვიან - შეხების ადგილები არ გვქონია. აღმოჩნდა, რომ მის ახლო ნათესავებს და ამხანაგებსაც ვიცნობდი, რამაც გზაზე უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთთან.

მალე გავხდი უნივერსიტეტის სტუდენტი. უნივერსიტეტის შენობასა და ბაღშიც გურამ რჩეულიშვილს რამდენჯერმე შევხვდი, როგორც ძველ ნაცნობს, მითუმეტეს, თუ ის იყო ჩემს სკოლელებთან - ნუგზარ წერეთელთან და აგი აბაშიძესთან ერთად. გურამიც მაშინ მეორე კურსელი იყო და უკვე სახელმონხვეჭილიც. ოქტომბრის დამდეგს გავიგე, რომ მალე დაიწყებოდა ყოფილი რექტორის აკადემიკოს ნიკო კეცხოველის შემოღებული ალბინიდა - სტუდენტების მყინვარწვერის მწვერვალზე მასობრივი ასვლა. ამ ღონისძიებაში, ნაცნობებთან და ამხანაგებთან ერთად მეც ჩავეწერე. ჩვენი ულამაზესი ბუნების, ნადირობის, მოგზაურობისა და ახალ შთაბეჭდილებათა მოყვარულმა არად ჩავაგდე, რომ გული ბავშვობიდან

სუსტი მქონდა, ფიზიკური დატვირთვა, ეზოში ფეხბურთის თამაშიც რომ ძალიან მძლიერად და სხვებთან ერთად გერგეთში ჩავედი. ყაზბეგში ვინახულეთ ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი, საღამოთი სახინკლესაც ვესტუმრეთ. დილით კი მეტეოსადგურისკენ დავიძარი, საიდანაც, ორი დღის დასვენება-ვარჯიშის შემდეგ ჯგუფი მყინვარწვერზე უნდა ასულიყო. არ მეგონა, რომ პირველივე მარშრუტი ასეთი მძიმე იქნებოდა: თითქმის სავსე ზურგჩანთით აღმართში 18 კმ უნდა გვევლო. მოგვიხდებოდა დიდი სიმაღლის დაძლევა, - გერგეთი თუ დაახლოებით 2000 მ. იყო ზღვის დონიდან, მეტეოსადგური 3 800 მეტრზე მდებარეობდა. (რამდენადაც მახსოვს). ალპური ველების ზონაში შემოდგომის შუადღის მზე საკმაოდ ცხელი გვეჩვენებოდა და თანდათანობით დაღლა შეგვეტყო. მცირე დასვენების შემდეგაც სიარული გვიჭირდა. გულისცემას უკვე ჩემი კეფაც გრძნობდა, გულს გადატვირთვა შეეტყო. გურამ ჩეულიშვილმა, რომელთანაც მხოლოდ ოფიციალური დამოკიდებულება მქონდა, ყველაზე ადრე შეამჩნია რომ მიჭირდა და მითხრა შენ ზურგჩანთას მე ვატარებო, რაც ძალიან მეუხერხულა. მაგრამ გურამის ძალდატანებამ და საერთო ამხანაგების ჩარევამაც იძულებული გამხადა ზურგჩანთა გურამის მხრებზე გადამეკიდა. გურამმა ღიმილით გამამხნევა ასეთ უხერხულობაში მყოფი, მითხრა, შენვეული ვარ მთაში ტვირთით სიარულსო. მე კი უტვირთოდაც დიდ ვაჟკაცობად ჩამეთვლებოდა ამხე-

ლა გზის დაძლევა. უზურგჩანთოდაც ძლიერ მივიღიე, გურამი კი სულ გვამხნევებდა ღიმილით და არ იმჩნევდა, რომ ორი „სპალნის“ ტარება აღმართში არ იყო ადვილი. გავიარეთ ნახევარ გზაზე ცოტა მეტი. ძალიან გამიჭირდა, ცუდად ვხდებოდი. ჩემს დღეში აღმოჩნდა სამი სტუდენტიც, რომლებმაც აღიარეს, რომ სიარული აღარ შეეძლოთ. ხელმძღვანელმა გადაწყვიტა გამყოლის თანხლებით ისინი უკან დაებრუნებინათ. გურამმა და გიგი აბაშიძემ - აგი აბაშიძის ბიძაშვილმა, რომელიც ჩემზე ორიოდე წლით უფროსი იქნებოდა, მეც შემთავაზეს დავბრუნებულიყავი. თანაც გულისხმიერად განმიმარტეს, რაკი ასე მოწადინებული ხარ მწვერვალზე ასვლის, ჩადი გერგეთში დაისვენე, სამების ეკლესიაში დილა - საღამოს ასვლაში ივარჯიშე და ოთხი დღის მერე ახალ ნაკადთან ერთად ისევ შეეჭიდები ამ მძიმე ტრასასო. როცა უკვე ფიზიკურად ძალიან გამიჭირდა რჩევა მივიღე და ხუთ სტუდენტთან ერთად დაბლა გერგეთისკენ დავეშვი.

სამიოდე წლის წინ, გურამის მოგონებისას, ზემოაღწერილი ამბავი გავხსენე ნუგზართან, რომელიც ჩემი პირველი წარუმატებელი ლაშქრობის მონაწილე იყო. ნუგზარს ახსოვდა, რომ გურამს ორი ზურგჩანთა დიდხანს ეკიდა, მაგრამ დაავიწყდა რომ ერთი ჩემი იყო. მგონია, ეს არც იცოდა. გურამი ყველაფერს აკეთებდა შეუმჩნეველად. როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, არ უნდოდა სხვას სცოდნოდა, რომ ვილაცამ მისი დახმარება გამოიყენა. ტაქტიან, კეთილშობილ კაცს შეიძლება,

თავმოძღვრების გამო არ ეთქვა, რომ ვილაცას დაეხმარა, მაგრამ იმას მაინც იტყოდა, რომ ძალიან უნდოდა მეგობარს შეშველებოდა მწვერვალზე ასვლაში და მისი ზურგჩანთაც ატარა. გურამ რჩეულიშვილმა კი თავის საუკეთესო მეგობართანაც არ გაიხსენა თავისი სიკეთე ჩემს მიმართ, ერიდებოდა იმისი ხაზგასმა, რომ ვინმეზე ძლიერი ან უკეთესი იყო. აქვე მინდა მოვიგონო ასევე დადებითი თვისებების გამო ვაჟაკაცურად აღიარებული გიგი აბაშიძე, რომელიც გურამის მსგავსად დაღლილს მამხნევებდა და რჩევებს მაძლევდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ამქვეყნად ალაც ერთი აღარ იქნებოდა. გიგი აბაშიძეც დაახლოებით გურამის ასაკში გარდაიცვალა სიმსივნით, უმძიმესი ტკივილებით. მე კი ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში რეგულარული ვარჯიშებით გულიც გავიუმჯობესე, სხვა ავადმყოფობებსაც ვძლიე და ჩემი ასაკისთვის შესაშურ აქტიურ ცხოვრებასაც ვეწევი.

გერგეთში ჩასულმა გურამის და გიგის დარიგებები გავითვალისწინე. ჩემი ზურგჩანთაც საკმაოდ შევამსუბუქე და მენუთე დღეს მეტეოსადგურში ავედი, საიდანაც, ორი დღის დასვენება-ვარჯიშის შემდეგ, დილის ექვსი საათზე დავიდართ „მეინვარწვერის“ დასაპყრობად. თოვლში უთენია გამოსულებს გაკრიალებული სივრცის ზღაპრულმა, ჩემთვის განუმეორებელმა სილამაზემ დაგვატყვევა. ეს სურათი სამუდამოდ აღიბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში: შავ-ლურჯი უმშვენიერესი წმინდა ცა - სავსე მთვარით, კამკამა,

დიდი ვარსკვლავებით ახლობელი, უზარმაზარი მეინვარწვერის თავზე. მწვერვალს როცა მივუახლოვდით, ამინდი მოულოდნელად შეიცვალა, მძიმე ნისლი ჩამოწვა და სქელმა ბურუსმა შთანთქა ულამაზესი სივრცე. რამდენიმე ნაბიჯზე ერთმანეთსაც ვეღარ ვხედავდით.

გურამთან მეგობრობა არ მქონია, მაგრამ როცა ვხვდებოდით, არცთუ იშვიათად საერთო მეგობრებთან თუ მარტო ვხვდებოდით ხოლმე, ერთმანეთის მიმართ სითბო გვაკავშირებდა და ხშირად გულახდილი საუბარი გვქონია. რამდენჯერმე რესტორანშიც მოკრძალებულად გვიქვიფია. ერთ-ერთ სუფრასთან, საქართველოს სადღეგრიძლოს შესმისას, ბახუსმიღებულმა, ჩემი ერის დადებითი თვისებები სიყვარულით გავაზვიადე, ქართველები ზედმეტად შევაქე გურამმა დიდი ტაქტით განმიმარტა, შენ როგორც ბუნებით კეთილსა და პატიოსანს, ყველანი ჩვენნაირი ნუ გგონია, სამწუხაროდ ჩვენც გვაქვს უარყოფითი თვისებები, რასაც ჩვენი ისტორია ნათელყოფს. ქართველთა დამღუპველი ნაკლი ძირითადად შურია. აგრეთვე ამპარტავნობა, ალეკუბულმა ისიც თქვა, შურით „შეიძლება ერთმანეთს ყელიც გამოვლადროთ“, მხოლოდ ღვინო და ჩვენი სუფრის ტრადიციები უარყოფით ემოციებს და მხეცურ ინსტიქტს ნაწილობრივ მაინც ანელებენო. გურამის ეს აზრი, უნებლიეთ, სერგეი ესენინის ლექსს მახსენებს, სადაც ნათქვამია, რომ ნასვამი პოეტი თავის საყვარელ ქალს სხვის სარეცელში თუ იხილავს, მას დანას არ

ჩასცემს, - სასმელი მკვლელობას არ დააშვებინებსო. წლების მერე ვიგონებდი ჩემი თანამედროვე გურამის ნათქვამს, მრცხვენოდა ჩემი თავის გამო. მას ცოდნაც ჰქონდა და ყველაფრის გაანალიზების უნარიც, სწორედ აღქმის ნიჭიც. მე კი განათლება მაკლდა და დღევანდლამდეც ყველაფერს ისე წარმოვიდგენ, როგორც მინდა რომ იყოს და არა ისე, რაც სინამდვილეშია. კაცთმოყვარეობა გურამს არ უშლიდა მკაფიოდ დაენახა ადამიანი - ყველა თავისი ავკარგიანობით, მისი უარყოფითი თვისებებიც შეეგრძნო. ასევე უცბათ იგრძნობდა კაცის კეთილ ბუნებას და სხვასთან მის დამოკიდებულებას. ერთხელ, სუფრაზე, ჩემს სადღეგრძელოში შეუცდომლად დაუმატა, რომ ამ მოქეიფე ამხანაგთ შორის რეზო ერისთავს ყველაზე მეტად ვუყვარდი. სტუდენტობის წლების ამ მართლაც კეთილი და პატიოსანი, 1-2 წლით ჩემი უფროსი ამხანაგის შესახებ, უკვე დიდი ხანია, აღარაფერი მსმენია.

ერთხელ გურამი, მე და კიდევ სამი სტუდენტი რუსთაველზე ვიყავით. სალაპარაკო თემა არ გველეოდა. ცხადია, ერთმანეთთან საუბრის გასაგრძელებლად რესტორანში შესვლა უფრო სასიამოვნოდ გვესახებოდა, მაგრამ ფული ყველას ცოტა გვქონდა. მაინც გადავწყვიტეთ, თუნდაც ღარიბულ სუფრით დავკმაყოფილდებით, უბრალოდუქანში შესვლით და გავწიეთ ორთაჭალისკენ. გზაში ორი ამხანაგი შემოგვიერთდა, რომლებსაც ფული სულ არ ჰქონდათ. არ ვიცი, რისი ან ვისი იმედით, ატენილებს გადაწყვეტილება

არ შეგვიცვლია. ქეიფის ეშხში შესულებმა, ეტყობა სასმელიც დამატებით მოვატანინეთ. მხოლოდ ანგარიშის წარდგენამ გაგვიფუჭა გუნება. გადასახდელი თანხის ორი მესამედიც არ აღმოგვაჩნდა! გურამმა ყველა გაგვიშვა და თვითონ დარჩა ოფიციალტებთან. რადგან გამოსვლა შეაგვიანდა, ჩუმი მივედი კარებთან მათი საუბრის მოსასმენად. გურამს მაშინ უკვე ჰქონდა მოთხრობები გამოქვეყნებული, მისი გვარი ბევრისთვის ცნობილიც იყო. მან თავისი ვინაობა განაცხადა, დაარწმუნა ოფიციალტები რომ არ დაემალებოდა, საბუთს დაგიტოვებთო და ისე ელაპარაკა, რომ მათი ნდობა მოიპოვა. ჩვენ დავპირდით, რომ ორ დღეში დანახარჯის თანხას შევუგროვებდით. მაგრამ რაკი იცოდა რა ჯიბეგაფხეკილები ვიყავით, უცბათ მოგვიჭრა, ნუ შეწუხდებით, მე მენდნენ და მევე გადავიხდიო.

იმის მიუხედავად, რომ გურამ რჩეულიშვილი მეტად თავმოყვარე იყო, თამამიც, უშიშარიც, ოდნავ ამაყიც, თავის და სხვის მიმართ უსინდისო ქმედებას არავის აპატიებდა, ძლიერ ადამიანთანაც, გამწვავებულ ვითარებაში, ვაჟკაცურ ჩხუბსაც არ მოერიდებოდა. იყო მეტად ყურადღებიანი, მზრუნველი და დამთმობიც, არასდროს გაგრძნობინებდა თავისი ნიჭის, ცოდნის, თუნდაც ფიზიკური ძალის უპირატესობას. თურამის დამტკიცება სურდა, - დინჯად, დამაჯერებელი ლოგიკით განგვიმართავდა თავის მოსაზრებებს და ვეღარ შევედავებოდით. გურამი კრიტიკა-ხუმრობებსაც იტანდა თავის მისამართით. თუ მთქმელისგან ბოროტ თავხელობას,

ცინიკურ გესლს არ იგრძნობდა. ნიჭი - ცოდნისა და შინაგანი ინტელექტის მიუხედავად, ბევრ დიდად ნიჭიერ პიროვნებათა მსგავსად, მასაც ზოგჯერ თვალში საცემი თავისებურებები ახასიათებდა. ხშირად ძველი ტანსაცმლით, ზაფხულშიც - ძალიან ნახშირის „ბათინკებით“ გამოდიოდა. (რაც ნ. წერეთელსაც აქვს აღნიშნული მასზე მოგონების წიგნში). ის ნასვამიც უნახავთ ქუჩაში, მოჩხუბარიც - თუ ეს აუცილებელი გახდებოდა. ამიტომაც ვინც კარგად არ იცნობდა გურამს, შეიძლება მასზე არამართებული აზრიც გასჩენოდა. მის აღნიშნულ ჩაცმულობასთან დაკავშირებით (თუმცა ჩაცმას არც მე ვანიჭებდი მნიშვნელობას) რამდენჯერმე გავხუმრებივარ გურამს: ფრთხილად იყავი „სტარი ოდიოჟი გეძებს“. (ჩემს ბავშვობაში ზოგი მეწვრილმანე კაცი ქუჩაში რუსულად გაჰყვიროდა: „სტარი ოდიოჟ პოკუპაუ“ და ამით თავი გაჰქონდათ. მათ ზოგჯერ ძველ ტანისამოსს ჩუქნიდნენ კიდევაც) გადაკრულად ვეუბნებოდი გურამს, რომ დროა ეს ტანსაცმელი ამ ხალხს მიეცი-მეთქი. ასევე არ სწყენია „ცისკარში“ მისი პირველი მოთხრობების გამოქვეყნების თაობაზე - წრფელი შექების შემდეგ - როცა ვუთხარი, რომ რადგან სხვა მოთხრობები ტრაგიზმით, უბედურობით მთავრდებოდნენ, იმ ნოველაშიც, სადაც ოჯახის უფროსი მოხუცი აივანზე ბედნიერად სეირნობდა, ყოველ წამს იქიდან მის გადმოვარდნას ველოდი. საბედნიეროდ, ის მაინც არ გაიმეტე-მეთქი სასიკვდილოდ, - გააკეთე გამონაკლისი.

მიმაჩნია, რომ გურამს ღრმა ინტუიცია, შინაგანი ხმა ჩასჩურჩულებდა განგების დაუნდობლობის შესახებ, - რომ სიკვდილი ყველასთვის მოულოდნელად შეიძლება მოვიდეს, მითუმეტეს - მასსავით უშიშარ, უზარმაზარი ენერჯისა და გამბედაობის მქონე ახალგაზრდასთან და ეს ჩვეულებრივი მოვლენა საზოგადოებაში არავითარ გარდატეხას და ცვლილებას არ შეიტანდა. მის მეტად დამაფიქრებელ „ნელ ტანგოში“ უბრალოდ ნათქვამია, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელიც გუმინ ამ რესტორანში დროს ატარებდა, რომელსაც აქ იცნობდნენ, დღეს მკვდარია და თითქმის არავის ახსენდება, - აქ გუმინდელივით უკრავენ და ცეკვავენ. გ. რჩეულიშვილი თითქოს ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ, შესაძლებელია, მასაც მალე მოუწევდა ამ ქვეყნის დატოვება. ამიტომაც ცდილობდა ბევრი მოესწრო, - ხან დიდი ხნით ჩაიკეტებოდა, - კითხულობდა, წერდა, შემდეგ - გონებრივად გადატვირთული - ქეიფობდა მეგობრებთან, ხევსურეთში ან თოვლ-ყინულოვან კავკასიონზე გაჩნდებოდა, ან ცხენს აჭენებდა, ტაძრის ქონგურაზე ავარდებოდა - უკეთესი გადასახედის საპოვნელად, მშობლიურ ბუნებაში პოვებდა ბედნიერებას, ლამაზი ბუნება, განუმეორებელი ხედებით, მისთვის ზომ უდიდესი სიამოვნების მომტანი იყო, მაინც გვახსენდება, რომ ადამიანს ბედნიერება, ტკბობა, უნდა მიანიჭოს არა აშენებულის ხილვამ, არამედ თვით მშენებლობამ, შემოქმედებითი წვით ტკბობამ.

მინდა მოვიგონო კიდევ ერთი ჩვე-

ნი საინტერესო შეხვედრა, 1959 წლის ზაფხულში „ზემელზე“ - დღევანდელი მეცნიერებათა აკადემიის შენობასთან შემხვდნენ გურამი და შოთა ჩანტლაძე. ასევე ნიჭიერი, ნაკითხი, ენამოსწრებუ-ლი, მაგრამ უიღბლო, მუდამ უსამსახ-ურო, პირადი შემოსავლის არმქონე პოეტი, ჩვენზე ექვსიოდე წლით უფრო-სი. შოთა დღის დიდ ნაწილს ან უნი-ვერსიტეტის ბაღში, სახლის მეზობლად, ან ყოფილ კიროვის პარკში, ან რუსთაველზე, სეირნობაში ატარებდა. ვიცოდით, რომ ის ნიჭიერი პოეტი იყო, თუმცა მის შემოქმედებას ახლობლე-ბის მხოლოდ მცირე ნაწილი იცნობდა, თვითონ თავის თხზულებას არ გვი-ზიარებდა, გამოცემებიც არ უბეჭდავდ-ნენ, თუმცა ნაცნობები ჰყავდა ამ სფერ-ოში, მუხრან მაჭავარიანიც მისი კურსე-ლი მეგობარი იყო. XXს. 60-იანი წლების ბოლოს, ბ-ნ თენგიზ ბუაჩიძის ხელშეწყობით მისი თარგმანებიც გამოჩნდა, მეტი არაფერი მნიშვნელო-ვანი არ მახსენდება. შოთას ახალგაზრდა პოეტები პატივს სცემდნენ, მის გვერ-დით ხშირად ჩნდებოდნენ სულ დამ-წყები ყმაწვილებიც. ზოგჯერ ვენუმ-რებოდი: „დიდი შოთა და მოწაფე“ ან „მოწაფეებთან“. შ. ჩანტლაძესაც, როგორც წარმატებას ვერმიღწეულ ზოგ ნიჭიერ ადამიანს, შეემლო ცინიკურად გაეკრიტიკებინა ვინმე, საზოგადოებაში მიღებული ადამიანი, ამიტომაც ის ყვე-ლას გულზე არ ეხატებოდა. მისი სი-ცოცხლე 40 წლის ასაკში ექიმთა შეცდომით, უსახელოდ დასრულდა, სიკვდილის შემდეგ კი აღიარებას ელ-ირსა, მისი ლექსების კრებულები დაიბე-

ჭდა. გურამი, რომელიც ყველას სწორ შეფასებას აძლევდა, შოთას უგებდა და პატივსაც სცემდა, მასთან საუბარიც სიამოვნებდა. ამ შეხვედრაშიც ბევრ საკითხს შევეხეთ, გულახდილად გამ-ოვთქვით სხვადასხვა აზრი. გურამმა მოსკოვში ნაყოფიერად გატარებული დროც მოიგონა და შოთას უთხრა, რომ ელოდებოდა, თავისი ახალი მოთხრობე-ბის დაბეჭდვას. თუ გამოქვეყნდებოდა შემოდგომის ბოლომდე, მიღებული ჰონორარით ერთი ადამიანის თანხ-ლებით მოსკოვში წასვლის შესაძლე-ბლობა გაუჩნდებოდა და შოთას სიამ-ოვნებით წაიყვანდა თან. გეგმაში ჰქონდა მოსკოვის მიმდებარე ოროთახიანი პა-ტარა აგარაკის დაქირავება, სადაც დედაქალაქის პოეტებს და ნიჭიერ, საინტერესო ადამიანებს მოიწვევდა. მოსკოვს მეც თითქოს ვიცნობდი, ასეთ ხალხთან კი ახლო ურთიერთობა არ მქონია. გაკვირვებულმა ვკითხე, საიდ-ან შეძლო მწერალთა საზოგადოებაში ასე ადვილად მოხვედრა. გურამმა გუ-ლახდილად მიპასუხა, რომ შემთხვევით იქ მიაგნო უბრალო სალუდეს თუ ალკოჰოლიანი სასმელების სასადილოს, სადაც სწორედ ასეთი საზოგადოება იკრიბებოდა. თავისუფალი აზროვნე-ბის ადამიანები, ნასვამები, ყოველგვარი კომპლექსების გარეშე უცნობებსაც ადვილად გაესაუბრებოდნენ და მათ-თან სულიერ სიახლოვეს თუ იგ-რძნობდნენ საინტერესო მსჯელობა-საუბრის შედეგად, შემდგომშიც სიამ-ოვნებით შეხვდებოდნენ და ამხანაგობა-ზეც არ იტყოდნენ უარს, ანუ ინტელექ-ტი და სასმელი სიახლოვეს ბადებს

(კატალიზატორია) „გულს გული იცნობს და ღონეს ღონე“. (ეს დუქანიც ნ.წერეთელს აქვს ნახსენები).

ეს ეპიზოდებიც გ.რჩეულიშვილის დიდ ბუნებაზე მეტყველებს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ: - ორიოდ შეხვედრით – მან უცხო ახალგაზრდა შემოქმედთა ყურადღება მიიპყრო, მათთან საერთო ენა გამონახა დაახლოებაც შეძლო: მოსკოვში საკუთარი შეზღუდული თანხით მოუნდა, ასევე ნიჭიერი, გონიერი შ. ჩანტლაძის წაყვანა, ვისაც ზოგჯერ სიგარეტის ფულიც არ ჰქონდა (სიგარეტს კი ის ერთგულ მეგობარს უწოდებდა), რათა მოსკოვში ჩასვლით მისთვის-სიამოვნება მიენიჭებინა და ამასთანავე, საინტერესო მწერლების საზოგადოებაც გაეცნო.

1960 წლის აგვისტოში ახლობელ ამხანაგთან – დავით ცქიტიშვილთან ერთად (სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთან, მოგვიანებით – ე.ფიფიას სახ. რკინიგზის საავადმყოფოს მთ. ექიმთან, რომელიც წლების მანძილზე ნაყოფიერად უძღვებოდა ამ დაწესებულებას), ჩავედით გაგრაში, შემდეგ ახალ ათონში და რამდენიმე დღეში სოჭაშიც აღმოვჩნდით. გაგრიდან ავტობუსით წამსვლელებს საპირისპირო ადგილები შეგვხვდა, უცბათ დათომ გადმოძახა, რომ გაგრის სადგურის ახლოს გ.რჩეულიშვილს მოჰკრა თვალი. სანამ მის ფანჯარასთან მივიდოდე, ავტობუსი იმ ადგილს გასცდა, რამდენიმე დღეში სოჭის ამინდი შეიცვალა, კოკისპირულმა წვიმება ქუჩებში ნიაღვრები წარმოშვა. ქარ-წვიმებმა შავი ზღვა საშინლად ააღელვეს.

გაგრაშიც იგივე მდგომარეობა შეიქმნა, – პლაჟზე უკვე დროშა ეკიდა! დამსვენებლებს გუნება-განწყობილება შეეცვალათა. მალე შეგხვდით ახლად ჩამოსულს გაგრიდან ჩემს ყოფილ მეზობელ თანატოლს, ექიმ გივი როსებაშვილს, რომელმაც შემზარავი ამბავი გვაუწყა – გურამ რჩეულიშვილის დასრულება ზღვაში! გუშინ მამა და ახლობლები ჩამოსულან გაგრაში, გვამს ეძებნენ. გურამი ხათრით წაჰყოლია რუს ახალგაზრდებს, რომლებსაც მის გვერით ჰქონდათ ბინა დაქირავებული და სამშობლოში წასვლის წინ ზღვის კიდევ ერთხელ ნახვა მოუნდომებიათ. მთვრალეებს თავი ვერ შეუკავებიათ და რადგანაც თვლიდნენ, რომ კარგად ცურავდნენ, უცბათ გაუხდიათ და გაგიჟებულ წყალში შევარდნილან. გურამი მათ საშველად გაუხდელად შევარდა, დრო აღარ ითმენდა! ყველანი საშინელ ტალღებს დიდხანს ებრძოდნენ, შველა არავის შეეძლო. ბოლოს ვერტმფრენი მოფრინდა და თოკი ჩამოუშვეს განწირულთა რიგრიგობით ასაყვანად. გურამმა სამივე ჩამოსული წინ გაუშვა. ამის შემდეგ თოკზე თვითონ ჩამოეკიდა და როდესაც ტალღებს თავი დააღწია, თოკი გამწყდარა და ზღვამ ვერაგულად იმსხვერპლა. ვერ ვიჯერებდი, რომ თოკი ასეთი სუსტი შეიძლება ყოფილიყო, - მეგონა, რომ გურამი იმდენად იქნებოდა გადაღლილი და ქანცგამოცლილი, რომ თავი ვეღარ შეიმავრა, მაგრამ როგორც ნ.წერეთელმა დააზუსტა, თოკმა ნამვილად ვერ გაუძლო გურამის არცთუ მძიმე წონასაც. ესეც – ბედისწერაა.

გაქრა უდიდესი ახალგაზრდა, დიდ-

ბული ტალანტი! ზღვამ შთანთქა ახალი უზარმაზარი გემი გამორჩეული აზრებით.

მინდა შევეუერთდე გურამის ნათესაობას, მეგობრებს, მისი კაცობისა და ნიჭის დამფასებლებს და გავიმეორო ბევრის ნათქვამი მის შესახებ: - გ. რჩეულიშვილი მოუკვდა არა მხოლოდ

მათ, არამედ – სამშობლოს, მთელ საქართველოს, რამდენი წელი იცოცხლა, თუნდაც კიდევ იმდენი ნაყოფიერად რომ ეცხოვრა, აურაცხელს შესძენდა თავის ერს – ნიჭით, კალმით, ადამიანობით. სამწუხაროდ, ბევრისთვის ეს ცხოვრება, მართლაც წუთისოფელი ყოფილა.

### სექტემბერი

სიცხე სიგრილით ზღება ძლეული,  
ტანის შემოსვა იწყებს ქალებმა...  
და ჩამოქნილი მათი სხეული  
მალე ქსოვილში ჩაიმალება.  
ყინვამ მწვერვალნი მილეს-მოლესა,  
გამოიძინეს მთებში ქარებმა...  
ბუქი ზურბუხტის მწვანე ფოთლებსაც  
ქარვის სინაზე შეეპარება.  
ყველას გვიქრება თითო ზაფხული  
და შემოდგომის სევდით ვივსებით...  
გზები, სიმწვანის ზღვაში ჩაფლული,  
წაიცრემლებენ თეთრი ნისლებით.  
გრძნობა მაღალი, რითაც ვენთებით,  
ვერ გაუმნილეს ქალებს ჰანგებმა...  
და სიღიადე ტანის მშვენიების  
სქელი კაბის ქვეშ დაგვეკარგება.

### თოვლიან ღამით

ბარდნა დაუდგა თბილისს დარაჯად,  
სულის საუნჯეც – თეთრი ფიფქია...  
გზებზე ოცნება ისე დავსარჯე,  
რომ ჩემს ზამთარზე არც მიფიქრია.

რბილი ფანტელი თმაში მენტება,  
 მადნება, -  
 ვითარც ტკბილი წამები...  
 ცა, თოვლიანი მიჩანს ედემად,  
 როს ჩემს მიწაზე სულ ვეწამები.  
 მთვარეც, ვით ყრმობა, სადღაც გამქრალა,  
 სურვილები კი არ გვითავლება...  
 კვლავ მარტო ვდგავარ,  
 უკვე ჭალარა,  
 დედაქალაქის სიბრძნის თავდებად.  
 თბილისის სიზმრებს მარად ვდარაჯობ,  
 წლები – ფიქრების მსგავსად მიქრიან...  
 ბედს მივყვებოდი – სადაც არა სჯობს  
 და ცხოვრებაზეც არ მიფიქრია.  
 ქართლის ქედების სუნთქვა მათბობდა,  
 მხმობდა –  
 მთაწმინდა და შავნაბადა...  
 მსურს – უფალს მუდამ ვუძღვნა მადლობა,  
 რომ საქართველოს გულში დამბადა.

### შებინდებისას

მთებში ჩასულმა მზემ აიხედა,  
 ცას მიანათა მწუხარე მზერა –  
 და გაუგზავნა ბოლო იმედად  
 ქარვის, ძოწის და ლალის სიმღერა.  
 ცოტაც... და სხივი კვარივით ჩაქრა,  
 ბავშვივით ტკბილად მიღულა თვალი.  
 გაკრიფა სითბო მსუბუქმა ქარმა,  
 მოიცვა სევდამ სამყარო მქრალი...  
 და მხოლოდ შორით – ქედი ჭალარა  
 სივრცეში ბრწყინავს, -  
 ვით მინანქარი.

### შემოდგომა მოგვადგა

სანთლების რითმულ, უნაზეს კრთომას –  
 მიჯნურის გულის ვადარებ ძვერას...  
 სიყვარულს არ აქვს წონა და ზომა,  
 მას ანგელოზი ხატავს ან ძერწავს.  
 ყვაილი, მჭკნარი, სევდას გვრის ბუჩქებს,  
 ცივ მიწას კვებავს ფოთოლთა ჯარი...  
 გული უამრავ განსაცდელს უძლებს,  
 მას თანაუგრძნობს დაისი წყნარი.  
 ოცნებით ხშირად შევხარი ხატებს,  
 სული, მღელვარე, - ლექსით ერთობა...  
 აწმყოს სიმრუდე სიბერეს მმატებს  
 და წლებს ჩაეკრა – უიმედობა.

\* \* \*

მომფენს სიამეს სიოს „ჩაკრულო“,  
 შენი მშვენება სანამ განმგმირავს...  
 ვარ ტრფობის ჯაჭვით კლდეზე გაკრული,  
 ვერ დავემსგავსე, თუმცა, ამირანს.  
 არ მაშინებენ ბეწვის ხიდეები,  
 სულს გულგრილობა მხოლოდ აკვნესებს...  
 ამდენ წელს ურცხვად  
 რად მერიდეები,  
 ვით მთის კალმახი ბოროტ ანკესებს?!

\* \* \*

წეროები მიფრინავენ მწკრივად  
 მათ ძნელ გზებზე ზღვებია და მთებია...  
 თბილ ქვეყნებში განა ყველა მივა,  
 უგზო-უკვლოდ ლამაზ ცაში ქრებიან.  
 არ იშლიან,  
 განზრახვა აქვთ მტკიცე,  
 აჰყოლიან სულის ძახილს ვნებიანს...  
 ჩვენც მიგვიღებს სანუკვარი სივრცე,  
 მიწაზე თუ აღარ გელოდებიან.

### სექტემბრის შეღამების სევდა

მზემ ბოლო სხივი მთებში მიფანტა,  
 გამოქვაბულებს ტოვებს ღამურა...  
 განმიდგა სულის მსხნელი ინფანტა  
 და ქვეყნად სევდამ დაისადგურა.  
 შავდება ბინდში მწიფე კუნელი,  
 უბრწყინავს ცრემლი ფოთლებს  
 და ხავსებს...  
 და ხიბლი სატრფოს  
 სუნთქვის სურნელის  
 სიჩუმის გრძნობას  
 და ხშირ ტყეს ავსებს.

### ახალგაზრდა თანამემამულეს

ქართველი რომ ხარ, -  
 ეს სიმდიდრე გულით თუ გესმის,  
 ალთქმულ მიწაზეც რომ დაგბადა  
 კეთილმა ზენამ,  
 უგუნურებით არ გადაჭრა  
 წარსულის ფესვი, -  
 ღრმად შეისწავლე, დაიცავი  
 სამშობლო ენა!  
 დიად ბუნებით, ისტორიით  
 ხომ ხარ ძლიერი,  
 წინაპართ საქმეც სულ განსოვდეს,  
 გძინავს თუ გღვიძავს...  
 გიყვარდეს კაცი, ასახელე ცნობილი ერი.  
 და არ გაყილო, ეთაყვანე  
 სამშობლო მიწას!

\* \* \*

თუ ვერ ვისმენ კაცის  
სიტყვას მართალს,  
უგულობაც სულის სიმებს აღრევს,  
ტანჯულს მაინც რწმენის  
ძალა მმართავს,  
შენდობასაც ვევედრები მთვარეს.  
მუხლმოყრილი არგვთან და მტკვართან,  
მოვიშორებ ფიქრს მაცდურს და მწარეს,  
ყურს დავუგდებ ბრძნულ  
მოდახილს ქართა  
და დავლოცავ ტკბილ  
მშობლიურ მხარეს.

### მთაში

დავემონები:  
თეთრ ჩანჩქერს რძისფრად მღუღარე ლექსის,  
არწივთა მწვერვალს, ირმის იალალს...  
ადგილის დედის ხმაც თუ ჩამესმის, -  
ველარ შევმართავ ჩიტზეც იარაღს.  
ქედებზე ბარდნის, მთა ნისლებს იკრებს,  
თოვლმა მოშუშა ყველა იარა...  
და როს მივენდე ძვირფასზე  
ფიქრებს, -  
გულის ტკივილმა გადამიარა.

რეზო მიტცხუღავას „მთავრის მოტაცება“  
 მარჯანიშვილის თეატრში.  
 მოგონება ღაიჭიაბაძის კონსტანტინე გამსახურდიას  
 დაბადების 110 წლისთავის ბამო

*გუბაშვილი მსახიობ მერაბ თავაძის*

ახლა მე ნუ მომთხოვს ამ სტრიქონების წამკითხველი თემის მაღალ დონეზე დაწერას, თეატრმცოდნეების ტოლფასი აზრით გარჩევას პიესისას და კრიტიკოსის თვალსაწიერით განჭვრეტას. მე ერთი ჩვეულებრივი მსახიობი ვარ და ამ სპექტაკლის მონაწილე ერთი პატარა როლის ცირუნეას შემსრულებელი.

მე ჩემი გადასახელიდან ვიგონებ 30-თი წლის წინანდელ სიცოცხლით სავსე საინტერესო ეპიზოდებს და ამბებს, მოვლენებს მარჯანიშვილის თეატრისას, რომელსაც დღესაც კი ახალგაზრდულად გულის ძვერით და თრთოლვით მაგონდება.

1967-68 წლებია, მარჯანიშვილის თეატრს უნიკალური რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა.

მრავალი შესანიშნავი სპექტაკლის დადგმით ააღორძინა გიგამ და გაამდიდრა ეს თეატრი (მარტო ნოდარ ღუმბაძის დამკვიდრება რად ღირს ჩვენს თეატრში და საერთოდ ქართულ ხელოვნებაში).

მაგრამ თეატრი რთული ორგანიზმია. ძნელია 100 ემოციით დამუხტული მსახიობის თავის მოყრა. ყველას დაკმაყოფილება, იმ დროს, როდესაც ყველა მსახიობს ჰგონია, რომ გენიოსია, უნიჭიერესია, ვარსკვლავია და დედამიწის სარტყელია (უფრო მეტი

- ჭიპია), მოვლენაა.

(მაგალითად ირაკლი უ-ს ასე ეგონა. კარგი იყო, მარა სარტყელი არ იყო).

1967 წელია, მეტისმეტად აირია თეატრი (ეს ის პერიოდია, როდესაც საზღვარგარეთ მიდიოდა ქართული თეატრი და ეს ბედნიერება მარჯანიშვილის თეატრს ერგო).

ამბობდა, ამბობოქრდა ძველი თაობა (გოდიაშვილი და ნაწილობრივ ჩემი თაობაც), (რატომ, რისთვის? რა აკლდათ), არ მოსწონდათ ახალგაზრდა თაობა (ვგულისხმობ მეღვინეთუხუცესს და მგალობლიშვილს). წადით თეატრიდანო. თეატრიდან ერეკებოდნენ იშვიათ ნიჭიერ ახალგაზრდებს და იმ პერიოდის მარჯანიშვილის თეატრის ერთადერთ რეჟისორს – გიგა ლორთქიფანიძეს.

ამ საქციელით უფროსმა თაობამ ერთხელ კიდევ ჩასცა სასიკვდილო ლახვარი, მრავალტანჯულ მარჯანიშვილის თეატრს.

წავიდნენ ...

აი ამ ბობოქარი დასეტყვის შემდეგ მოვიდა თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად რეზო მიტცხუღავა.

რეზოს სასახელოდ უნდა ითქვას, რა დიდი გამბედაობა გამოიჩინა მან, რომ ასეთ ნაფლეთებად ქცეულ თეატრში, ასეთ თაობათა გათიშულ და

არეულ-დარეულ პერიოდში მოუხდა მოსვლა, ჭრილობების მოშუშება, ფერფლიდან ფენიქსივით აღორძინება და სამუშაო პირობების შექმნა, ურთულესი ძალისხმევით შეძლო რეზომ, არამცთუ შეძლო ურთულესი სიტუაცია დასძლია და მაღალი ღირებულებების სპექტაკლები შექმნა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რეზომ მირცხულავამ და დირექტორმა ანზორ ქუთათელიძემ შეძლებისდაგვარად მოახერხეს მსახიობებისათვის ხელფასების მომატება, ოჯახური ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესება და ვინაიდან ამ პერიოდში თეატრს ახალგაზრდები აკლდა, აღარ ჰყავდა, გამოცხადდა თეატრში მომსვლელ მსახიობთა კონკურსი.

და ამის შემდეგ ამ ახლადმიღებული ახალგაზრდა ძალებით და ნაწილობრივ ჩემი თაობის მსახიობების შემადგენლობით პირველად-პირველ სპექტაკლად დაიდგა აკაკი გეწაძის პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში“. ვნახე, ზოგი კარგი იყო, ზოგი არა. ვნახე და ბევრი ვიტყვი.

ესენი ვინ არიან? ეს არ არის მარჯანიშვილის თეატრი. მარჯანიშვილის თეატრი ეგერ იქ არის - იქ ... რუსთავეში გივასთან, სადაც დიდებული და ბრწყინვალე პიესები იდგმებოდა. ღმერთმა მაპატიოს, გულში აუგად მოვიხსენიე ის ხალხი, ვინც თეატრი არიდარია და თავიანთი სურვილით მიიყვანა ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე, რამაც მძიმე კვალი დააჩნია თეატრს, დაშალა იგი, მოკლა და ჩააქრო.

... მაგრამ ჩემს თავს შევუძახე –

ნუ ხარ სულმოკლე იმერელი, ვაცალოთ ამ მშვენიერ ახალგაზრდას - მირცხულავას (და მართლაც რა სასწაულები მოახდინა შემდეგ).

მაგრამ სულ მოკლე დროში რეზომ აღზარდა და გაწვრთნა ბევრი ახალგაზრდა მსახიობი ჩვენთან; აზიარა მარჯანიშვილის თეატრის დიდ ტრადიციებს, მოარგო მის სტილს და კარგი მსახიობებიც დადგნენ (ეს ასე იოლი არ იყო, ამას დიდი ძალა – მოთმინება უნდა). დიდი მაღლობა ბატონო რეზო!

1967-68 წლებში დიდი კონსტანტინე გამსახურდიას „მთავრის მოტაცების“ დადგმის დროც დადგა.

აბა გიყვარდეს მთავრობის დაინტერესება ამ ამბით, მათი ხშირი სტუმრობა ჩვენს თეატრში, დახმარების შეთავაზება და თანადგომა.

ახლა დიდ კონსტანტინეს არ იკითხავთ? ... ყოველ დღე ზვიადის ან სიძის (ამილო ახობაძის) თანხლებით რეპეტიციებსა და სპექტაკლებზე თეატრში იყო. ხარობდა მწერალი, როცა უყურებდა როგორ ცოცხლდებოდნენ მისი გმირები. ჰოდა მიდი და ნუ მოინდომებ ხეირიანად გაიარო რეპეტიცია მსახიობმა. ხუმრობაა, კონსტანტინე იყო პირველი ჩვენი მაყურებელი და შემფასებელი.

... როლების განაწილების შემდეგ ყველა მონაწილე შეგვეკრიბა რეზომ სარეპეტიციო დარბაზში და სიტყვიერად წარმოგვიდგინა თავისი რეჟისორული ჩანაფიქრი ამ პიესაზე. ხელისგულზე გადაგვიშალა პიესის მთელი რეჟისორული ტრაქტოვკა. მე

იმ დღესვე დავინახე მთელი წარმოდგენის დადგმა. როგორც კინოში ხედავთ, ისეთი ხედვით იყო გასაგები ყველაფერი.

- შეიქმნა აურზაური, შეძახილები, მონაწილეთა ალტაცების ხმები. დიდი ენთუზიაზმით შევეუდექით მუშაობას.

მეორე დღესვე რეზომ ყველა მონაწილე ავტობუსში ჩაგვსხა და წაგვიყვანა სამეგრელოში – ამ უმშვენიერეს კუთხეში. მეგრული და აფხაზური ხასიათების უკეთ გასაცნობად, ხალხთან შესახვედრად და მრავალი საინტერესო წეს-ჩვეულებების ახლოს გასაცნობად.

- როლები ასე იყო განაწილებული: კაც ზვამბაია – იაშა ტრიპოლსკი – ცეცხლოვანი იაშა ქარიშხალივით შემოიჭრებოდა სცენაზე, ხელში ეკავა დახოცილი ხარების თავები რქებით და იქუხებდა: ქელემ ... ეს იყო მისი პირველი სიტყვები. ეხვეოდა-კოცნიდა-ტიროდა მისი ცოლი, მშვენიერი ხათუნა (დოდო ჭიჭინაძე), რომ დაემშვიდებინა გამძვინვარებული, გონებიდან გადასული თავისი ქმარი, ავაზასავით ცეცხლოვანი თვალებით ანთებული კაც ზვამბაია – დიდებული იყო იაშა ტრიპოლსკი (ოჰ ... რა ბიჭი იყავი ბიჭო იაშა).

და ძალიან გულწარმტაცი იყო უფროსი ვაჟი – არზაყან ზვამბაია – მალხაზ ბებურიშვილი. დიდებული გლეხი ვაჟკაცი არზაყანი იყო საწინააღმდეგო ფიგურა – უკვე დასალუპავად განწირული თავადების ფენიდან გამოსული ინტელიგენტი თარაშისა.

- არზაყან ზვამბაია ძლიერი შემტვეი ხასიათის, ყოველგვარ წინააღმ-

დეგობასთან მებრძოლი, დაუზოგავი და გამანადგურებელი. დიახ დიდებული ვაჟკაცი იყო არზაყან, მაღალი, მხრებში გაშლილი, წვრილი წელი და მთელი აღნაგობით ასხლეტილი შოლტივით ბიჭი, გრუზა თმებით და შავი ბრიალა თვალებით დამშვენიებული.

...აუჰ ... თითონ თარაში ხომ იყო და იყო. ორივენი თავაძეც და მონიავაც. მერაბ თავაძე ზღაპრულად ულამაზესი მზეჭაბუკი - მორიდებული, დახვეწილი, თავშეკავებული ახალგაზრდა, რომ გაიღიმებდა მზის შუქი გადასდიოდა სახეზე. რალაც უმშვენიერესი აურა აშუქებდა მისი პიროვნებიდან გამაოგნებელი, დამატყვევებელი, შეხედავდი და დაიბნიდებოდი. სიტყვას ვერ ამოთქვამდი (მე არ ვიცი რა დავარქვა ამ გრძნობას, სიტყვით არ დაიწერება, ეს უნდა ეგრძნო მასთან მოსაუბრეს ან პარტნიორს სცენაზე). მოკლედ მაგარი ბიჭი იყო და არის დღესაც. მეორე თარაშიც – ჯემალ მონიავა თავისებურად მშვენიერი იყო. ჯემალს მაშინ აკლდა მსახიობური სტაჟი – გამოცდილება. დრო უნდოდა, რომ ჯემალი ამალლებულიყო თარაშის ღონეზე. აი დღეს უნდა თამაშობდეს ჯემალი თარაშს – მონიავა მრავალმხრივ ნიჭიერი შემოქმედია.

კონსტანტინეს თარაში შეუყვარდებოდა მაშინაც კი, როცა რომანს წაიკითხავდა. და სცენაზე ხომ და ხომ. მე მიკვირს, რომ გადარეულები არ დარჩნენ ბუბუშკა ჭიჭინაძე და მედეა ბიბილეიშვილიც თარაშის ეშხით მერაბისათვის და (ჯემალისათვის) რატომ არ გამორდნენ ქმრებს და არ

ჩამოეკიდნენ კისერზე ორივე თარაშს. ახლა ვხვდები (მე ამ ასაკში) რატომ უყვარდებათ ხოლმე სიგიჟემდე პარტნიორებს ერთმანეთი სცენაზე. მიკვირს როგორ გადარჩენენ უშანგი და ვერიკო – რომ არ შეუყვარდალ ერთმანეთი და ახლა ვხვდები რატომ: უშანგი რაინდი იყო, მაღალი ზნეობის მამაკაცი მსახიობი. მეგობრის ცოლს ის თუნდაც პარტნიორ მსახიობს, სხვანაირად არ შეხედავდა. მიხეილ ჭიაურელი იყო უშანგის დიდი მეგობარი და ამან გადაარჩინათ ორივენი. მოკლედ კარგები ხართ მერაბ და ჯემალ.

- როდესაც სპექტაკლში ერთ-ერთ სურათში ერთმანეთს ვხვდებოდით მეთარაშის დედა და თარაში – რეჟისორმა მთხოვა: ეს იცოდე ცირუნია – თარაში შენი გაზრდილია – მეგრულ და აფხაზ ძიძებს სიგიჟემდე უყვართ თავიანთი გაზრდილები. დაიჩოქე თარაშის წინ და ფეხები დაუკოცნეო.

- კი ბატონო, კი დაუკოცნი მარა, მაცადე ჯერ, ამ ბიჭს (მერაბ თავაძეს) პირველად ვხვდები დღეს, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, ვინ არის? რა არის? არ ვიცი. მაცადე ჯერ მე შევიყვარო ეს უცხო მსახიობი (თავაძე ახალი მოსული იყო ჩვენს თეატრში, ახლოს არ ვიცნობდი).

- უცნობიაო და ჯერ არ ვიცნობო? და ჯერ არ მიყვარსო? გაიფიქრა ალბათ მერაბმა.

მისდა სასახელოთ უნდა ითქვას – რა არ გააკეთა თავაძემ, რომ ახლობელი და საყვარელი გამხდარიყო ჩემთვის.

„ბრავო“ – ვაშა თავაძე. ერთ თვე-

ში ისე შემაყვარა თავი, ფეხებსაც ვუკოცნიდი მერაბს, მუხლებსაც და თავის მშვენიერ გრუნა თმებსა და თავსაც (დღესაც უსაზღვროთ მიყვარს მერაბ თავაძე, რომ დავინახავ, თვალწინ დამიდგება 30 წლის წინანდელი თარაშ ემხვარი, სულ არ არის შეცვლილი, ოღონდ ცოტა გაჭალარავდა და აქვს თავისი ჯადო ღიმილი).

- კაროლინა – მარინე თბილელი – სექს-ბომბა, აწყობილი ტანფეხი, ქალური, მწვანე ცეცხლოვანი თვალები, ხორბლისფერი სახე, ქერა თმები და მარგალიტივით ჩაწიკწიკებული ალუბლისფერი ტუჩ-კბილით დამშვენებული, ჯადოსნური სიკისკასე ჰქონდა (დააბამდა რალა მამაკაცებს).

- გვანჯ აფაქიძე – ვანტანგ ნინუა. წარმოსადეგი გარეგნობის, მხიარული, ლალი, ეროვნულ ტანსაცმელში ჩასაპნძული (ჩემი დეიდაშვილის ბუკა ნაკაიძის ქამარ-ხანჯლით და დამბაჩამათრახით შეიარაღებული-ემში იყო). – თავისი მოძღერალი ბიჭების დასტით (ამ დასტაში კარგი მოძღერალი ბიჭები: ამირან ბუაძე, ვაჟა ფირცხალაიშვილი, კაკო მესაბლიშვილი იყვნენ). ეს გუნდი დიდი ფიგურა იყო სანახაობითი თვალსაზრისით სპექტაკლისთვის. თამარ შერვაშიძე – უნაზესი, უმშვენიერესი ბუბუშკა ჭიჭინაძე, გამჭვირვალე, თხელი, სიფრიფანა, ნატფი, ანგელოზი იყო.

- ბაბუა ტარიელი (თამარის მამა) გრიშა კოსტავა, მოძღვარი, მღვდელი, გამწარებული თამარის სიკვდილით, სახარებით ხელში ღვთისმგებობი, თავისი შავი მტრელების სიზმრით გამძვინვარე-

ბული ლომი იყო.

- ლუკაია ლაბახუა, ვანო ოსაძე, თამარის მზის სიცოცხლის მავედრებელი მონა. კარგი იყო ძალიან.

- და მე ცირუნია – ნინო ჩხეიძე, თარაშ ემხვარის გამზრდელი ძიძა – მეგრელი (თუ აფხაზი) ქალი, მაღალი, თხელი, გამხდარი. თარაშის დიდი ერთგული, მისი სიცოცხლისთვის მლოცველი და მოსიყვარულე.

სულში ჩამწვდომ მეგრულ და აფხაზურ მელიოდებზე შექმნილი უდიდესი დრამატიზმით დამუხტული შესანიშნავი მუსიკა ოთარ თაქთაქიშვილისა, ლამაზი გვირგვინი იყო ამ სპექტაკლისა და ამ გვირგვინის დიდი მარგალიტი – ამირ კაკაბაძის ამეტყველებული გასაოცნებელი მხატვრობა,

ახლა ეპიზოდებს მოვიგონებ „მთვარის მოტაცების“ სხვადასხვა მოქმედების მსვლელობის დროს მძაფრად განცდილი სურათებისას: ცეცხლოვანი ხინტიკირისა, ხანჯლების ტრიალი ტარბებთან.

თუ შევძელი მინდა ვიამბოთ, რა ეფექტური და ზღაპრულად სანახაობითი იყო სვანეთის სცენა: იხსნებოდა ფარდა და შუაცეცხლით გაშუქებული სახეები, ბურუსი და კვამლი იდგა. უდიდესი სვანური კოშკის დარბაზში. ცხრა აკვანს არწევდნენ გარინდებული ახალგაზრდა დედები (ერთ-ერთი ჩემი შვილიც იყო). შუა ცენტრში, დიდებულ ხის ჩუქურთმებიან სავარძლებში ისხდნენ ჭალარა მახშვები, სამეგრელოდან და მხლებლები უფროს-უმცროსობის მიხედვით, ზოგი ფეხზე მდგომი,

ზოგი თავის საჩინო ადგილზე მყოფნი – ყურს უგდებდნენ მახშვების ბრძნულ რჩევას.

უცებ ერთი შეხედვით შუა ცეცხლი, ბურუსი, კვამლი, აკვნების რიტმული რწევა, მახშვების და მეგრელების მორიდებული გარინდება. ყველაფერი ეს ისეთი ეფექტური იყო, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს, მაყურებელთა შეძახილებთან ერთად გვრგვინავდა და ზანზარებდა თეატრის კედლები ტაშისაგან.

- შემდეგ იწყებოდა კაც ზვამბაიასა და არზაყანის შეხლა-შემოხლა. ზვამბაიას სიკვდილი, მისი ცხედრის მიტანა მის სახლში ხურჯინით არზაყანის მიერ.

- ძაბულის აცახცახებული უხმო ამონაკენესი. მისი გამაოცნებელი მოფერება კაც ზვამბაიას ცხედრისა ხურჯინით რომ ესვენა ტახტზე – მისი ქვითინი (ნიჭიერი იზა გიგოშვილის ოსტატობა) და კულისებში ჩემი მეგრული ზარის მოთქმა ამის ფონზე შემზარავი იყო.

ასევე შთამბეჭდავი იყო ცირუნისა და თარაშის შეხვედრა მისი დედის გარდაცვალების შემდეგ ემხვარების გამოცარიელებულ, სიცოცხლით ჩამკვდარ დარბაზში, სადაც ეკიდა ამირ კაკაბაძის მიერ შექმნილი, ძვირფასი ქართული ორნამენტებით დამშვენებული ერთი ქართული ხალიჩა, (რომლის აპლიკაციას ერთი წელი მოანდომა მხატვარმა). ეს ხალიჩა უმანგის მუზეუმშია დაცული, ამ ხალიჩას, თარაშ ემხვარს – დედის სავარძელში მჯდომს, დედისავე ლოცვანით ხელში და

ჩემი ვიშვიშით მონათხრობში დედამისის სიკვდილის ბოლო დღეებისა და აცრემლებული თარაშის, თვითმკვლელობამდე მისული მისი დარდი და ჩემი შოუ ნანა ... საოცარ განწყობას ქმნიდა დიდი ქარიშხლის წინ.

მე თუ ცირუნია ვითამაშე ეს სულ მერაბ თავადის დამსახურებაა. იყო ასეთი ფრაზა: „რამ გაგიეთურათ ასე თქვენი ბატონიშვილო?“ (ვეკითხები მე). გავხედავდი მერაბს, ის მე არ მიყურებდა, პირდაპირ იყურებოდა ჩაბნელებულ პარტერში (სადაც მაყურებელი ქვითინებდა ჩუმად). ვხედავდი მერაბს პროფილში ცალი თვალის გუგაში როგორ ციალებდა ცრემლი, არა, კი არ ტიროდა, თვალეში ედგა ცრემლი – ეს როგორც ძლიერი ხასიათის მამაკაცებს სჩვევიათ დიდი წუხილის დროს – მათი გული ტირის ხოლმე; და აი თარაშის თვალის ციალიც იყო ის ძალა, რომელიც მე მახრჩობდა და სულის თრთოლვით მამდერებდა შოუ ნანას ... „და მოუოხე ბატონებსაც“ და ამ დროს შემოდოდა ლუკაია და ყრუდ, ათრთოლებული ხმით იტყოდა: თამარი კვდება შურიგე... თამარი კვდება... შენ ნახვას ნატრობს – თამარ შერვაშიძე. კიოდა ხალხი... ტაშის ტკრციალი ზეცას სწვდებოდა.

(ახლა თქვენ იტყვიან... რას გააჭირე საქმე შენი ცირუნიათიო, მოთქმით და ტირილით და ვაებითო. კი ბატონო. სპექტაკლში იყო ბევრი სიმღერა. ტრფობა. ცეკვა-თამაში, სანახაობითი დამატყვევებელი ამბები, დიდი ზეიმები და სიკისკასე თუ სიბრძნე. ყველაფერს ვეღარ ვწერ – მე რაც

გულში ჩამრჩა, იმას ვიგონებ მხოლოდ.

- ამ სცენის შემდეგ პირდაპირ მიდიოდა თარაში არზაყანთან „არაბიას“ სათხოვნელად, რომ თამარისთვის ცოცხალს მიესწრო.

და ბოლო სიტყვები ავტორისა, დიდი კონსტანტინესი, აზვირთებული ენგურის პირას იდგა გაფითრებული თარაში და გაჰყვიროდა აფშუმა... გასუსულ მაყურებელს დიდი შთაგონებით უამბობდა მებორნე (მიშა ვაშაძე) თარაშ ემხვარის სიცოცხლის ბოლო წუთებზე: „დიდხანს ებრძოდა ადიდებულ ენგურის ტალღებს თარაში, მაგრამ იძალა ენგურმა, აბურთავა მთვარე, გამოსტაცა ქანცმილეული მცურავს და გააქანა უფსკერო შავეთში.

ლანისფერი გადაჰკროდა ზღვას, მშვიდად მთვლემარეს, მთვარე აღარ ჩანდა ცაზე, ერთადერთი ღრუბლის ფთილა შერჩენოდა მალაქიტის ცას, კოლხური ოქროს საწმისის ფერისა“.

დიახ დიადი სპექტაკლი იყო.

15 წელი აჭმევდა პურს თეატრს ეს წარმოდგენა.

ბოლოთქმა:

პრემიერის წინ ტელევიზიამ დაგვიძახა მე და თარაშ ემხვარს – მერაბ თავაძეს. სპექტაკლს ანონსი და რეკლამა სჭირდებოდა ტელევიზიით. დიახ სპექტაკლის „მთვარის მოტაცების“ - სახიერების გამოსახატავად სწორედ ჩვენი სცენა – ჩვენ ორისა გადაიღო და უჩვენა მაყურებელს წინდაწინ. სწორედ ეს სცენა შემორჩა ტელევიზიას და მეც მაქვს, ამ დიდებული სპექტაკლის მთლიანობაში წარ-

მოჩენისათვის.

გმადლობთ ბატონო რეზო. სად ხართ, სად გეძებოთ, სად დამეკარგეთ? დიას სწორედ თქვენი თხოვნით ვწერ ამ პატარა მოგონებას. ვიცი, რომ ახლაც ხელახლა დგამთ ბათუმში „მთავრის მოტაცებას“. იქნებ გაცოცხლდნენ კონსტანტინეს გმირები და თითოეული მონაწილე ახალი შემადგენლობით - ღმერთმა ინებოს და ვარსკვლავებად აინთონ ამ ნაწარმოების უკვდასაყოფად.

I დამატება: 1968 თუ 69 წელს მოსკოვში ვიყავით საკავშირო დათავლიერებაში მონაწილეობის მისაღებად. პირველ ადგილზე გავედით. დიპლომები მოგვცეს საკავშირო კულტურის სამინისტროში (მგონი შაპირო იყო თუ ტარასოვი), ეს იყო მაშინ ყველაზე დიდი ჯილდო.

II დამატება: კაც ზვამბაიას მესამე ვაჟის როლის შემსრულებელს თამა-

შობდა მაშინ პატარა ბიჭი ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც უწინ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ახლაც პოლიტიკოსია. როგორ ბრუნავს წუთისოფელი!

2002 წელი. ოქტომბერი

III დამატება: მაპატიოს კუკური მჟავანადის სულმა, არ მახსოვს მისი პერსონაჟის სახელი, ძალიან კარგი იყო. არ მახსოვს ნიკო წიკლაური რას თამაშობდა, მებორნეს მიშა ვაშაძის გარდა, გოგი ტატიშვილიც თამაშობდა, სვანეთის მახშვებიდან მარტო გოგი გოცირელი მახსოვს. ბოდიშს ვიხდი ბიჭებთან, კიდევ იყვნენ ბიჭები აღარ მახსოვს ვინ და ვინ. მხოლოდ ლლონტი მახსოვს, რას-ვის თამაშობდა პავლე ინწკირველი, დავით ქუთათელაძე - არ მახსოვს.

*ნინო ჩხეიძე – საქართველოს  
სახალხო არტისტი*



### ანა კუჭუხიძე

დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი ჟურნალისტიკის სპეციალობით. ამჟამად არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ კონფერენციაში, მათ შორის ოთხ საერთაშორისო კონფერენციაში, გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, ერთი მონოგრაფია და 2 წიგნი (თანაავტორობით). ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. ამჟამად კითხულობს ლექციებს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯში. ამასთან ერთად პოეზიაც მისი სულიერი მოწოდებაა.

### გაზაფხული

ჩანს მყინვარწვერი ამაყად მდგარი,  
ქარს აუწეწავს ჭაღარა თმები,  
ცას შემოეჭდო ღრუბელთა ჯარი,  
ჭექა-ქუხილის გაისმა ხმები.  
ყინულის ზოდმა დნობა დაიწყო,  
ბარად სოფლებიც რომ გააგრილოს,  
ხეებმა კვირტი უხვად აისხეს,  
ზეცა გაზაფხულს აპკურებს მირონს.

2000წ.

**სიყვარული**

მზით გაიბანტა ალიონის ცა  
და შეეფაკლა ლალის ღაწვები,  
ხავერდის მთებმა მხრები აზიდეს,  
ღრუბლებს მიათვეს ჯიხვის ყანწები.  
ველს ეამბორა დილის ცვარ-ნამი,  
იებმა მორცხვად დახარეს თავი...  
გოგონას ვიღაც შეჰყვარებია,  
მზეჭაბუკისათვის დაუდგამს თვალი.  
2000წ.

**უჩინარი მხატვარი**

ბუნება დიდი მხატვარია,  
თან აქვს ჯადოსნური ფუნჯი,  
ხატავს მტყუანი თუ მართალია  
მხატვარი უჩინო და მუნჯი.  
ზამთარი – ვერცხლისფერი, თეთრი,  
ზაფხული – ზურმუხტით მწვანე,  
ან ოქროსფერთმიან შემოდგომას  
განა შეედრება რამე?  
ზაფხულის კეკლუცი ქარები  
კაბას მოაცმევენ ჭადრებს,  
ფერთა სიუხვიდან შეურჩევენ  
მოქსოვილს, დახატულს ადრე.  
2000წ.

**გიჟმაჟი ქარი**

სულამღვრეული დაჰქრის, რონინობს,  
თმაგაწეწილი, გიჟმაჟი ქარი,  
ხეებს ხავერდი ვინ აპოვნინოს,  
მზეს ერკინება „წიქარა ხარი“.  
ფანტაზიების ღრეობს ტალღაში,  
ფერხულში ითრევს ბუნების ძალებს.  
და მომწყვდეულებს ქროლვის ალყაში  
შმაგი ხარხარით აზარებს ჭალებს.  
2000წ.

**ახალი წელი**

დღეს ახალი წელია,  
შევჭამ თხილს და გოზინაყს,  
მერე თოვლის ბაბუა  
ბევრ საჩუქარს მოზიდავს.  
თეთრწვერა და კეთილი,  
თოვლის ბაბუ გვახარებს,  
უხვად გვჩუქნის საჩუქრებს  
დიდებსა და პატარებს.  
კოსტად მორთულ ნაძვთანაც  
ყველას უნდა თამაში,  
მღერით ვდგები კართანაც  
მე ფიფქიას კაბაში.

1996წ.

### თავენება ფიქრები

ფიქრებზე ვეღარ ავმხედრდი,  
 უცაბედ გამიჯირითდნენ,  
 აზრთა დერეფნებს გახედეს,  
 უნდა მივაგნო მე რითმე.  
 შმაგმა თავენება ფიქრებმა  
 იცინეს და იკისკისეს,  
 სიყვარულს კარი გაუღეს,  
 გულშიაც ამიგიზგიზეს.  
 ქარებმაც ჩამომიქროლეს  
 და სული ამილიცლიცეს,  
 ამხედრდნენ ამ ჩემს ფიქრებით  
 და გაიხარეს სიცილზე.

2000წ.

### მოლოდინი

სიყვარულის თეთრმა ნისლმა მომიცვა,  
 მინდა დავტკბე კარგო, შენი ცქერით...  
 ცის სარკმელში დაგინახე, მოიცა!  
 სად მიდიხარ, რატომ აღარ მელი?!  
 ოცნებათა გემით შენკენ მოვქრევარ,  
 რა ახლოს ხარ, მაგრამ ვერა გწვდები...  
 ღვინით სავსე მორაკრაკე ღოჭი ვარ,  
 შენს ლოდინში სანთლათ ავენთები.  
 მე მთვარე ვარ მზის სხივიც რომ ერთვის,  
 ორივე ერთად აბა როდის შეყრილან?!  
 გელოდები რომ გავფრინდეთ შორეთში  
 ერთმანეთი ახლოს უნდა გვეხილა.

2000წ.



### ვაჟა შალვაშვილი

ქართული ეროვნული სპორტის მოყვარულებსა და გულშემატკივრებს მე-20 საუკუნის ორმოციანი წლებიდან დღემდე კარგად ახსოვთ განოჩენილი ქართველი კალათბურთელი, თბილისის „დინამოს“, საქართველოსა თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების მოთამაშე ვაჟა ჟღენტა. იგი თხუთმეტი წლის მანძილზე იცავდა ნაკრების ღირსებას, იყო მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი, მსოფლიო ფესტივალის პრიზორი, საერთაშორისო „დინამიადამი“ გამარჯვებული, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, მათ შორისაა „დინამოს“ ოქროს საპატიო მედალი. მინიჭებული

აქვს სპორტის დამსახურებული ოსტატის, მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებები. განსაკუთრებით საპატიო ჯილდოს კი ვაჟა ჟღენტასათვის სპორტის რაინდის წოდების მინიჭება წარმოადგენს.

სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ იგი იყო ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს“ სტადიონის დირექტორი, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე, რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტის“ თვალსაჩინო მუშაკი, უნარიანად ხელმძღვანელობდა სხვადასხვა წარმოებას, გამოჩენილი ქართველი კალათბურთელის წოდებასთან ერთად გამოჩენილი ქართველი მეღვინის საპატიო წოდებაც დაიმსახურა. ეს მაღალი, ბეჭებში გამლღილი, წარმოსადეგი კაცი ოთხმოცდახუთი წლის გამხდარა პასპორტის მიხედვით, სინამდვილეში კი გაგიჭირდებათ სამოცი წელი რომ მისცეთ. ხანდაზმულ ასაკში ვაჟა ჟღენტს ლექსების წერის სურვილიც მოძალებია, რაც ახალგაზრდობის წლებისდროინდელი პოეტური ცდების განმეორებად გამოიყურება. ყველასათვის ცნობილი, ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული, დამსახურებული და საყვარელი ადამიანი, სამაგალითო მეოჯახე და მეგობრობის ეტალონი, ცდილობს პოეზიის ენით გადმოსცეს საკუთარი განცდები, საკუთარი მრავალმხრივი ნიჭიერება წარმოაჩინოს.

თავად ვაჟა ჟღენტა აცხადებს: „არავითარი პრეტენზია არ მაქვს მაღალ პოეზიაზე, რისთვისაც ბოდიშიც მინდა მოვუხადო ჭემმარიტ პოეტებს, მე მხოლოდ ვცადე ალალი გულისწუნილით გამომეხატა უსაზღვრო სიყვარული ჩემი სათაყვანებელი ერის მიმართ“.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს და მის მრავალრიცხოვან მეგობრებსა თუ თაყვანისმცემლებს ვთავაზობთ თორმეტ ლექსს, რაც ვფიქრობთ დიდ დაინტერესებას გამოიწვევს.

*ნუგ ზარ წერეთელი*

\* \* \*

ჩემო ლამაზო ტკბილო სამშობლოვ  
 რამდენი რამე გადაგხდენია,  
 არ გიტირია ღმერთმა გვაშოროს,  
 მაშინაც, როცა სისხლი გდენია.  
 დღეს კი რა სენი შემოგეყარა,  
 რომ აღარ ინდობს დიდს და პატარას,  
 ამ დროს უფალმა ჩვენი ქვეყანა  
 რა მძიმე გზებით გამოატარა.  
 თუ ვინმეს ყოფას ჰქვია განცხრომა,  
 ძნელია მიხვდე რა გვემართება,  
 წურბელაც კი გრძობს სისხლით გაძლომას,  
 ჩვენ კი სიხარბის რა ზნე გვემართება  
 დამსგავსებია ბევრი ლუარსაბს  
 ბოზბაშისა და თართის თანხლებით,  
 ქვეყანას წარღვნამ გადაუარა,  
 აღარ ვმრავლდებით,  
 აღარ ვახლდებით.  
 რაც დავაშავეთ დღეს ვიმკით მწარედ,  
 უკვე მოხუციც ტკივილით ვგოდებ,  
 რა ეშველება წამებულ მხარეს,  
 რომელიც უკვე მიაღვა კბოღეს.

\* \* \*

მზე შთანთქა სივრცემ, ჩამოწვა ბინდი  
 აუტანელი მომაწვა სევდა,  
 ვერ შეძლებ ტანჯულ შენს ხალხს უყურო,  
 ვისაც წამება ფეხდაფეხ სდევდა.  
 გემუდარებით სიკეთე გწამდეთ  
 და ჩემს მუდარას ერის ხმა ერთვის,  
 თორემ იცოდეთ ცუდი საქმისთვის  
 მკაცრ სასჯელს გარგებთ მაღალი ღმერთი.

\* \* \*

კაცი უნდა მოკვდეს სამი რამით  
მხოლოდ ბრძოლით, ქეიფით და ქალით,  
სხვას – ცუდს, ბითურს ველარაფრით ავცდით,  
აფსუსია სხვისთვის ნაღდი კაცი.

\* \* \*

მთელი ცხოვრება რაღაც მინდოდა,  
მთელი ცხოვრება რაღაცას ველი,  
თურმე შენა ხარ ეს საოცრება,  
სასიხარულო და სანატრელი.  
გავა დღეები, გავა თვეები,  
ო, როგორ მინდა გავიდე წლებიც,  
და ის ლამაზი ჩვენი შეხვედრა,  
რომლის სიღრმესაც აქამდე ვწვდები,  
გაგრძელდეს მარად, არ დარჩეს ზღაპრად,  
წინ ბევრ კარგსა და ახალს მოველი,  
მინდა მრავალი გავიდე წელი  
და სიყვარულმა შთანთქას ყოველი.

\* \* \*

ძნელი ყოფილა რიჟრაჟზე  
ერს რომ ლექსებით უღიმი,  
და გინდა ყველამ შეიგრძნოს  
საკუთარ ხალხის წუხილი.  
პოეტებს ვერვინ გაუგებს  
ცხოვრების განცდას ბოლომდე,  
უფალს ძეგლს ვინაც აუგებს  
ეტყვის პოეტად მყოლოდე.

### კარის მეზობელი

ოჩო ცერცვაძეს

ამ ქვეყნიდან ნანას წასვლამ  
შემაყვარა ერთი ქალი,  
ცრემლის ფრქვევამ გამახსენა,  
სამუდამო ჩვენი ვალი.  
ის ბრწყინავდა შესახედად  
წუნს რომ ვერვინ აღმოუჩენს,  
მისი ოდნავ გაღიმებაც  
ელვასავით აჩნდა ტუჩებს.  
სილამაზით ამნაირით  
ყოფის იმედს ვეზომები.  
და ვინატრებ, რომ მეც მყავდეს  
ნაღდი კარის მეზობელი.

\* \* \*

მეგობრების წრე როცა მცირდება  
დარჩება ერთი მრავალთაგანი,  
მერე კი ფიქრი – ვინ გაგაცილებს  
უბედურების ხდება საგანი.

### ღვინო

ქართველ კაცისთვის რა არის ღვინო,  
კაცის ცხოვრების მარად მზღებელი,  
ის სიხარულს და ბედნიერებას  
განიჭებს დარდის გამქარვებელი.  
დროსტარების და ლხინის გვირგვინი,  
ის გრძნობასა და სიყვარულს ხატავს,  
სილამაზის და დროის სირბილი  
ვერაფერს აკლებს, აბრწყინებს ხატად.  
ის ეფერება ვაჟკაცურ კაცებს,  
ბოროტებისაც არის ჩამდენი,  
თუმც სიგლახესაც უგებს გალავანს,  
ცა ქუდად უჩანს, მიწა ქალამნად,  
ქართველისათვის ღვინო კახური  
ღვთის მადლად არის ჩამონადენი.

**გურია**

ჩემო გივი, შენ რომ გხედავ  
მაგონდება მე გურია,  
მოცეკვავე ჩიტი ღაჟო  
მოძრაობის ერთგულია.  
სანადიროდ აფოფრილი  
კაპუეტი მიმინოა,  
ლამაზ სოფლებს ვხედავ ნათლად  
კაცობა და ღიმი როა.  
შემოქმედი, ჩვენი ჯვარცმა,  
გამოსული ბჟუჟზე შველი,  
ვით გაწიროს იგი კაცმა  
ვინც წყურვილის მოკვლას ელის.  
ენატრობ, ნეტავ მაცოდინა  
ვინ გაკადრებს აუგს რაზე,  
ყველა გურულს ვუსურვებდი  
შენს ნიჭსა და სილამაზეს.

\* \* \*

შადიმანები მეტისმეტად უხვად მოძრაველნენ,  
ცუდი დრო უდგას ჩვენს ქვეყანას – სიყვარულს ჩვენსას,  
ბორგავს მთაწმინდა, ვინ მიაღწევს ქვეყნის მოვლამდე,  
ლამის გაგვაქრონ,  
ჩვენი სისხლი ბოლომდე შესვან.  
ღიღი მამები მთაწმინდიდან გადმოგვძახიან –  
არ გაბრიყვდეთ და უმსგავსობას არავინ აყვეთ,  
თორემ გაქრებით ამ ქვეყნიდან, კუთხე – სახლიდან,  
უფალო შეგთხოვთ დააშვიდე მამულიშვილნი,  
რომ ჩვენი ერი არასოდეს აღარ გაქრება,  
ჩვენი სიყვარულის უკვდავება გვაკრავს სანგრებად.

---

---

\* \* \*

ნუ შემაზარეთ სამშობლო,  
ნუ შემაძულეთ თავი,  
სად გავქრე, როგორ დაგშორდეთ,  
რომ დავგძო ქცევა ავი.  
რა დაგიშავათ სამშობლომ,  
რომელმაც გარგოთ საჭე,  
თქვენ კი დაკარგეთ ღირსება  
და უღირსობას აჩენთ.

\* \* \*

საფლავებს ვუვლი, ვეფერები, აღდგომა მოდის,  
რა სიმშვიდეა, რა სიჩუმე, რა სიწყნარეა,  
შორი ქედები იისფერი ნისლით შებურეს,  
და შენტვის მუდამ მონატრებ იმ დღეს ბედნიერს,  
როცა შეხვდები ყველას ერთად – მონატრებულებს.  
კარს გაგიღებენ, სინარულსაც ვერ დამალავენ,  
მხოლოდ შენს მშობლებს დაწყდებათ გული,  
რომ აღარ რჩებათ ცრემლის დამღვრელი,  
გეტყვიან ტკბილად და მოფერებით,  
რატომ იჩქარე შვილო, მოსვლა ასე ადრიან  
და მათ სახეებს გადაფარავს შავი ნალველი.

აკლავ ძველებურად ვნატრობთ

გინდა ათასჯერ წადი,  
 გინდა ათასჯერ მოდი,  
 მიგიყვანს ყოფილ ცდამდი  
 ათასწლოვანი კოდი.  
 გინდა ასწლობით გასჭერ,  
 გინდა უთვალავჯერ სცადე,  
 მაინც მიიღებ სასჯელს,  
 ვით სულის მისვლას ცამდე.  
 ტყუილად წვალობს ბევრი  
 ახლაც, მანამდეც, ადრეც,  
 ძველი გზა რჩება მძევლის,  
 ეჭვიც ამიტომ ვკადრეთ.  
 როგორც ტრიალებს მიწა,  
 ისე ტრიალებს წლები,  
 ხან ცეცხლზე ხელებს ვიწვავთ  
 ხანაც უღმერთოდ ვცდებით.  
 ხან მიწიერი გვცვლავს,  
 ხან ზეციური გვიტევს,  
 ვნატრობთ ვხედავდეთ ველად  
 იავარდებს და ტიტებს.  
 ვნატრობთ სიმშვიდეს ნეტარს,  
 მორჩეს რყევა და ჯიჯგნა,  
 უკუვაგდებდეთ ჟღერას,  
 სანამდის სული გვიდგას.  
 წლები ქარივით ქრიან,  
 გრძელდება მძიმე შუღლი,  
 გვძულს, ვისაც მონა ჰქვია,  
 ვერ გრძნობს სიმძიმეს უღლის.  
 ჩვენ ჩვენს მიწაზე ვდგავართ,



ვიცავთ ამ მიწის ნაჭერს,  
ხან თოვლის კაცებს ვგავართ,  
ხან მზე მღულარე გვაჭერს.  
დასაბამიდან ვიბრძვით,  
ვდეენით სისხლიან ხარებს,  
შევეტრფით სიგანე-სიგრძით  
სამოთხესავით მხარეს.  
ჩვენ სხვა სამშობლო არ გვაქვს,  
დავბადებულვართ ობლად,  
ისევ ხანჯალი დაგვაქვს,  
თავს ვთვლით ბრძოლაში მყოფლად.  
როდემდის ანდა რისთვის,  
დღემდე სიმცირე გვბორკავს  
ზოგს ისევ სული მისდის,  
ჩვენი მიწისთვის ბორგავს.  
სიღრმეს ტკივილი ჩარჩა,  
ჟამი ღვარცოფად მოდის,  
ერთობა ჯერაც არ ჩანს,  
ანდა იქნება როდის.  
წლობით საქმეებს ვარკვევთ,  
ბევრი უღმერთოდ ცოდავს,  
გვჭამენ მარტო და ცალკე,  
ისეც ძალიან ცოტას.  
სულ გვეძალება თალხი,  
ვეძებთ დასისხულ ეკალს,  
არავინ ჩანს რომ ხალხი  
დავითის კვალზე შეკრას.  
ცრემლი ძველთაგან გვალტობს,  
კვლავ გაუურბივრთ ტრამალს,  
და ძველებურად ვნატრობთ

ვახტანგს,  
დავითს თუ,  
თამარს.

### მცხეთაში

გუშინ მცხეთაში ვნახე არსენა,  
უკვე ვერაფერს ართმევდა მდიდარს,  
ქარი კი როგორც ძველთან მსგავსება  
ტანმაღალ ჭადრებს რკალივით ხრიდა.  
ისევ ცრემლები სდიოდა ღარიბს,  
აღარსად სჩანდნენ გზები გმირობის,  
და ბაგინეთის სამუხე ღარით  
გადმოდიოდა მცხეთას მირონი.

### გაზაფხულის გაელვება

ვაი, ჩემო გაზაფხულო,  
როგორ ჩქარა დაგიზამთრდა,  
განზრახ მკით და განზრახ ხნულით  
ზეიმია ნაგიჟართა.  
ვაი, ჩემო გაზაფხულო,  
წუთიერო,  
ღროებითო,  
ვერ ასრულდა განზრახული,  
ვერ დავჭეკეთ მოვედითო.  
ვაი, ჩემო გაზაფხულო,  
დაქუხებავ,  
გაელვებავ,  
მზერა ადრე დასახული  
გაორდება,

გაელმდება.  
ვაი, ჩემო გაზაფხულო,  
მიზანივით ვერშემდგარო,  
დაზრული ხარ გზაგზა სულო,  
ვიღას უნდა შეეფარო.  
ვაი, ჩემო გაზაფხულო,  
დღეებს ხაზი გაეკლებათ,  
დაწყვეტილო,  
დაქსაქსულო,  
გაზაფხულის გაელვებავ.

### მუდმივი გზა

ჰა, ურემიც გადაბრუნდა,  
ფერი მეფობს ირისის,  
დარდთან,  
ჯაჭვით გადაბმულთან,  
დარჩენილხარ პირისპირ.  
ეს ცხოვრებაც ვერ ლაგდება,  
არც სიკეთე აცადეს,  
გაილადეს ვერაგებმა,  
მიაღწიეს საწადელს.  
ეს არასდროს არ გეგონა,  
ხარ ჭიდილში თუ შარში,  
ვერ მოესწრო გაგორება  
სასურველი დუშაშის.  
დარდი დადის ოთახებში,  
დარდი დადის გარეთაც,  
არ ჭრიალებს მოსახვევში  
ქარვისფერი კარეტა.

ჩაშლილია პაემანი  
 ლამაზ ცისფერთვალასთან,  
 ვერც ტკივილებს დაემალე,  
 ვერც გრძნობები განაზდა,  
 ჩატეხილა ტოტზე ტოტი  
 დარდის გასაუხვებლად,  
 შავი გზაკი შენსკენ მოდის  
 და არც გადაუხვევდა.

### „ნადიკურის სიმაღლე“

*გურამ, ედი, შალვა, დემნა რჩეულიშვილების ხსოვნას*

ველარ გადაუქროლა  
 შევარდენმა ნადიკვარს,  
 და ზეცასთან გომბორი  
 ისევ ჯანლებს გადიკრავს.  
 ველარ გადმოიარეს  
 სიჭაბუკის ღრუბლებმა,  
 თოვლი ველარ დაადნო  
 მზესთან გასაუბრებამ.  
 ველარ მოწყდა ნადიკვარს  
 ჩვენი ძველი ლეგენდა,  
 როს ქვეყანა ქცეულა  
 ასპარეზად რეგვენთა.  
 მოჩანს სულ სხვა სამყარო,  
 ქარი ტყეებს მიარღვევს,  
 როგორ მოგვნატრებია  
 ნადიკვარის სიმაღლე.  
 როგორ მოგვნატრებია  
 გაფრენილი ის წლები,  
 ნადიკვარზე ავარდნის,

ნადიკვართან მისწრების.  
წინანდლიდან სიმწვანის  
წამოშლილი მეწყერი,  
როცა წამსვე ირწმუნებ –  
წლებს წასულებს კერ წყდები.  
ქარში ქობა ქულების  
მძივებივით დაკიდეს,  
ვდგავართ მონატრულები  
და ვიდგებით აქ კიდევ.  
კვლავ მოდიან ბიჭები  
თუ მდინარე მობორგავს,  
ჯერაც რომ უწოდებენ  
ამრევსა და ბობოქარს.  
ისევ ახალგაზრდობის  
ჟინს ვისრუტავთ ვნებიანს,  
წლებით მყარად ნაწრთობი  
ის განცდები ღვებთან.  
ისევ კარგი ბიჭობის,  
ისევ კარგი ქალობის,  
მაშინ სხვა გზა ვიცოდით,  
წყვილის,  
არა ცალობის.  
სხვანაირად ვიწვოდით  
ცეცხლით ღიღი მამულის,  
მკლავებს ფრენად ვიწვდიდით  
ოცნებებით მალულთ.  
თან დაგვდევდა ყოველთვის  
ნადიკვარის ზმანება,  
ჟამს გამქრალი დრო ერთვის  
ულამაზეს ქალებად.  
მერამდენედ ვივსებით

საოცარი ნადიკვრით  
და დავდივართ ღირსებით  
ნაგრძნობით და ნაფიქრით.

### **ვისაც როგორ სურს**

ისევე წერენ ტყუილს და მართალს,  
ჭორებს ტენიან ერთიდან ორში,  
ქვეყანას უკვე ვერავინ მართავს  
ისედაც კარგა დიდი ხნის მოშლილს.  
მსხვერვეის ხმა ისმის ძველი კერპების,  
ახლა რომლებსაც ადრიან ასოს,  
ვისაც კი უნდა და არ შეჰფერის  
დგას რომ ქართული მიწები ხაზოს.

### **მამაპაპისკენ**

ბრუნავს დროის კარუსელი  
ბედისა და უბედობის,  
ევროპიენ, ამერიკენ, გარუსების,  
უმამობის, უდედობის.  
წყალზე თეთრად მისრიალებს  
და ჰგავს რძისფერ აფრას გედი,  
ცნობენ მხოლოდ მენტალურად მისიანებს  
ამერიკაც, საფრანგეთიც.  
საკუთარი უნდათ მონა  
ქვეშევრდომის ერთგულებით,  
სულკურთხეულ მამაპაპის ჩვენის წონად  
ქვეყნად არვინ მეგულებით.  
დღემდის მათით ვდგავართ ფეხზე,

ძველთა სისხლი უვლის ძარღვებს,  
იმ თვალთაგან ჭოგრიტივით განახედებს  
გზას დავეძებთ ბნელის გამრღვევს.  
მომცრო ძეგლის აუგებლად  
ქრება ბნელში თეთრი გედი,  
და ქრის ჟამი,  
ჯერ ძალიან გაუგებრად,  
ვით პატარა ქვეყნის ბედი.

### ღალატი

ახლა ღალატი იქცა იდეად,  
ცხოვრების მძიმე რკალი სრულდება,  
და ერთმანეთის წამოკიდება  
მოჭიდავესაც კი შეშურდება.  
ვინ დაინახოს სურათი სრული,  
როს წყვილიადივით არ ჩანს სავალი,  
ღალატისათვის  
მიპარვით, ფულით,  
დახვეწილია ხერხი მრავალი.  
ადრე ღალატზე უმეტეს ცოდვის  
წარმოდგენაც კი ჭირდა ძალიან,  
დღეს გაცოცხლებულ წარსულის ბოდვის,  
განსასჯელადაც არვის სცალია.  
მოღალატენი ელტვიან ღალატს,  
ზოგს უნდა ფრთები ამით გაშალოს,  
ჯერ კი არსად ჩანს ღვთიური ძალა  
ეს სულმდაბლობა რომ გადაშალოს.  
ყველაფერს ისე ჰყიდონ ფულზე,  
როგორაც გლეხი ქლიავს თუ ატამს,

მოქცეულები საშინელ რჯულზე  
წინ იფარებენ ევას და ადამს.  
ხდება ღალატი სახლით თუ ციხით,  
კვამლივით აკრავთ სუნი ქონების,  
დიდი ხანია,  
შეგნებით ბრიყვის,  
მსგავს მკრეხელობას სულ ვიგონებდით.  
ღალატი თითქოს იქცა თვისებად,  
შადიმანების ისმის ხარხარი,  
და ვით წყაროზე კოკა ივსება,  
ისე ივსება ნდომით ახვარი.  
რათა ღალატით რამეს გამორჩეს,  
მასში იღვიძებს მცირე ბატონი,  
ვნატრობთ სზივივით ბნელში გამოჩნდნენ  
გზები კაცურად უღალატონი.  
ამ დროს ცხოვრების წესად ქცეული  
კვლავ ღვარცოფივით მოქრის ღალატი,  
პატიოსნებას ვერდაწეული,  
გადახაზული შუბლის დარამდი.  
ვეყვირი – სასტიკი უარი ღალატს,  
თუმც მესმის ბლავილს ტყუილად ვლამობ,  
გთხოვთ ნულა დაღვრი, უფალო, ღვარად,  
სისხლს უსაშინლეს ღალატის გამო.  
შეგვინდე,  
ჭკუა ასწავლე ქართველს.  
ქედებს ნათელი ისევ შეფინე  
და მამულისთვის,  
რაც დღემდე გვმართებს,  
ის სამსახური შეგვაძლებინე.

**ფიქრები ყინწვისთან**

ყინწვისიდან ჩანდა  
თოვლიანი მთები  
ნაოცნებარს ჰგავდა  
ოქროსფერი თმები.  
მოვლენოდა ისევ  
ანგელოზი ყინწვისს,  
მზეც ნაწნავეს მისებრ  
ცაზე შლის და იწვის.  
ყინწვისიდან ვერძნობდი  
მამულს ძველს და ახალს,  
ისევ ისე ვძმობდი,  
ქედის აღარ დახრას.  
ისევ ისე მწამდა  
სიყვარულით თრობის,  
ვნეტარებდი წამთან  
გარდასულზე თხრობის.  
ყინწვისიდან ჩანდა  
თოვლი ვერცხლის დარი,  
მთების მწვანე ფარდას  
აქანებდა ქარი.  
მე კი თვალებს მჭრიდა  
შენი ოქროს თმები,  
იშლებოდა ციდან  
მზის ქარვათა ძნები.  
და ვფიქრობდი ბოლოს  
მდგარი ტაძრის კარად –  
გადაგვარჩენს მხოლოდ,  
სიყვარული მარად.

### ჯიპების სიმფონია

ჯიპები ჯიპებს გრიალით სდევნენ,  
 ჯიპია ბევრის ყოფა და სახე,  
 რამდენიც გინდა მიდი და ჩმახე,  
 ანდა შეები ცხრათავა დევებს.  
 ავსებენ ქუჩებს,  
 მოედნებს, ჩინებს,  
 მცირე ქუჩების ჭრილში გახიდვით,  
 ის მედიდურად უკან არ იხევს  
 დიდი და დიდი ფულით ნაყიდი.  
 შეძენის მერე ისე ჩანს ჯიპი  
 ვით შუქნიშანი თაემოწონების,  
 რაც უფრო დიდი იქნება იგი  
 მით უფრო სახელ მოჩანს ქონების.  
 გადმოგხედავენ ფარულ დაცინვით,  
 ტკბება დიდზე და ძალაზე მჯდომი,  
 მათ თვალში  
 თითქოს მყისვე დამცირდი,  
 ვით წაგებული უიღბლო ომით.  
 ჯიპი ბარათსაც ჰგავს სავიზიტოს,  
 ანუ ბევრი აქვს და ძლიერია,  
 ჯიპი თუ გოგოს მზითევშიც მზითვობს  
 მაშინ ის ბედის მაღლიერია.  
 ვინღა დაგიღევს  
 წიგნებს, ნაშრომებს,  
 ვიღას ჭირდება კაცი უჯიპოდ,  
 ვერ მიაგენი შენც სხვებივით  
 მსუყე საშოვრებს,  
 ანუ შარვალსაც იცვამ უჯიბოდ.  
 ქალაქს კი დიდი ჯიპებისგან გადაშავებულს,

ველარ დამდგარს და ველარ დადგენილს,  
 ზნეობით ხრამში გადაშვავებულს  
 თითქმის აღარც კი სჯერა აღდგენის.  
 გმირი ჯიპებით ველარ იშვება,  
 წარსულის ყველა ციტადელი  
 მძიმედ იშლება,  
 ხომ არ დაიწყო სამწუხარო გადაჯიშება.  
 განადიდებდა ასეთ დროსაც ბევრი ბლოგერი  
 საკუთარ თვალში დარჩენილებს მაგარ ტიპებად,  
 წარსულის მსგავსად წინ მრავალი ცუდი მოგველის,  
 ოღონდ არ გველის აწი ალბათ გადაჯიშება.

### ეს მოხდა ერთხელ

ხალხი ივლისის ნაკადივით როცა შეთხელდა,  
 ბავშვის ფრანივით ირწეოდა ბედის სასწორი,  
 და ყველაფერში წინამძღოლმა  
 მაშინ,  
 ერთხელაც,  
 ვერაფრით სიკვდილს  
 ბორბლებზე მდგარს,  
 ვერ გაასწარი.  
 წამოგეწია,  
 ღმერთკაცს უღვთოდ გადაგიარა,  
 ჟამი დიდების კი ვერ მოსპო მოგებ-წაგებით,  
 და ყველამ ერთხმად, საყვარლიან-საძაგლიანა  
 შენ დაგიტირა უღმობელი ამბის გაგებით.  
 საღებავივით ჩანდა სისხლი ფერთა გამაში,  
 უკვე ქცეული უსაშინლეს თვალის სეირად,

და დიდმა ჟორა შავგულიძემ მხრების თამაშით  
 მარჯანიშვილზე უკვე ვეღარ ჩაისეირნა.  
 იგი –  
 საერთო სიყვარული დიდის, პატარის,  
 თითქოს სიმაღლის მისალწვევი იყო ნიშანი,  
 მოხდენილ სახით თან დაჰქონდა  
 ძალა გატანის,  
 იმ მომავალი დიდი გზების დაღამქერისანი.  
 გამორჩეული ელვარებით ქართული გენის,  
 ჩანდა ამაყად წარმომჩენი ქართულ თეატრის,  
 მისით ამაღლდა ხელოვნების უკვდავი ბჭენი,  
 ის იყო კაცი,  
 ვისაც ქვეყნად ვერვის შეადრი.  
 მასთან ბავშვივით თვით სიკვდილიც  
 კი უნდა შერცხვეს,  
 ვინც დიდი კაცი შეუერთა წინამორბედებს,  
 და ყველაფერში წინამძღოლი –  
 ეს მოხდა ერთხელ,  
 ვერ გადაურჩა ამხედრებულ სიკვდილს ბორბლებზე.

### იები

აღარ გახალისებდა გაზაფხულის დადგომა,  
 ჯერაც თოვლი ეფარა თრიალეთის მთაგორებს,  
 მერე ლურჯი იები,  
 როს მობრძანდა აღდგომა,  
 სილამაზედ მისართმევ მძივებივით აკონეს.  
 შენ კი ისევ მიდიხარ  
 და ლამაზის მაგიერ,

სხვაგან მიგაქვს იები,  
 რაც მრავლჯერ გინახავს,  
 ცივი წვიმა დარდივით მძიმე ფიქრებს აგირევს,  
 იებს წასულ მშობლებთან მისატანად ინახავ.  
 ველარ გამოდიოდი სამყაროდან მიკროდან,  
 ტკივილები გეყარა,  
 როგორც თოვლი იმ ქედებს,  
 დრო კი ცივად მიქროდა,  
 გრიგალივით მიქროდა,  
 დარდით ხელჩაქნულმა ველარაფერს მიხედე.  
 მიტომ არ გიხაროდა  
 გაზაფხულის დადგომა,  
 მწუხარებას მუძლივით ველარაფრით გაგყარეს,  
 შენ კი ისევ ელოდი  
 და როს დადგა აღდგომა  
 ის იები მშობლების საფლავს გადააყარე.

### ვისაც უყვარდა

ვინც იფიცებდა ბალდათის ზეცას,  
 ვისაც უყვარდა საირმის მთები,  
 იმათ რიგებში მლოცველივით ჩამდგარი მეც ვარ  
 და ხეობების სურნელით ვთვრები.  
 კვარავით იწვის ფიჭვების წყება,  
 ზურმუხტის ფარდა უჭირავთ ცაცხვებს,  
 რაც დამიკარგავს,  
 დღეს გული მწყდება,  
 და მშობელივით ბუნება მარცხვენს.  
 სქელმა ჯანლებმა მზე ვერ მიმაღეს,

---

ახლა რომ ნაძვი წვერით ეხება,  
წითელ კალმახებს ისვრის მდინარე,  
სისხლის წინწკლებით კლდეც კი შეღება.  
ბევრი ოცნება რგებია ბაღდათს,  
კვლავ ყურადღებას მთები იპყრობენ,  
აქ იმნაირი სიმაღლე დახვდათ  
ერთეულები რასაც იპყრობენ.  
მაცნედ შემორბის მწველი მზის სხივი,  
ყველა მწვერვალი აქაც მზისია,  
მთები ჩნდებიან  
უდაბნოში ოაზისივით,  
და მართლაც ნაღდი ოაზისია.  
აქვე დაჰქრიათ საოცარ სიბრძნით  
ტიციანის და გალას სულები,  
და ის მიზანი მათებური,  
რისთვისაც ვიბრძვით,  
ჯერაც არ არის დანასრულები.  
გადასახდელად მაშულის ვალის  
მეც ძალას მძენენ საირმის მთები,  
და სიმაღლეთა უკვდავი ძალით  
სიტყვებო, უცებ გაირითმებით.  
ვინც იფიცებდა ბაღდათის ზეცას,  
ვისაც იტაცებს მთები საირმის,  
იმათ რიგებში ჩამდგარი მეც ვარ  
და სიყვარული აღარ გაივლის.

გამქრალი კაცი

ის გაქრა,  
 როგორც ქარიშხალში მცირე პეპელა,  
 როგორც მაღალ ხეს მოწყვეტილი  
 ხმელი ფოთოლი,  
 ცხოვრებას მისას მარტოობა ერგო რეფრენად  
 და ველარ დარჩა წიგნით, წერით თუნდაც ლოთობით.  
 ის მშვიდად, წყნარად,  
 თითქოს შიშით ცხოვრობდა ქვეყნად,  
 ეს მისი შიშიც, იყო  
 განცდა ბავშვობის წლების,  
 როცა საფრთხესთან პირისპირ შეყრა  
 ისე მძიმეა,  
 სიღრმეს მისას ვერაფრით წვდები.  
 ის იყო რუსი,  
 ოღონდ კარგი ქართულის მცოდნე,  
 საქართველოში მცხოვრებ წინაპრის  
 უკვე მეოთხე თაობის შვილი,  
 თითქოს ნაკლებად ატარებდა რუსეთის ცოდვებს,  
 ცხოვრების გზა კი იყო მისთვის სიმძიმედ შლილი,  
 ყოველთვის სავსე გაჭირვებით, შიშით, ტკივილით,  
 დანაშაული რომ გგონია აწყვეტაც ღილის.  
 ოჯახში იყო ორი ბიჭი, დედა, მამა, მათთან ბებია,  
 ოცდაჩვიდმეტი წელი იდგა უკვე კარებთან,  
 გაჭირვებათა წყებას ბევრჯერ შეგებებიან,  
 ყოველი წუთი ახალ საფრთხეს დაატარებდა.  
 მამა შრომობდა და ბევრივით თავს არ ზოგავდა,  
 გაბატონებულ კომპარტიის რიგითი წევრი,  
 იგი გაბედულს, არამშრომელს სულ არ მოგავდა,  
 თუმც პარტიისგან სატანჯველი ელოდა ბევრი.  
 ჯერ კი ერთგულად ზიდავდა ჭაპანს  
 და მიღწევებიც ცხოვრებაში ჰქონდა პატარა,  
 არ უწოდებდნენ საწყალს და ჯაბანს  
 ხელმოცარული, ნირწამხდარი კაცის სადარად.

ერთხელ კი მასაც გაუმართლა,  
 უფრო ზუსტად რუსი დასჭირდათ,  
 მაშინ ასეთი წესი იყო წამლიქენელების,  
 თუმცა ამ ფორმას ზემოდანაც აკონტროლებდნენ,  
 და მათი აზრით შეერთებულ რესპუბლიკებში  
 უპირველესი გასაქანი რუსს ეკუთვნოდა,  
 რადგან რუსეთი იყო ჩვენი მამაც, მასწავლებელიც  
 და წინამძღოლიც,  
 ვისაც ყოველთვის ჩუმად უნდა დამონებოდით,  
 თუ არა ასე, თუ რამეზე უარს იტყვოდით,  
 მაშინ ათასი მიზეზების მოშველიებით  
 თითქმის ყველაფერს დაჰკარგავდით,  
 მათ შორის თავსაც.

დასჭირდათ რუსი სათქმელად და მოსაჩვენებლად,  
 მერე გასაგზავნ ანგარიშში რომ ჩაეწერათ,  
 ერთ-ერთ საკმაოდ დიდ ადგილზე დავნიშნეთ რუსი,  
 ამით კი თითქოს ცხოვრებაში მყარად ნერგავდნენ  
 სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს.

ასე იყო თუ ისე იყო ან როგორც იყო,  
 უცებ ქარხნის პროფკავშირის თავმჯდომარე, ბატონი სერგო  
 მთლად საქართველოს პროფკავშირების  
 ცენტრალურ საბჭოს ერთ-ერთ მდივნად,  
 ანუ ვთქვათ ასე – რიგით მდივნად დაწინაურდა.  
 ადგილს კი მოყვა მანქანაც და დიდი ხელფასიც,  
 ოჯახმა შვებით ამოისუნთქა,  
 როგორაც თევზმა უწყლობის შემდეგ,  
 კვლავაც ცივ წყალში რომ გაუშვებენ.  
 პროფსაბჭოს მდივანს ეკუთვნოდა სხვაგვარი ბინაც,  
 სადღაც შორიდან,

პლენანოვის პროსპექტის ახლოს,  
 სადაც ოჯახი ერთ ოთახში ჩუმად ცხოვრობდა,  
 ცენტრში, ზემელზე, ჟოლოსფერი აგურის სახლში  
 გამოძებნილი იქნა ბინა სამი ოთახით,  
 და ჯერჯერობით ბედნიერი ოჯახის წევრებს,  
 წარმოუდგენლად კარგ პირობებში

ცხოვრების ახლად დაწყება ერგოთ,  
 რითაც უზომო სიხარულით აივსო სერგოც.  
 მალე ბავშვები მიაბარეს პრესტიჟულ ბაღებს,  
 სადაც საწყალი ვერასოდეს კარსაც ვერ აღებს,  
 საწყალს მთავრობა, სახელმწიფოც კი არ ენდობა,  
 რადგან მთავარი მუდამ იყო თანამდებობა.  
 ორიოდე წელს ძლივს გასტანა ბედნიერებამ,  
 რასაც სულ გრძნობდნენ – დროებითი მოვლენა იყო,  
 დიდხანს, ბოლომდის ბედნიერი არც ჩანდა ირგვლივ.  
 ამასობაში წელი დადგა ოცდაჩვიდმეტი,  
 შიშით, სიცივით, სიბნელით  
 და მძიმე განცდებით,  
 გინდა თუ არა ქვეყნად დამდგარ უბედურებას  
 ვერც შეაჩერებ, ვერც წაუხვალ, ველარც აცდები.  
 და ციხეებთან პატრონების დაგრძელდა რიგი,  
 ყველგან ისმოდა ორთაჭალა, ციხე, საკნები,  
 სადაც ხდებოდა დამთავრება გზის ათასების,  
 სადაც წყდებოდა იმედები გზების გაგნების.  
 გახშირდა ღამით მანქანების ზრჭიალა ხმები,  
 სიკვდილის ფასად იქცა ბნელში კარზე კაკუნი,  
 შეგრძნება ცივი უმწეობის, არარაობის,  
 მილიონობით კაცისა თუ ქალის სიცოცხლე  
 წყდებოდა ისე, როგორც წყდება დამპალი თოკი,  
 კუპრივით ჯანღში აღარ ჩანდა გზები თაობის,  
 თუკი ღროებით რაღაც ბედად გაძლებდა ზოგი,  
 მერე ის ზოგი, სხვა ზოგს კლავდა შეუბრალებლად  
 და იყო ძნელი, უფრო ზუსტად შეუძლებელი  
 ისეც ცოდვილი წუთისოფლის გზების გალევა.  
 ერთხელ, როდესაც შუალამის იდგა უკუნი  
 მათ სახლთან, ანდა ჟოლოსფერი აგურის სახლთან,  
 შეწყდა ზრჭიალი გამყინავი მანქანის ხმების,  
 მყისვე გაისმა უარესი – კარზე ბრახუნი,  
 და წაიყვანეს სერგო ოთხი ჩეკისტის ხლებით,  
 მერე გამქრალი, არასოდეს არსად ნახული.  
 იმედი ჰქონდათ ჯერ პატარებს ბორისს და ვოვას –

თეთრ პურს მოიტანს და სულ მალე მამიკო მოვა,  
მაგრამ არასოდეს არ ეწერათ დანახვა მამის  
და მათ სულებში იღვრებოდა ობლობის შხამი,  
არც თეთრი პური არ უნახავთ არცერთი გრამი.  
საწყალი ღედა დარჩა ორი უძწეო ბავშვით  
მოხუცებული და ასევე უძწეო ღელით  
და გაჭირვებით, გველეშაპად კართან მომდგარით,  
რაც იყო ბრალი არა შაჰის, მეფის, ხონთქრის  
არამედ ბოროტ კომპარტიის, დიდი სტალინის,  
მათი ათასი მითითების, სიტყვის, გზავნილის.  
აღარ წყდებოდა ციხისაკენ ხალხის სირბილი,  
ადამიანებს სასაფლაოდ ექცათ ციმიბირი,  
მილიონობით კაცი გაწყდა, განა ასობით,  
ჯვრები გამრავლდა სხვა კუთხიდან გადმონასობი,  
იმა კუთხეებს ათასობით კაცი დააკლდათ,  
მრავალი მოკლეს, კაცობასაც ბევრი დააკვდა,  
საწყალი სერგო გაქრა როგორც ქარში პეპელა,  
გაქრობის ბედი მომავალში შვილსაც ეწერა.  
ჯერ კი ტანჯვაში იზრდებოდა ორივე ბიჭი,  
ორივეს ჰქონდა ცხოვრებისთვის ფარული ნიჭი,  
ოღონდ სახსრები არ გააჩნდათ მეტი ცოდნისთვის,  
ეჭიდებოდნენ ყველა საქმეს საკუთარ თავით,  
თხოვნით, ვედრებით, შეწუხებით, ხანდახან დავით,  
ცხოვრება ისევ ბობოქრობდა ფერებით შავით,  
გათენებიათ მრავალი ღლე უით და ვაით.  
მთელი ბავშვობა ბანაკებში გალიეს ძმებმა,  
გაჭირვებასთან რაც მოგავდა უძალი შებმას,  
რათა როგორმე გაეტანათ ღლეების წყება,  
ეს ბანაკები მშვივრებისთვის უღრიდა შვებას.  
ბანაკებს ერქვათ ოქტომბრელთა და პიონერთა,  
იქ კოცონებთან, ხაზებთან და დაფიონებთან,  
თავში ტენილენ ბავშვებს ზრახვებს კომპარტიისას,  
ზოგი ამბობდა ამნაირი აზრები მტრისას,  
რადგან რუსეთის უფროსობის პრიმატს ნერგავდნენ  
და უფრო ძალით ასწავლიდნენ ამის ვერგამებს.

ავადმყოფობით, ბანაკებით, შიმშილ-სიცივით  
 გადაიარა მისმა ძძიმე ბავშვობის წლებმა,  
 ამასობაში საშუალო სკოლაც მორჩა და  
 უკვე პირისპირ ცხოვრებასთან მოუხდა შებმა.  
 კონკურსის წესით ჩაირიცხა მაშინდელი დედაქალაქის –  
 მოსკოვის ცნობილ ლიტინსტიტუტში,  
 სადაც სწავლობდა მთარგმნელობით საქმის საფუძვლებს,  
 რომ მერე ძალზე ბევრი ხალხის – რუსულ ენაზე  
 სოციალისტურ რეალიზმის თარგზე მოჭრილ  
 ნაწარმოებთა  
 თარგმნის ურთულეს მისასვლელებს შეჭიდებოდა.  
 ასეც შრომობდა, სულ თარგმნიდა, წერდა და წერდა,  
 ხან დიდს თარგმნიდა ხან პატარას დიდებთან ერთად.  
 ცხოვრობდა მცირე ჰონორარით და ჯამაგირით,  
 საწყალი კაცის ცხოვრება ხომ მუდამ ასეა,  
 არც შრომა შევლის, არც შეტევა, არც გამაგრება,  
 პატიოსნებას არ რგებია ჯერ დაფასება.  
 შემოქმედებას თვისას როგორ დაივიწყებდა,  
 წერდა და წერდა, ალაგებდა ფურცელს ფურცელზე,  
 ქართულ პროზაში იქნებ მისი ხმაც არ მიწყდება  
 ანდა გაქრება,  
 ვლასარაკობ დარდზე უცვლელზე.  
 იუმორისტულ მოთხრობათა წყება დატოვა,  
 თითქოს უნდოდა იუმორით სათქმელი ეთქვა,  
 ცხოვრებამ მაინც ვერმიღწევით გაიმართოვა,  
 კრახით დასრულდა გაუსაძლის მუზასთან შეთქმა.  
 არც ცოლი ჰყავდა, არც ჰყოლია და აღარც შვილი,  
 მხოლოდ რჩეული სიმართოვე იყო მხლებელი,  
 ამ ქვეყანაზე მომავალშიც ვერასდროს ივლის  
 მისი და მისივ ძმის სახელის გამგრძელბელი.  
 მარტო ცხოვრობდა შეჩვეული განმართობას,  
 სულ სიმართოვე იყო მისი უტყვი ძმობილი,  
 თავზე გვირგვინი არ დაუდგამთ ლამაზ რტობად,  
 იყო უჩინო,  
 მხოლოდ მცირე წრეში ცნობილი.

მერე იმდენი მოახერხა, სამსახურშიაც,  
 პაწაწა ოთახს დაეუფლა მარტო, თავისთვის,  
 ასეთი ბედი რომ ჰქონოდა თავად ირჩია,  
 კაცს ხომ რაც უნდა იმას ფიქრობს,  
 იმას განიცდის.  
 წერდა ბეჭდავდა, წერდა ბეჭდავდა,  
 ან ვისთვის წერდა,  
 ვინ იყო მისი ან მკითხველი, ანდა გამგები,  
 ხმა იუმორის ნაწერებში ფარულად ჟღერდა,  
 ვერ კითხულობდნენ ხშირად ნაცნობ-ამხანაგებიც.  
 აღმოაჩინა ერთ დროს ძველი სტილის გაზეთი,  
 ოღონდ რუსული, „კრასნაია ზვეზდა“ ჰქვიოდა,  
 ავტორი იყო ამ გაზეთის, როგორც ასეთი,  
 რუსული სული იქიდანაც გამოსჭვიოდა.  
 თითქოს ეს იყო თვალსაჩინო მისი მიღწევა,  
 საშუალებაც ამნაირი იპოვა ბეჭდვის,  
 გრძნობდა ცხოვრების მძიმე ხიდი როგორ ირწევდა  
 და თითქოს სისხლი ნაიარევს მრავალჯერ ბეჭს სდის.  
 ერთი ძმა ყავდა ისიც მოსკოვს გადაიხვეწა,  
 როცა თბილისში სამსახური გაუქმდა მისი,  
 მოსკოვის გარეთ მიაბარეს ის მალე მიწას,  
 გაქრა ცხოვრება უფერული, მტანჯველი, მქისი.  
 იმ შავ დღეებში მოსკოვშიაც კელარ ჩავიდა,  
 მატარებელი აღარ იყო, არც თვითმფრინავი,  
 თავს ვერ აღწევდა ამ ცხოვრების მძიმე ზვავიდან,  
 ვერ გაიტანა მარტოხელამ ბოლომდის თავი.  
 მაინც დალუპა საკუთარმა მარტოხელობამ,  
 ვერ მოიფიქრა დაეწერა თუნდაც წერილი,  
 მწერლის, მთარგმნელის შემოაცვდა ხელში ხელობა,  
 იცხოვრა მღვიმეს შეხიზნული საწყალ ბერივით.  
 ერთი რამ ჰქონდა-ყოველ დილით ზაფხულ თუ ზამთარ  
 ჯანმრთელობისთვის სულ დარბოდა,  
 ბედს გაურბოდა,  
 მაგრამ ვერაფრით დაეძალა ცელიან აფთარს,  
 და მარტოხელას ფეხი მაინც გადაუბრუნდა.

სად აღესრულა, როგორ, რითი, არავინ იცის,  
თუმც ნათესავი ან მომვლელი არვინ ჰყოლია,  
არც შემრჩეველი არ ჰყოლია საფლავის მიწის  
და ყველაფერი უცებ იქცა მელანქოლიად.  
და გაქრა ბორის პუგაჩოვი,  
ვით პეპელა ქარიშხლის ძალით,  
ისეც რახანი აღარავის ენახა თვალით,  
გაჭირვებულს ხომ უღმობელი ბედი უხვდება,  
იქნებ საქვეყნო გადინადა იმანაც ვალი,  
ან აღესრულა ამ ვალების გადაუხდელოდ.  
გაქრა, წავიდა,  
ერთ ღროს ისიც ცხოვრობდა, წერდა,  
და ვერასოდეს ვერ გაექცა დიდ სიმარტოვეს,  
გადაეფარა გაელვება ზაფხულის ფერთა,  
რაც მიდის, ქრება და არაფერს უკან არ ტოვებს.  
ნაწერებს მისას გადახედავს ალბათ ვიღაცა,  
იქნებ მიუხვდეს იუმორსაც – ფარულ იმედებს,  
კაცმა იშრომა  
მარტოდმარტომ ჩუმად იღვაწა,  
დავიწყებისთვის ამიტომაც ვერ გავიმეტე.

*ნუგ ზარ წერეთელი*

## სიკმითი საზსე კაცი

როცა ამ ცოდვილი წუთისოფლიდან უდროოდ მიდის ახლობელი ადამიანი, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი სამოცი წლის მანძილზე შენი განუყრელი და უახლოესი მეგობარი იყო, დიდი ტკივილისა და სიცარიელის გრძნობა გეუფლება. ფიქრობ, ფიქრობ, მეათასედ რწმუნდები, რომ ის ერთი იყო თავისებური, განუმეორებელი, საკუთარი კვალის დამტოვებელი, უანგაროდ შენი მოყვარული, ვისი სინდისის კოდექსიანშიც სიტყვა ღალატი ან სიტყვა ორგულობა სამუდამოდ იყო გადახაზული. მის სასიცოცხლო სამოქმედო არეალს შეადგენდა ოჯახი, შვილები, უსაყვარლესი შვილიშვილები, ძმებთან შეზრდილი მეგობრები და სამსახური, სადაც ყოველდღიური სიმძიმეები თუ ცხოვრების ამაოება შეგნებული ცხოვრების წლებში შეტენილ მეგობარ თანამშრომლებთან ერთად გადაჰქონდა.



*ბაკურიანი, 1956 წ. პირველ რიგში მარცხნიდან პირველი-მეორე ნოდარ ცხვირავაშვილი, ბორია ინასარიძე, ბოლო რიგში მარცხნიდან მესამე ნუგზარ წერეთელი*

ნოდარ ცხვირავაშვილის გარდაცვალება, რაც ჩვენთვის უდროოდ იყო და მოულოდნელიც, ყველამ მწარე გულისტკივილით განიცადა, რადგან არ არსებობს კაცი თუ ქალი, ვისთვისაც მას რაიმე ეწყენინებინოს, დაემცირებინოს ან შეურაცხყოფა მიეყენებინოს. შეიძლება პარლამენტარი ან მინისტრი არ იყო, მაგრამ ყოველთვის მუშაობდა ხელმძღვანელ სამუშაოებზე, სადაც ადამიანების ბედიც ებარა და შეეძლო ბევრი სხვასავით ცუდიც გაეკეთებინა, მაგრამ ის არასოდეს და არცერთ ვითარებაში უკადრებელ საქციელს არ ჩაიდენდა. იყო მოყვასის მოყვარული, თბილი, სამაგალითო ქართულ ოჯახში აღზრდილი, ზედმიწევნით კულტურული და განათლებული ადამიანი, ამიტომაც ის ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა და ანდაზას თუ მოვიშველიებთ თვალში რომ ჩავარდნოდან, ხელს მართლა არავინ არ ამოისვამდა.

ახლა, როდესაც ამ მერამდენე სამწუნხარო წერილს ვწერ და მწარე ფიქრებით წარსულში დავბორიალობ, 2013 წლის 23 აგვისტოა, ჩემთვის განუზომელი მწუნხარებისა და მწარე ტკივილების დღე. აღვნიშნავდი კიდევ ამ საშინელი დღის შესახებ ოცდაათი წლის წინ დაწერილ ლექსში:

„დღეს ჩემი გული დარდების ტყვეა,  
დღეს გურამ, შენი დალუპვის დღეა“.

სწორედ ამ დღეს სამი საათიდან



*სანკტ-პეტერბურგი, 1958 წ.  
გაყინულ ნევაზე. მარცხნიდან  
ნუგზარ წერეთელი, ნოდარ  
ცხვირავაშვილი*

ოთხ საათამდე სხვების სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლაში აზვირთებულ შავ ზღვაში დაიღუპა უდიდესი ქართველი მწერალი, თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, ოცდაექვსი წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი ლეგენდარული გურამ რჩეულიშვილი, ჩემი და ჩვენი უახლოესი მეგობარი, ჭეშმარიტი რაინდი და თაობების წინამძღოლი. იმ ავადსახსენებელი დღის შემდეგ ორმოცდაცამეტი ტკივილიანი წელიწადი გავიდა. ამ ორმოცდაცამეტმა წელმა საყოველთაოდ დაადასტურა გურამ რჩეულიშვილის სიდიადე. მისი ფართო პოპულარობა, ხალხის სიყვარული და ჩვენი სიყვარული მისდამი. ჩვენს

შორის, რა თქმა უნდა, არის ნოდარ ცხვირავაშვილი, ვისი უდროო წასვლიდანაც უკვე ერთმა უფერულმა თვემ გაიარა.

1952 წლის სექტემბერში, როცა გურამმა დაიწყო თავისი ფართო სამეგობრო წრის ჩამოყალიბება, შეკვრა და შედუღება, თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა, გურამის თანაკლასელმა, უახლოესი მეზობელი ბორია ინასარიძე გაგვაცნო, ბორიამ კი ერთ-ერთი შეხვედრის დროს თან მოიყვანა თანაკლასელი მეგობარი ნოდარ ცხვირავაშვილი. იმ შორეული წლებიდან ისინი ჩვენი სამძოს უცვლელი წევრები გახდნენ. 17 წლის, საშუალოზე მაღალი, ქერა, ნათელი სახისა და ლამაზი ბიჭური შესახედაობის ნოდარს უკვე მაშინ ზედმეტ სახელად უცნაური ჭულუ ერქვა. მერე გავარკვიეთ რაში იყო საქმე: თურმე ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს ლექსის თქმისას მასწავლებელს შეექო „ყოჩაღ, ხმოვნებს ჭ-ს და ღ-ს კარგად გამოთქვამო“. კლასელებსაც მეტი რა უნდოდათ ეს, ჭ და ღ აიტაცეს და ხელად ჭულუ შეარქვეს, რაც ხშირად უკვირდათ რას ნიშნავსო. მერე და მერე ნოდარის კლასელი ბევრი საუკეთესო ბიჭი გავიცანით, მათ შორის იყვნენ დიდი ქართველი მხატვარი, მსოფლიო მნიშვნელობის მონუმენტალისტი ზურაბ წერეთელი, მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი ლიდერი გურამ დუდუჩავა, გამოჩენილი ქირურგი რომან პირტახია, ცნობილი მფრინავი ნოდარ გელაშვილი, პროფესორი

ბორია დემეტრადე და სხვები. ისინი ჩვენი ახლო მეგობრები გახდნენ, მაგრამ ბორია და ნოდარი მაინც სხვა იყო.

ნოდარ ცხვირავაშვილი კარგი სწავლისა და პატიოსნების გარდა იმითაც იყო თანაკლასელებში პოპულარული, რომ მათ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ჭულუს მამა, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, ბრწყინვალე სპეციალისტად აღიარებული ვლადიმერ (ლადო) ცხვირავაშვილი. ბატონი ლადო წარსულში მენშევიკი, ფედერალისტი და თეთრგვარდიელი ოფიცერი, საბჭოთა წყობილების შეურიგებელი მტერი, იმდენად გამორჩეული მასწავლებელი იყო, რომ შემდეგ წლებში მაინც დააჯილდოვეს ლენინის, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, რასაც, განსაკუთრებით ლენინის ორდენს, იმდენად პატივს არ სცემდა, რომ სადღაც დაჰკარგა კიდეც. ეს ჭეშმარიტად ინტელიგენტური ოჯახი, სხვათა შორის, როგორც მაშინ იყო მიღებული, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ხელფასზე ცხოვრობდა. ოჯახში იყვნენ პედაგოგი მამა, სამედიცინო დარგის მუშაკი დედა, სამი შვილი: უფროსი ნოდარი, შესანიშნავი ბიჭი თამაზი და თამრიკო. ნოდარმა პირველსავე წელს წარმატებით ჩააბარა უმაღლესში და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. პირველი კურსიდანვე იგი სისტემატიურად მონაწილეობდა ჩვენს ყველა შეხვედრაში, იყო მეგობრების უსაზღვროდ მოყვარული, გამგები, ამყობი და ძალიან აზარტული, ყველაფერი

აღამიანური და კაცური უყვარდა, მათ შორის სუფრებზე შეხვედრები, კარგი გოგონები, წასვლა-წამოსვლა თუ მოგზაურობა. ამიტომაც სულ ერთად ვიყავით დაბადების დღეები იქნებოდა თუ რესტორნები, თელავი თუ ბაკურიანი, სოხუმი თუ სოჭი, მთა თუ ზღვა.

ბუნებით ძალიან თბილი, უკონფლიქტო და მიმტევებელი ბიჭი იყო. ჩხუბი, გინება, ხმაური და აყალ-მაყალი არ უყვარდა. შეიძლება მაგარ ჩხუბში საკუთარი ინიციატივით არ ჩართულიყო, მაგრამ მეგობარს არასოდეს გვერდიდან არ მოსცილდებოდა და გონივრული, ვაჟკაცური ქმედებით ახერხებდა დაძაბული ვითარების განმუხტვას. ბუნებით ინტელიგენტის საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა, ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა. ქართული, რუსული, ევროპული ლიტერატურა კარგად იცოდა. ერთ დროს ჩემთან სამსახურში ხშირად დადიოდა, არაფერ სხვა საქმეზე არ შეეუწუხებოდა, მხოლოდ იმ გაჭირვებული ცხოვრების დროს საზოგადოების ერთი ნაწილისთვის გამომავალი წიგნების ტომეულების ხელმოწერებს მთხოვდა, რაზედაც მე მაშინ ხელი მიმიწვდებოდა. წიგნების სიყვარულით შექმნა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა, რაც შვილებისა და შვილიშვილებისათვის ჰქონდა გამიზნული.

მეგობრობა მისთვის მაღალი და წმიდათა-წმიდა სფერო იყო, მეგობრის გულისთვის ყველაფერს გააკეთებდა, შეუძლებელსაც კი. მოგონების წერილს გამახსენდა წერილი, რომელიც გურამმა ახალი ათონიდან მომწერა 1956



*ბაქო, 1960 წ. დგანან ბოლო რიგში ნოდარ ცხვირავაშვილი, თენგიზ ჯაშიაშვილი, ნუგზარ წერეთელი*

წლის 23 აგვისტოს. სწორედ ამ დღეს ოთხი წლის მერე, მოულოდნელად დაიღუპა იგი შავ ზღვასთან უთანასწორო ბრძოლაში. სხვა ამბებთან ერთად გურამი მწერდა: „მესამე დღეა რაც ჩამოვიდა გივი მაჭავარიანი, უზომოდ გამიხარდა მისი მიღება უნივერსიტეტში, ახლა ჯავახიშვილის სახელობა მისცეს, გივის კი არა, უნივერსიტეტს. მაშინვე დაიწყო გივიმ შპინტრიკი. ნუგზარ! ჭულუს უნდა მივართვათ დაფნის გვირგვინი და ფასიანი საჩუქრები ოლიმპიადაზე საუკეთესო ნაწარმოების წარდგენისათვის. შენთვისაც მომილოცნია - ბევრი იწვალე“. ხშირად მეკითხებოდნენ-ხოლმე, რაში უნდა მიეღო ჭულუს ფასიანი საჩუქრები, მაგრამ არ მითქვამს. ახლა კი აღარც ნოდარია ამ ქვეყანაზე, აღარც გურამ რჩეულიშვილი, აღარც გივი მაჭავარიანი და აღარც მისი ყველაზე საუკეთესო მეგობარი გურამ ხარაიძე. ამიტომ რაღა აზრი აქვს რაიმეს დამალვას, მით უმეტეს ორმოცდაჩვიდმეტი წლის წინანდელი ამბისას, ხანდაზმულობის კანონი აქაც

მოქმედებს.

ზუსტად მისაღები გამოცდების წინა დღეებში გივი მაჭავარიანი ციხიდან გამოვიდა, წვრილმანი ხულიგნობისათვის მოიხადა სასჯელი. ერთი წლის წინ ისტორიის ფაკულტეტზე აბარებდა მისაღებ გამოცდებს. მცირე ჩხუბი მოხდა, წესრიგის დამცველი ჯოხით ხელში გამოეკიდა დასაჭერად თუ დასარტყმელად, გივიმაც მაგიდის გარშემო სირბილის დროს სკამი გადმოუწია და მღევარმა ყირამალა გააკეთა, ამისათვის სასტიკად დაისაჯა ახალგაზრდა კაცი და მთელი წელი იჯდა ციხეში. ახლა გარეთ გამოსულმა საბუთები კვლავ ისტორიის ფაკულტეტზე შეიტანა. ციხეში რას მოემზადებოდა, პირიქით ყველაფერი დაავიწყდა. ჩვენი დიდი სამძაკაცოს გულიანი დახმარებით სამი საგანი ჩააბარა, მეოთხე გადამწყვეტი საგანი ჰქონდა დარჩენილი - ქართული წერა. ქართულში საერთოდ არაფერი ახსოვდა. სხვა არავითარი გზა აღარ რჩებოდა, ვინმე უნდა გასულიყო მის ნაცვლად, თანაც ძალიან მცოდნე. მე უკვე მესუთუ კურსის სტუდენტი ვიყავი და ყველა მიცნობდა, ასევე იყო გურამ რჩეულიშვილიც, ნოდარ ზედელაშვილის და გურამ ხარაიძის საკითხი საერთოდ არ განიხილებოდა მათი თვალშისაცემი შავგვრემანობის გამო. ლაპარაკისა და საკითხის აწონ-დაწონის დროს გაირკვა, რომ გივი მაჭავარიანი და ნოდარ ცხვირავაშვილი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს ქერა თმებით, ცისფერი თვალებითა და სწორი ცხვირებით. სურათის გადაწებ-გადმოწე-

ბეზაც არ იყო საჭირო, ისედაც ძნელად თუ ვინმე აღმოაჩენდა ერთი შეხედვით განსხვავებას ძველი, უხარისხო შავი სურათების დროს. მოკლედ ჭულუმ ძალიან მაგრად გარისკა, შეეცოდა მეგობარი, ვისაც გარეთ დარჩენის შემთხვევაში ვინ იცის რა ელოდა და ქართულის წერით გამოცდაზე გვიის საბუთებით გავიდა. საკმაოდ რთული თემები მოიტანეს საგამოცდოდ, მაგრამ ჭულუმ მაინც იყოჩაღა და მესამე დღეს გულაფანცქალეული ბიჭების დიდმა გუნდმა ჩვენდა სასიხარულოდ გარკვევით მოვისმინეთ - გივი მაჭავარიანი „ფრიადი“. გივი სტუდენტი გახდა, დიდებული საქმე გაკეთდა და ბიჭი, ასეც შეიძლება ითქვას, დაღუპვას გადარჩა. მერე გივი დიდხანს მუშაობდა რადიო-ტელემაუწყებლობის კომიტეტში და ყველა სუფრაზე თუ პირად საუბრებში დიდი სიყვარულით იხსენებდა ჭულუს. ისინი წლების განმავლობაში მეზობლებიც იყვნენ ყოფილი კალინინის ქუჩაზე. სამწუხაროდ გივიც მძიმე ავადმყოფობის გამო შუახანს მიღწეული წავიდა ცხოვრებიდან.

ნოდარ ცხვირავაშვილს ერთგულების, აბსოლუტური უღალატობის გრძობა ერთი წუთითაც არ განელებია. როგორც ვთქვი, მეგობრის დახმარება მისი უწმინდესი მოვალეობა იყო. ერთი პერიოდი გაზიფიკაციის სისტემაში მუშაობდა და არაერთ მეგობარსა თუ ახლობელს სრულიად უფასოდ გაუყვანა გაზი სახლებში, მათ შორის იყვნენ ჩვენი და მისი უახლოესი მეგობრები ნოდარ ზედელაშვილი, ბორია ინასარიძე, შალიკო რჩეულიშვილი, გოგი კალმახ-

ელიძე, ბაუკა (მერაბ) ბეგთაბეგიშვილი, გივი ამაშუკელი, გოგია ასოიანი, გონა პაიჭაძე, რამაზ მაჭავარიანი და სხვები.

ერთხელ, გასული საუკუნის სამოციან წლებში, ეს ამბავი ჩემს სქელტანიან ავტობიოგრაფიულ რომანში სათაურით „დაუსრულებელი ზამთარი“ მაქვს აღწერილი – ჩემი უფროსი ძმა ჯონდო, სტუმრად მოსული ნოდარ ცხვირავაშვილი და მე იმერეთიდან ჩამოტანილი შავქლიავის სურნელოვან არაყს მივირთმევდით. ზემო ვაკეში, ქობულეთის ქუჩაზე მდებარე ძველ სახლში, სადაც ჩვენი ოჯახი 1938 წლიდან ცხოვრობდა, კაპიტალური რემონტი მიმდინარეობდა, უფანჯრებო, უფრო ზუსტად შეუმინავ ოთახებს გვარიანი ორპირი ქარიც უვლიდა. დედაჩემმა წაიწუწუნა - შუშებიც კი ვერ ვიშოვეთ რომ ჩავსვათ, არაფერი აღარ იშოვებაო. ორი დღის მერე ჩვენს სახლს მცხეთის ჩიხიდან მოადგა სატვირთო მანქანა – ჭულუს სახელმწიფო ფასებში ემოვა საფანჯრე შუშების ორი უზარმაზარი შეკვრა, რაც ათამდე კაცმა ძლივსძლიობით ჩამოიღო. მერე ჩემი მშობლებისათვის ეს ფასდაუდებელი საჩუქარი მაგარი სმითა და ტრადიციული „დასველებით“ აღვნიშნეთ, ჩემი მშობლები კი ყოველთვის იხსენებდნენ ამ უანგარო მეგობრულ დახმარებას.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ რელიგიურად დავნათესავდით კიდევ, ჭულუ ჩვენი ოჯახის ნათლიად მოგვევლინა. ეს ასე მოხდა - ჩემი უფროსი ძმა ჯონდო პაწაწა ქალიშვილს ნათლავდა. იმის გამო, რომ მაშინ ჯერ

კიდევ სოციალისტურ-კომუნისტური წყობა ბობოქრობდა და კომუნისტური პარტია მკაცრად სჯიდა ყოველგვარი წესების მათი აზრით დამრღვევს, მღვდელი სახლში ჩუმად მოიყვანეს ადგილზე ნათლობის ჩასატარებლად. ვიცოდი სახლში პურ-მარილი მზადდებოდა და ჩვენი თავნასახელები ჭულუც წავიყვანე სასმელად. მოხდა ისე, რომ მეორე ნათლია ვერ მოვიდა, მღვდელს აგვიანდებოდა, სხვა გზა არ რჩებოდა, ნოდარ ცხვირაგაშვილს ვთხოვეთ, მასაც უარი ვერ გაუვიდოდა და ასე გახდა ქეთევან წერეთლის ეკლესიური ნათლია. მთელი შემართებით გაჩაღებულ სუფრაზე თამადა უკვე ოჯახის ნათლიის და ნათლიების სადღეგრძელოს სვამდა, მშვიდად მომდიმარი, სიკეთით სავსე ჭულუც მშვენივრად ცლიდა მასთან ალავერდად გადასულ ყანწებსა და ფიალებს, რაც არასოდეს ეშლებოდა.

მთელი ცხოვრების მანძილზე მე მგონი ერთი დღეც კი არ იყო, რომ ოჯახის თუ მეგობრების დახმარების დროს თავი დაეზოგა, არაფერს დაიშურებდა საქმის გასაკეთებლად. ერთხელ ეს ამ სამი წლის წინ მოხდა, როცა ვერაგი ავადმყოფობა უკვე ეპარებოდა, მანგლისში ვიყავი ცხელი აგვისტოს თვის გასატარებლად. ჩვენი ქუჩის ანუ მშვიდობის ქუჩის მოასფალტება და სასმელი წყლის დაცხრილული რკინის მილების პლასტმასის მილებით შეცვლა მიმდინარეობდა. ერთ მშვენიერ დღესაც ისედაც იშვიათობად ქცეული წყალი საერთოდ გაქრა, დასალევი თუ ხელის დასაბანი წყალი ასი

მეტრის მოშორებით მოწანწკარე წყაროდან დიდის გაჭირვებით მოგვექონდა. აუცილებელმა, გადაუდებელმა საჭიროებამ მოიტანა, რომ აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის ყოფილი სახლის დიდ ეზოშიც წყლის მილი შეეცვლილიყო და სახლში წყალი ძირითადი მაგისტრალიდან გამოგვეყვანა. უკვე სალამო ხანი იყო, როცა ნოდარ ცხვირაგაშვილს დავურეკე – რაღაც გვიშველე მეთქი. იმავე ღამეს მისებურად დატრიალებულა, მოუძებნია ჩვენს სამსახურში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ხელმძღვანელი, სტეფანწმინდელი კარგი ბიჭი იურა გიგაური, რომელსაც ჯიპი ჰყავდა, სხვა მანქანაში ვერც ჩაეტეოდა დახვეული მილი და შესაერთებელი ნაწილები, დილაადრიან, შვიდ საათზე გაქცეულა ელიავას ბაზრობაზე, შეურჩევია ყველა საჭირო ნაწილი, ჩაულაგებია და დილის ათ საათზე უკვე მანგლისში გამოგვეცხადა. ყველა დამსვენებელმა გაინხარა, იმედი მიეცათ, ცხელ თბილისში



გაგრა, 1971 წ.  
მარცხნიდან ნუგზარ წერეთელი,  
ნოდარ ცხვირაგაშვილი

გაქცევა აღარ გახდა საჭირო. მერე ჩვენს აივანზე ჰაერიან სივრცეში მოკალათებულმა აღვნიშნეთ ეს სასიამოვნო ამბავი. რამდენიმე საათის შემდეგ ნოდარი და იურა თბილისს დაბრუნდნენ, ჩვენ კი სალამოსთვის უკვე მოვასწარიტ წყლის გამოყვანა და ყველა ლოცავდა ნოდარს, ვინც ღიდ გაჭირვებას გადაგვარჩინა.

ერთხელ, ეს იყო 1973 წლის სექტემბრის ბოლო, ზემოვაკის უბანში მღებარე ჩვენ სახლში, ჩემი და მამაჩემის კამათს ნოდარ ცხვირავაშვილი შემოესწრო. მამაჩემი მთხოვდა სოფელ საღვინის საურმე ვზის აუცილებელი მოწესრიგების მიზნით ჩავსულიყავი ფოთში, სადაც ჩვენი უახლოესი მეგობარი, გამოჩენილი ქართველი ჰიდრომშენებელი ბორია ინასარიძე „კოლხიდმშენის“ ტრესტის მმართველად მუშაობდა, მისგან წამომეღო შეპირებული ცემენტი, ქვიშა, ფიცარი და არმატურა. მამაჩემს ვეუბნებოდი, ჯერ არ მცალა-მეთქი, ის კი ხელქვეითებისგან უარს ვერ იტანდა და გაბრაზებას ვერ მალავდა. ნოდარმა უთხრა: კაკო ბიძია, თქვენ არ ინერვიულოთ, მე ამ სალამოსვე დავრეკავ, ყველაფერს დავადგენ და მოგახსენებთო. იმავე ღამეს ნოდარი ჩუმაღ წასულა ფოთში, მამაჩემი კი მეორე ღღეს გაემგზავრა საქმეების მოსაგვარებლად შორაპნის ცნობილი ცინის იქით დაქანებულ ფერდობებზე მღებარე სოფელ ზედა საღვინეში. ნოდარს ორი ღღე დასჭირდა საჭირო მასალის შესაგროვებლად და მესამე ღღეს, შუადღისას ორი დატვირთული საბარგო მანქანით მიადგა მამაჩემს,

რომელიც მოულოდნელობითა და სიხარულით გადარეულა, მერე მეზობლები დახმარებიან და საშენი მასალა დაუბინავებიათ. სალამოს კარგი სუფრა გაუშლიათ და საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილი ციცქის სუფთა წვენიტ მაგრად უქეიფიათ. მესამე ღღეს ჭულუ სამსახურში მოვიდა და სიცილიტ მითხრა მამაჩემის ნათქვამი - ნეტავ შენნაირი ერთი შვილი მაინც მყავდესო. თან იხუმრა - ძალიან უნდა მე მიშვილოს, შენ კი შვილობაზე უარი გითხრას და როგორ მოვიქცეო. მეც ხუმრობით ვუპასუხე - ამ საქმეს ბევრი გაწამაწია სჭირდება, ჯობია სამივე ძმას - მე, ჯონდოს და გობრონს გვითხრას შვილობაზე უარი და რომ აღარ იწვალოს ბარემ შენ, ბორია ინასარიძე და ეღი რჩეულიშვილი გიშვილოთ-მეთქი, რომლებიც ძალიან უყვარდა და სულ ამბობდა ნეტავი მათი მსგავსები ჩემი შვილები იყვნენო. ამაზე ბევრი ვიცინეთ, მერე ნოდარ ზედელაშვილს გაუუარეთ და რიყის უბანში მღებარე კარგად ნაცნობ ღუქანში აღვნიშნეთ ჭულუს გმრობისა და ჩემი შერისხვისაგან გადარჩენის ამბავი.

როგორც მახსოვს 1958 წელი იდგა, ოცდაერთი წლის ბიჭებს მოძრაობა და სიახლეების შეცნობა გვიზიდავდა. სოჭიდან პეტერბურგისკენ სულ უცნობი მარშუტით გავემგზავრეთ. კარგად დამამახსოვრდა მთელი ღამისა და ღღის მანძილზე მგზავრობის შემდეგ ქალაქ ბრიანსკში შეჩერება, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს გამძაფრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ომის მერე, ათი წლის გავლის მიუხედავად,



*გაგრა, 1968 წ.  
მარცხნიდან ნუგზარ წერეთელი,  
ნოდარ ცხვირავაშვილი, ნოდარ  
ზედელაშვილი*

ქალაქი მაინც მინგრეულ-მონგრეული იყო, კვლავაც მოჩანდნენ ჩონჩხადქცეული სახლები, თუმცა ნაწილი განახლებული და დამშვენებული სახით გამოიყურებოდა. სანკტ-პეტერბურგში ანუ მაშინდელ ლენინგრადში უკვე ნაცნობ მისამართზე ზედ ნევის პროსპექტისა და პუშკინის ქუჩის კუთხეში მდებარე სახლის სამოთახიანი ბინის ერთ პატარა ოთახში მოვეწყვეთ, სადაც ერთი წლის წინ მე, ბორია ინასარიძე და ნოდარ ზედელაშვილი ათი დღის განმავლობაში ვცხოვრობდით. ჩვენც ერთი კვირა დავრჩით ამ დიდებულ ქალაქში, კვლავ მოვიარეთ ქუჩები, მოედნები, ნეკ-

როპოლები, მუზეუმები, მემორიალური სახლები, უკანა გზაზე „ყველა დედაქალაქის დედაქალაქ“ მოსკოვშიც გავჩერდით და არდადეგების დამთავრების შემდეგ დავბრუნდით თბილისში. ამ მოგზაურობის დროს ფოტოსურათებიც გადავიღეთ, რაც მაშინ საკმაოდ იშვიათი მოვლენა იყო, შავთეთრი ფოტოაპარატები ჩვენი მეგობრებიდან მხოლოდ ნიკო ლეონიძესა და ავი აბაშიძეს ჰქონდა, მეტს არავის, ისინი კი შორს იყვნენ, ჩვენ არავითარი ზედმეტი ფული არ გვქონდა ფოტოატელიეებში გადაგვეღო სურათები. ბედად სანკტ-პეტერბურგში ჩვენი სტუდენტობის მეგობარი, პრაქტიკაზე მყოფი ფიზიკოსი და უკვე ცნობილი მთამსვლელი შოთა მირიანაშვილი შეგვხვდა, მან გადაგვიღო სურათები სასახლის მოედანთან, ერმიტაჟთან თუ გაყინულ ნევაზე სეირნობისას, რაც დღემდე შორეული წლების ტკბილ მოსაგონრად და ახლა უკვე უსაზღვრო გულისტკივილად დამრჩა.

ჩვენს უამრავ მეგობრულ წასვლა-წამოსვლას არც კურიოზები აკლდა. ერთხელაც მე და ჭულუმ სოჭაში გადავწყვიტეთ ორი-სამი დღით წასვლა. ამ დროს რაიონში წასვლის წინ ჩემთან იყო მოსული მოგვარე და მეგობარი, უბრწყინვალესი პიროვნება, შემდგომში გენერალი იუზა წერეთელი, მაშინ ბაღდათის პოლიციის უფროსი. ლაპარაკში ისიც წამომცდა - იქნებ მოსკოვშიც გავკრათ - მეთქი. მეორე დღეს ღამით მივდიოდით, თან მოვილაპარაკეთ დილაადრიან სოჭაში ჩასვლას ჯობდა ტუაფსესაც გავცნობოდით და

მერე ელექტრომატარებლით დავბრუნებულყავით. ზესტაფონში იუზამ ერთი დიდი ყუთით პურ-მარილი და ათლიტრიანი ბოთლით ოჯახური შავი ალადასტური დაგვანვედრა, ეფიქრა მოსკოვში უეჭველად წავლენო. ჩვენ დიდიდანვე მივიარ-მოვიარეთ ტუაფსე, ბევრი არაფერი აღმოჩნდა სანახავი, ორ საათში დავბრუნდით, ჩვენი ბარგი გამოვიტანეთ შემნახველი საკნიდან და ელექტრომატარებლით წავედით უკან სოჭისკენ. მოხდა ისე, რომ ტუაფსიდან გამოსული მატარებელი გზაში გაჩერდა, რაღაც ავარიულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მარტონი ვიყავით კუპეში, ჩვენი ვაგონი კი ისეთ საოცარ ადგილას იყო გაჩერებული, თითქოს პირდაპირ ლურჯად მოლივლივე ზღვაზე ეკიდა. ამასობაში მოგვშივდა კიდეც, შევუდექით შემწვარი გოჭისა და თხელი იმერული ხაჭაპურების ჭამას, მშვენიერი ღვინოც ვსვით და ვსვით, მოვინდომეთ სოჭაში უბარგოდ გვევლო. როცა ღვინოს სმა გაგვიჭირდა, ერთი ქართველი მგზავრიც მოვიწვიეთ და გაძლიერებული ძალით გავაჩაღეთ ჭიქების ჭახა-ჭუხი.

მატარებელი თითქმის ოთხი საათი ეკიდა ზღვის თავზე. ამასობაში ისე დავთვევით ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით.

ღვინო დავამთავრეთ, სურსათი გამოცილებელს დაუუტოვეთ და სოჩში ჩავედით. ცუდი ამინდი იდგა, წვიმდა. ამან გული აგვიყარა, სასტიკ მთვრალებს სოჩა აღარ მოგვეწონა და იმ დამითვე თბილისისკენ წამოვედი. ნოდარი არ იყო კარგად, მაგრამ როცა სოხუმში

გავჩერდით, მაინც გადაწყვიტა ჩასულიყო. – „ვოვას დავურეკე, უხერხულია რომ არ ჩავიდეო“ და ასევე ნაწვიმარი სოხუმის ბაქანზე დარჩა. ამ დროს მისი მეზობელი და უახლოესი მეგობარი, ასევე ჩვენი მეგობარი ვოვა ცინცაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის სამმართველოში მაღალ პოსტზე მუშაობდა და ნოდარი ხშირად სტუმრობდა მას დროისტარების მიზნით.

ერთხელაც კვლავ სოჩაში წავედით მე, ჭულუ და მისი მეგობარი გაგრიდან ლუდვიგა. ორი დღე კარგად ვისეირნეთ და ვიქიფეთ. მერე მატარებელზე ძლივს ვიშოვეთ ბილეთები და საერთო ვაგონით წამოვედით. ლუდვიგა გაგრაში ჩავიდა. ბახუსისაგან ვერგამოფხიზლებული მე და ჭულუ კი ავძვერით მესამე სკამლოგინზე და ახალგაზრდული უშფოთველი ძილი გავაჩაღეთ. ზემოთ აძრომამდე ჩემი ახალთახალი ინგლისური შავი ფენსაცმელები, რაც დიდი გაჭირვებით მერგო სამსახურში განაწილების გზით, დაბლა დავტოვე. ჭულუმ კი მითხრა ეგ ფენსაცმელები ჯობია თავით დაიდეთ, მაგრამ რატომღაც საჭიროდ არ ჩავთვალე. დილით ავჭალაში გაგვადვიძეს, ჩამოვედით, წყალი უნდა შეგვესხა გამოსაფხიზლებლად, ვეძებე და ვეძებე ჩემი საამაყო ფენსაცმელები, ვერსად მივაგენი, გამოცილებლებსაც დაუძახეთ, მათ განაცხადეს - ჩვენ რა ვქნათ, ღამით მგზავრები ჩავიდნენ და ალბათ, ხელს გააყოლესო. დავრჩი გულშემოყრილი, რა უნდა მექნა, ჭულუ მაყვედრიდა, ხომ ვითხარი, რატომ არ დაიჯერეო. ახლა

გვიანია, ველარაფერს ვიზამთ, რამე უნდა მიშველო, ფენშიშველი ხომ ვერ ჩავალ სადგურში-მეთქი. თანაც მაშინ, როგორც იტყვიან, მართლა ქვეყნის ხალხი მიცნობდა. ჭულუ დატრიალდა, მატარებლის მთელი შემადგენლობა მოიარა, ვერაფერი იშოვა, ბოლოს სამი-ოთხი ნომრით პატარა გაცვეთილი საშინაო ფლოსტებით დაბრუნდა. ასე მივედი ფოსტლებით სახლში, რაც გვარიანად შეიცხადეს. ჩვენ კი მერე, ძალიან დიდი ხნის მანძილზე, ხუმრობითა და სიცილით ვიხსენებდით ხოლმე ამ რატქმა უნდა არატრაგიკულ, მაგრამ საკმაოდ უსიამოვნო შემთხვევას.

დღევანდელი მობილური ტელეფონებით, კომპიუტერის სკაიპებით თუ ელფოსტით კავშირები იმ დროს ფანტასტიკურ ზღაპრადაც კი ვერ წარმოგვედგინა. ჩვენი წასვლა-წამოსვლის, ღარიბული მოგზაურობების, ალპინადებისა თუ პრაქტიკების დროს ძალიან ხშირად მეგობრები წერილებს ვწერდით ერთმანეთს.

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამკვდარი ეპისტოლარული ჟანრი, ერთმანეთს საკმაოდ ვრცელი ბარათებით ვაცნობებდით სად ვიყავით, რას ვაკეთებდით, როგორ ვცხოვრობდით. ამიტომაცაა, რომ ჩემს პირად არქივში უამრავი წერილი მაქვს დაგროვებული, ჯერ მხოლოდ გურამ რჩეულიშვილის წერილების გამოქვეყნება მოვახერხე, წერილები კი იმდენია, რომ შეიძლება ერთი წელიც არ მეყოს მათ წასაკითხად და ძველი ცხოვრების აღსადგენად.

ჩვენ მეგობრებს შორის ყველაზე მოძრავები იყვნენ ჭულუ და ნოდარ ზედელაშვილი. პირველი იმის გამო, რომ მშენებლის პროფესიის გამო ხან გაზიფიკაციაში უხდებოდა კვალიფიცირება, ხან ჰიდროლოგიაში, მეორე კი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოღვაწეობის საბაბით მაშინდელი უზარმაზარი საბჭოთა კავშირის ოლქებსა და ქალაქებში მოგზაურობდა. ორივე საკმაოდ პუნქტუალური და სიტყვაუხვი იყო წერილების წერისას. ჭულუსაგან კივიდან, ოდესიდან თუ მოსკოვიდან ოცდახუთზე მეტი წერილი მაქვს მიღებული, ახლა, როცა დამჭირდა მათი მოძებნა, ჯერჯერობით სამი-ოთხი ცალი ვიპოვე. ეს წერილებია 1959 წელს კივიდან, 1961 წელს კი თბილისიდან მოსკოვში მოწერილი ვრცელი წერილები. იმ პერიოდში ნოდარი გაზიფიკაციის გამო ხანგრძლივ პრაქტიკაზე იმყოფებოდა. წერილები, როგორც ვთქვი, ძალიან გრძელია, ალბათ 12-15 გადაბეჭდილი გვერდი გამოვიდოდა, ამიტომ მომინდა დამახასიათებელი ადგილები უცვლელად გადმოვიწერო, სადაც ჩანს დაუვიწყარი ნოდარ ცხვირავაშვილის მეგობრობაც, ახლობლობაც, სიკეთეც, კულტურაც, იუმორის გრძნობაც.

„ნუგზარ! i ! მოკლედ სუფთა ხახოლი გავხდი. ასე ვკარგავთ ქართველები ქართველობას, როგორც კი ჩვენს მიწას მოვწყდებით, თუმცა აქ უნდა გამოიცადოს ჩვენი ნამდვილი პატრიოტობა. პირველად ვიფიქრე ულვაშებს მოვუმეგებ-მეთქი,

მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ ფეხებზე ჰკიდიათ გინდა ქართველი იყავი, გინდა ვიეტნამელი, ოღონდ მას ნუ დაუშავებ რამეს. თუმცა მოსკოველ გოგონებთან შედარებით ასი თავით მაღლა დგანან, როგორც გარეგნობით, ისე მორალით და პატიოსნებით. ქართველობა აქ ძალიან ცოტაა, ალბათ მაქვთ არ დამთბარა, თორემ ალოღდებოდნენ. აქ კარგი შანსიანი სიცხეებია. მთელი დღეები დნეპრის პლაჟზე ვართ. ნელ-ნელა ვეუფლებით უკრაინულს, ხომ იცი, შეიძლება დაგვჭირდეს. კიდევ გოგონებზე ვწერ, იმიტომ რომ, სადაც არ უნდა ასწიო თავი, ყველგან გეჩვენებინ. აქ უკვე ერთი საინტერესო ამბავი შემემთხვა, მაგრამ ვერიდები გადმოცემას, არ მინდა თქვენს სექსუალურ გრძნობებზე ვიმოქმედო.

ფული აქ ყინულივით დნება. კარგს იზამთ თუ შეასხენებთ მანდაურ ქართველობას უცხოეთში დაკარგულ ბზე, ბოლოს და ბოლოს, რანი ვართ? რეზო ყუფარაძეს უთხარი თუ ჯერ მაყუთი არ გაგიგზავნია, იჩქარე, თორემ შენ თუ არა, შენს კარგებს მაინც მისწვდება-თქო.

ნუგზარ, შენთან ერთი სერიოზული თხოვნა მაქვს, მე მგონი შენც იცი, რომ გალაკტიონის და შალვას (შალვა დადიანს გულისხმობდა ნ.წ.) საფლავზე არ ვყოფილვარ. აქ ერთი ღირსეული ქართველი გავიცანი. მისგან კიდევ უფრო მეტად შევიგნე რა დანაკლისი განვიცადეთ. გთხოვ ჩემს მაგივრად ახვიდე მთაწმინდაზე და პატივი სცე ამ ღიდი ადამიანების ხსოვ-

ნას. თან იქნებ ამ კაცისთვის ადგილი შეარჩიო სადმე კარგ ადგილას. ესეც გამირკვია ქართველია თუ ყვეერი - კარაშვილი. სტალინივით და სერგო ორჯონიკიძესავით ნაფერშლარი კაცია. მგონი უკრაინულიდანაც თარგმნის... მოკლედ, ვნატრობ იქნებ როგორმე დავეხმარო. შენი წერილის მიღებისთანავე ავედი თქვენებთან. მდგომარეობა მოვხაზე ისე, როგორც შენს ღირეტივებში ეწერა. მოკლედ საჭმელ-სასმელი უკვე მოდის, ალბათ ამ წერილზე ადრე იმას მიიღებ. იმ შენი ჟურნალ „ცისკრის“ ცნობამ გამარკვია საბეჭდი მანქანების მთელ საიდუმლოებებში. ყოველ საბეჭდ მანქანას ჰქონია თავისი საკუთარი შრიფტი. რამდენიმე მანქანა გამოვცვალე და როგორც იქნა ერთი დანგრეული მანქანის ასოები მიუდგა ტექსტს - მოკლედ რაც არის ეს არის. საბეჭდი მანქანა ისეთია, რომ მე მგონი „ნინამ“ ჩამოიტანა ბაქოდან...

ჩვენ სასტუმროებიდან გამოყრილი და ვერმოწყობილი პრაქტიკანტები ახლა ნორმალურ საერთო ბინაში ვცხოვრობთ. საღამოს ვიკრიბებით და დეკამერონივით ვყვებით იმ დღის ამბებს. ღლიცინში ხანდახან თავზე გვათენდება ხოლმე - მოკლედ თბილისის გაზიფიკაციის საკითხი წყდება. მე მგონი მთელ ქალაქს ერთ დღეს ავაფეთქებთ, ისეთი ხალხი შეიყარა ამ გაზში. სომხები ხომ ყველგან უნდა შემოგვეტენონ. აქ დაახლოებით ერთი ჩვენოდენი სომხები ჩამოვიდნენ, გაზშიაც გვეცილებიან. მოკლედ გაგვიჭირა ამ ერმა საქმე. ძალიან ბევრი რამის

მოწერა მინდა, მაგრამ ისე დავექლიავდი, ორ სიტყვას ვეღარ ვაბამ. ალბათ საშინელი ქართულით ვწერ. არ გეგონოს რამე ახალი ვისწავლე, რაც ვიცოდი, მგონი ისიც დამავიწყდა. თუ რამე გინდოდეს მომწერე - ... ნუგზარ, წერილს რომ გამოგზავნი, ერთი-ორი შენი ავტოგრაფიანი ლექსი ჩაღვე, შენი სილიადე მხოლოდ შორს შევიგრძენი (რა თქმა უნდა ხუმრობს, ნ.წ.) მოკლედ, ისე ვარ, როგორც ის, ვისაც ეს უთქვამს: „პოეზიის სურნელება მსურს რომ გადმომაყარო“. მომიკითხე მკითხველები. შ. ჩემი გვარი უკრაინულად ნისოვია". 16.06.59. კიევი.

გამოჩენილი პედაგოგის შვილსა და ზედმიწევნით განათლებულ პიროვნებას წერა ძალიან ემარჯვებოდა. ისე მგონი ეს ამბავიც ჩვენ ჩავშალეთ. იმ შორეულ 1957 თუ 58 წლებში კვლავ უკრაინას მიემგზავრებოდა პრაქტიკაზე. ვაცცილებდით მე, ნოდარ ზედელაშვილი, ვოვა ცინცაძე, ტარიელ ჩოგოვიძე, გურამ რუსიშვილი და ვიტალი პეტრიაშვილი. წესისამებრ, გაცილების წინ მაგრად ვიქეიფეთ და მთვრალეები ავედით თბილისის სადგურში. ჭულუს ბარგი ავიტანეთ ვაგონში და მხიარულად მივაშურეთ კუპეს. ამ დროს მან პიჯაკი გაიხადა და გულის ჯიბიდან ჩვეულებრივი სასკოლო რვეული ამოუვარდა. ნოდარ ზედელაშვილმა ხელად აიტაცა და ჭულუს დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად ნაწერის კითხვა დავიწყეთ. აღმოჩნდა საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა, სადაც აღწერილი იყო მისი ერთ-ერთი წასვლა თბილისიდან და უცხო ქალაქში ცხ-

ოვრების პერიპეტიები. ძალიან საინტერესო მოთხრობა იყო რუსულ-ინგლისური გამოთქმებით გაწყობილი, თან საკმაოდ შეიცავდა სასიყვარულო სკაბრეზულ - სექსუალურ მომენტებს, რაც დღეს მეტისმეტად დიდ მოდაშია. ჭულუ ძალიან გაბრაზდა, როგორც მას-სოვს ის რვეული დახია და მერე არავისთვის აღარაფერი უჩვენებია, თავისი უპირველესი მეგობრის ნოდარ ზედელაშვილისთვისაც კი, თორემ ნოდარი ამ კუთხით სიახლეებს არ დაგვიმაღავდა. წერა კი მართლაც მშვენივრად, ორიგინალურად შეეძლო. რამდენიმე საყურადღებო წერილი დაწერა კიდევ, რაც სამეცნიერო-ლიტერატურულ ჟურნალ „სიტყვაში“ გამოქვეყნდა. ამავე ჟურნალში 2011 წელს გამოქვეყნდა წერილი დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის დაბადების დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით. ეს ჟურნალი გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმს გადაეცა შესანახად. მერე ჩვენ ვხუმ-



*სოხუმი, 1982 წ.*

*მარცხნიდან მალხაზ ბაიაძე, გივი წერეთელი, ნუგზარ წერეთელი, ნოდარ ცხვირავაშვილი, ნოდარ უდუმაშვილი*

რობლით ერთმანეთში: შენ იკითხე რა გააკეთე, რა შექმენი, თორემ ჭულუს წერილი გიორგი ლეონიძის მუზეუმში ინახებაო.

არნახული გაჭირვებისა და არეულობის წლებამდე, კეძოდ 1994 წლამდე, ნოდარ ცხვირაგაშვილი ნებისმიერ სამინისტროზე დიდ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქმთავარწყალმშენში“ დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა და დამსახურებული ავტორიტეტითაც სარგებლობდა. 1994 წელს ეს მსხვილი გაერთიანება დაშალეს და ნოდარ ცხვირაგაშვილი, როგორც ერთდირებული, განათლებული და მაღალინტელექტუალური პიროვნება საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ აპარატში იქნა გადმოყვანილი, სადაც ჩვეული წარმატებით გაიარა გზა საქმეთა მმართველის მოადგილიდან „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილემდე. ზუსტად ცხრამეტი წელი იმუშავა ნოდარ ცხვირაგაშვილმა „ცოდნაში“, გააკეთა უამრავი სასარგებლო საქმე, შეიძინა ახლო მეგობრები, საოცრად შეაყვარა თავი ყველას და როგორც უკვე ავლნიშნე, საზოგადოების თანამშრომლებსა და ლექტორებს შორის მართლა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ბუნებით მოძრავსა და დაუდალავს, ნებისმიერ საქმეზე წასვლა არ დაეზარებოდა და საქმეს გააკეთებდა კიდევ. სახლში ყოველთვის ჰყავდა ძაღლი, მისი გასეირნების დროს ხშირად დამრეც ფერდობებს აივლიდა და ფუნქულიორის პლატოზე ადიოდა. ეს

ძალიან ხშირად მეორდებოდა და ჩვენ ისევ ერთმანეთს ვეხუმრებოდით - თქვენ იკითხეთ რომ არ მოძრაობთ, თორემ ჭულუ დღეში ორჯერ-სამჯერ ფეხით ადის ფუნქულიორზე ძაღლთან ერთად და სირბილით ჩამოდისო.

ორწელიწადნახევრის წინ დაეწყო ავადმყოფობა, ერთ ოპერაციას მეორე მოჰყვა, ექიმებს ექიმები სცვლიდნენ, წამლების სათვალავიც კი ერეოდა. ფანტასტიკური მზრუნველობით უვლიდნენ ჭულუს მეუღლე, მისი ერთგული მეგობარი და თანამგრძნობი, დიდი სიყვარულის გამო ოდესიდან გადმოსახლებული ქალი, უვლიდნენ მისი მშვენიერი ქალიშვილები, საყვარელი სიძეები, შვილიშვილები. ის კი ხაზგასმით ვეღარ ვთქვი, რომ ნოდარს ორი ქალიშვილი, სიძეები და შვიდი არაჩვეულებრივი შვილიშვილით დამშვენებული ოჯახი დარჩა. იცოდა ხოლმე თქმა – ღმერთმა ბიჭი არ მარგუნა, სამაგიეროდ ისეთი სიძეები შემახვედრა შვილებისგან ვერ ვარჩევო. მართლაც მისი საამაყო სიძეები, არაჩვეულებრივი ქართველი ბიჭები ლაშა მწარიაშვილი და გელა გოგიშვილი თან ჰყვებოდნენ, არაფერს იმუერებდნენ, სამწუხაროდ განწირული სიცოცხლე რაც შეიძლებოდა გაუხანგრძლივეს, მაგრამ „არ საქნელი არ იქნების“, მაღალი ღმერთი წყვეტს ყველაფერს. ნოდარს ასევე დიდი ამაგი დასდო სიძის დედამ ცნობილმა ექიმმა მზია გოგიშვილმა, ვინაც ამ სამიოდე წლის წინ პირველი ოპერაციის შემდეგ გვითხრა: ახლა უნდა ვილოცოთ, რომ არაფერი განვითარდესო. ლოცვა და ზრუნვა კი ნო-

დარს ველარ შეელოდა, საუბედუროდ საქმე დასასრულისკენ მიდიოდა.

ავადმყოფობა კი პროგრესირებოდა, ის ვაჟკაცურად, წუწუნისა და არაფრის მომტანი ვიშვიშის გარეშე უმკლავდებოდა გაჭირვებას, სამსახურშიაც დადიოდა, კვლავ საქმეებს აგვარებდა, ოღონდ, ხანდახან წუხდა, რომ სისუსტე და ქოშინი აწუხებდა. მხოლოდ ბოლო 5-6 დღე არ მოსულა სამსახურში, სადაც თითქმის ოცი წელიწადი გაატარა და ძალიან უყვარდა ხალხიც, საქმეც, გარემოც. ჩვენ დიდი იმედი გვქონდა, რომ ნოდარი გადაიტანდა ავადმყოფობას, მაგრამ განგება სხვანაირად სჯიდა.

ოც ივლისს, შაბათ დილით ათიოდე დღით მივდიოდი საირმეში. ნოდარ ზედელაშვილს ეთქვა ამის შესახებ. პარასკევს ღამით ათ საათზე დამირეკა: „გავიგე საირმეში მოდიხარ, ძალიან კარგია, ცოტა ცუდი ამინდები დგას

და აუცილებლად თბილი ტანსაცმელი წაილე, არ გაცივდეო“, - აქეთ მარიგებდა ჭკუას. - შენ როგორ ხარ მეთქი რომ ვკითხე, მე არამიშავს, გავუძლებო. ცოტა მოყრუებული ხმა ჰქონდა და ლაპარაკიც უჭირდა, თუმცა სასიკვდილე საფრთხე არ მიგრძენია. შაბათს წავედი და ორშაბათს გარდაიცვალა. როცა ეს საშინელი ამბავი შევიტყვეე, ეტყობა სიმაღლით გამოწვეულ აკლიმატიზაციასთან ერთად მძიმე ნერვიულობამ წნევა ამიწია, ასოთხმოცზე ამივარდა, ექიმმა არავითარი მგზავრობის ნება არ დამართო. სამი დღე ნომერში ვიწექი გაუნძრევლად და უახლოესი მეგობარი ბოლო გზაზე ველარ გავაცილე. ამიტომაც მისი უდროო წასვლიდან ერთი თვის მერე დავწერე ეს პატარა წერილი განუმეორებელ პიროვნებასა და ადამიანზე, ერთ-ერთ ღირსეულ ქართველზე, რომელმაც ისე სამაგალითოდ იცხოვრა, რომ სამუდამო კაცური სახელით დარჩა ამ ქვეყანაზე.

*ნუგზარ წერეთელი*



სსრკ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, თბილისის „დონამოს“ ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს სერგო შუდრას სექტემბრის თვეში დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

ს. შუდრა „დინამოში“ თამაშობდა იმ წლებში, როცა გუნდის კაპიტანი ლეგენდარული ბორის პაიჭაძე იყო, მანამდე კი ის თბილისის „ლოკომოტივში“ გამოდიოდა. 1951 წელს, ასაკის გამო მან „დინამო“

დატოვა და გარდაცვალებამდე (1983წ.), ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროს მასწავლებლად მუშაობდა.

რედაქცია წარმოგიდგენთ მისი შვილის, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორის, ომარ შუდრას მოგონებების წიგნის ფრაგმენტს და სერგო შუდრას მოგონებებს ქართული ფეხბურთის ისტორიაზე.

მამა, სერგო პეტრეს ძე შუდრა საგურამოს მხარიდან იყო. მისი დედა, ლიზა ოქროპირიძე, თბილისში, ჩულურეთის რაიონში დაიბადა. იგი ძალიან ახალგაზრდა გათხოვილა, 16 წლით უფროს პეტრეზე.

პეტრეს კარგი ხელი ჰქონდა და ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ილია წინამძღვრიშვილმა 1903 წელს მიიწვია თავისი სასოფლო-სამეურნეო სკოლის მშენებლობაზე (სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, საგურამოსთან). პეტრეს ერთდროულად, როგორც „სლესარს“ (ზეინკალს), სახელოსნოც ჩააბარეს.

წარმოშობით ის დასავლეთ უკრაინიდან იყო, უფრო ზუსტად კი, ეს ტერიტორია ერთ დროს პოლონეთს ეკუთვნოდა, ამიტომ, არაა გამორიცხული, რომ პეტრეს დედა პოლონელი ყოფილიყო.



**პეტრე შუდრა**

პეტრეს დაბადების მოწმობაში (რომელიც 2009 წელს გადავეცი)

ილია ჭავჭავაძის მუზეუმს), წერია, რომ ის მოინათლა კოველის რაიონში, სოფელ ჩერემონაში. ოჯახური ლეგენდის თანახმად, პეტრეს ილია წინამძღვრიშვილთან რეკომენდაცია ილია ჭავჭავაძემ გაუწია. ეს არაა გამორიცხული, რადგან ი. ჭავჭავაძის დაცვის უფროსი უკრაინელი ყოფილა (მან ქართული ენა იცოდა და სწორედ მისი დამსახურებაა მკვლელების ვინაობის დადგენა).

ლიზამ და პეტრემ სამი ვაჟი აღზარდეს: სერგო, ვახტანგი და ვანო. სერგო უფროსი იყო. მამას ის 13 წლის ასაკიდან ეხმარებოდა: მის მიერ გამოგონებული, კამერებზე გამობმული პურის სამკალი მანქანით საგურამოს რაიონის პურს მკედა. მამის დალუპვის შემდეგ კი, როდესაც ოჯახს გაუჭირდა, იძულებული გახდა ფეხბურთი პროფესიად გაეხადა.

პეტრეს გარდაცვალების შემდეგ ოჯახი თბილისში გადმოვიდა (ლიზას სასოფლო - სამეურნეო სკოლაში ერთი ოთახი დაუტოვეს). თბილისში ჯერ კუკიას რაიონში, შემდეგ კი ფიროსმანის ქუჩაზე, იტალიური ეზოს სარდაფში ცხოვრობდნენ. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი მამამ 1939 წელს დაამთავრა (პირველი გამოშვება).

დედაჩემი, თამარ გაჩეჩილაძე წარმოშობით ზესტაფონელი იყო, მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძის და ლიუდმილა ყიფშიძის შვილი. დიდი, ქვის ორსართულიანი სახლი თბილისის ტრასიდან ზესტაფონის შემოსასვლელთან, იქვე, სასაფლაოსთან ჰქონდათ, მიწის დიდი ნაკვეთით. ახლა ამ

ქუჩაზე ოჯახი ცხოვრობს. მიხეილი განათლებული კაცი იყო, ხასიათით მკაცრი. ბოლოს რკინიგზის დეპოს უფროსი გახდა. დედა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, როცა მამა გარდაეცვალა და თბილისში (ექვსი წლიდან) მამიდა 'ელიჩკასთან', რუსულის მასწავლებელ შინაბერა ქალთან ცხოვრობდა.



*ლიუდმილა გაჩეჩილაძე, რ. მუდრა, თ. გაჩეჩილაძე*

ჩემი ბებია, ლიუდმილა ყიფშიძე ძალიან ლამაზი, იშვიათი კეთილი ხასიათის ქალი, 16 წლის ასაკში გათხოვდა. ლიუდმილას მამა ივლიანე, განათლებული მღვდელი იყო, სოფელ კლდეეთიდან. ლიუდმილამ ოთხი შვილი გააჩინა. ერთი გოგონა ბავშვობაში ლუმელთან დაიწვა, მიშა მერვე მსოფლიო ომში (გეოგრაფიის პროფესორ გეხტმანის საუკეთესო სტუდენტი), სტალინგრადთან უგზო-უკვ-

ლოდ დაიკარგა. მესამე შვილი – ნუნუ (მელვინე-ქიმიკოსი), სასტენდო სროლაში მსოფლიო ჩემპიონის, თამაზ იმნაიშვილის დედა გახდა.

დედაჩემი, თამარი, კი მამაზე სამი წლით უმცროსი იყო. რამდენიმე წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს. დედას მსახიობობის ნიჭი აღმოაჩნდა, ფრიადოსანი სტუდენტი იყო. ბევრი მთხოვნელი ჰყავდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შორის, მაგრამ ბოლოს მამას გაყვა ცოლად. მამას ძალიან უყვარდა დედა, ყოველთვის ზრუნავდა მასზე. იმდენად, რომ ლამაზი, ენერგიული, ნიჭიერი ქალი სამსახურში არ გაუშვა და შინ დიასახლისად დატოვა. დედამ მხოლოდ მცირე ხანს იმუშავა მეცნიერებათა აკადემიაში ცნობილ მეცნიერებთან. შემდეგ, იმ დროს გავრცელებულ ‘ციებით’ დაავადდა და ნახევარი წელი მკურნალობდა. ომის დაწყებისას ის ავლაბრის სომხურ სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენას.



*თამარ მიხეილის ას. გაჩეჩილაძე  
(1949წ.)*

ჩემი დაბადება მამაჩემმა საკმაოდ უჩვეულო ადგილას გაიგო: საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის კაბინეტში, სადაც იგი, როგორც ცნობილი ფეხბურთელი, სამთავრობო დაცვის ხაზით ომის წლებში მორიგეობდა. აილო თუ არა ყურმილი, გაიგონა უცნობი კაცის ყვირილი: ‘ბიჭია, ბიჭია’!! მამა უცებ ვერ მიხვდა ვერაფერს. მერე აუხსნეს, რომ დედას სამშობიაროში ექიმისთვის ქმრის ტელეფონის ნომერი მიუცია.



*სერგო შუდრა*

მამა, მაღალი, კარგი აღნაგობის კაცი იყო, ლამაზი სახით. ბევრჯერ გამიგია ჩემი ამხანაგებისგან, თუ უფროსი თაობისგან: „ქუჩაში რომ ერთად გამოვიდოდნენ, რა ლამაზები იყვნენ”. ერთმანეთში კარგი ურთიერთობა ჰქონდათ

და ყოველ ზაფხულს ერთად ისვენებდნენ ხოლმე. ყველაზე ხშირად ისვენებდნენ ბათუმში, ანაპაში, კისლოვოდსკში, იალტაში, გაგრასა და ლესელიძეში.

ჩემი თავი 3-4 წლიდან მახსოვს, როცა ორჯონიკიძის (ამჟამად თევდორე მღვდლის) ქუჩაზე, „დეზერტირების“ ბაზრის გვერდზე ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდით.

ჩემზე 2 წლით უმცროსი ძმარობერტი (რობა), ძალიან ცელქი იყო. ერთხელ საწოლის მოაჯირს ჩამოეკიდა და არყევდა, შემდეგ ხელი გაუსხლტა, და გათბობის თუჯის ბატარეაზე თავი ისე გაიტეხა, რომ ნაკერი დაადეს. რობა შემდგომ კარგი არქიტექტორი გახდა, დიდხანს მუშაობდა ქ. გაგრის მთავარ არქიტექტორად. თბილისის კინოსტუდიის კორპუსები და ბიჭვინთის ცნობილი მწერალთა („ლიტფონდის“) სანატორიუმი მისი დაპროექტებულია.

1949 წელს შვიდი წლის ვიყავი, როცა ცხენიანი ეტლი ვიჭირავებთ, დავტვირთეთ ავეჯით და მაშინ წყნარი, ლამაზი კლარა ცეტკინის (ამჟამად მიხ.წინამძღვრიშვილის) ქუჩით მივედით №23 სახლამდე. ეს ოროთახიანი, მაგრამ დიდი (80კვმ) ბინა „დინამომ“ მოგვცა. ჩვენამდე აქ ცხოვრობდა ცნობილი ნევროპათოლოგი, სსრკ მეცნ.აკადემიის აკადემიკოსი პეტრე სარაჯიშვილი.

ეზოში ყველაზე პირველად ტელეფონი ჩვენს ოჯახს დაუდგეს და 10-15 წელი მთელი ეზო ამ ტელეფონით სარგებლობდა.

სანამ სკოლაში შემიყვანდნენ,

საბუთები ჯერ რუსულ სკოლაში, პლენხანოვის ქუჩაზე შევიტანეთ. მაშინ ეს მოდაში იყო, რადგან საქართველოში რუსულ ენაზე იყო საქმისწარმოება. იქ უარი გვითხრეს, რადგან აღზრდა ქართული მქონდა, ამიტომ მე-19 ვაჟთა (ახლა 30-ე) სკოლაში მოვხვდი, კიევის ქუჩაზე. აქ დირექტორი სიმკაცრით ცნობილი ლავროსი კალანდაძე იყო (იქვე სკოლის შენობაში ცხოვრობდა). კლასის დამრიგებლად კი ძლიერი, გამოცდილი პედაგოგი თამარ ასათიანი გვყავდა.



ოჯახი ბაკურიანში

7 წლის ვიყავი, როდესაც ოჯახში მოიყვანეს მოსამსახურე, 13 წლის ოსის უპატრონო გოგონა რაისა ბარათოვა ახალგორიდან (ლენინგორიდან). რამდენიმე წელი რაისა ბარათოვა ჩვენთან ცხოვრობდა, მერე სხვაგან გადავიდა სამუშაოდ და „მალიარზე“ გათხოვდა. წერა-კითხვა მას მე ვასწავლე.

8 წლიდან დავიწყე მუსიკალურ

სკოლაში სიარული (ახლა იქ გერმანიის საელჩოა). ფორტეპიანოს მასწავლიდა „მარია ნიკოლაევა“ (არემოვა). კონცერტებზე გამოვსულვარ კონსერვატორიის მცირე დარბაზში (ბეთჰოვენის სადამოზე) და ხელოვნების მუშაკთა სახლში (გლინკას “ივან სუსანინი” ოთხ ხელში). კარგი სმენა მქონდა, ნოტების გარეშეც ვუკრავდი, ამიტომ ჩემს პედაგოგს არ მოეწონა, როცა მუსიკას ფიზიკის ფაკულტეტი ვამჯობინე.



**დედ-მამა**

მესამე კლასში ვიყავი, როცა მამამ ასაკის გამო ფეხბურთს თავი დაანება. ძალიან განიცდიდა, სტადიონზე თითქმის ყოველდღე დადიოდა. იჯდა ცარიელ ტრიბუნებზე და ბევრს ეწეოდა. მუშაობა იქვე დაიწყო, ადმინისტრაცი-

ულ სამუშაოზე

-ში. ერთი წლის შემდეგ კი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მე-საზღვრეთა ფეხბურთელთა გუნდის წვრთნა დაიწყო. ხალისი მიეცა და მიუხედავად იმისა, რომ რუსული უჭირდა, მივლინებით ხშირად დადიოდა ნოვოროსიისკ- ანაპის რაიონებში.

1953 წელს, სტალინი რომ გარდაიცვალა, მე-4 კლასში ვიყავი. ყველა ტიროდა და მეც ვტიროდი. საზარელი იყო 5 წუთიანი გლოვა: ორთქლმავლების, ქარხნების საყვირები, მანქანის სიგნალებთან ერთად.

მე-7 კლასში ვიყავი, როცა ერთი სათავესი გავაჩირავეთ ტექნიკუმის მოსწავლეზე. ძალიან დამაინტერესა მისმა ფიზიკის სახელმძღვანელოებმა რუსულ ენაზე. ასე შემიყვარდა ტექნიკა.



**თანაკლასელები**

ამ პერიოდში მშობლებმა მოიგეს 50 ათასმანეთიანი ობლიგაცია. ეს უმაღლესი მოგება იყო და ძალიან დიდი თანხა (სამი ავტომანქანა „პობელის“ ფასი). მაგრამ, ყოველთვის არაპრაქტიკულმა მშობლებმა მანქანის ყიდვას მოსკოვში სასტუმრო „უკრაინის“

ლუქსში, “მეფური” ცხოვრება ამჯობინეს... მოსკოვიდან კი მხოლოდ ავეჯი და ნათესავებისთვის საჩუქრები ჩამოიტანეს.

1959 წელს სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე გამოცდები ჩავაბარე.

### **სერგო შუდრას მოგონებები:**

#### **საიდან გაჩნდა „ლოკომოტივი“**

1933 წელს თბილისში სახელი გაითქვეს კალინინის სახელობის ქარხნის გუნდმა (მის რიგებში გამოდიოდნენ ტყავის ბურთის შესანიშნავი ოსტატები მიხეილ იაშვანიანი, ედუარდ ნიკოლაიშვილი, ივანე ჩერედიჩენკო, ანტონ გონელი, მიხეილ მაჩაბელი) და ეგრეთ წოდებული „ტსპო“-ს ფეხბურთელებმა, ქალაქის პირველობათა დასკვნითი მატჩების მუდმივი მონაწილენი სწორედ ეს გუნდები იყვნენ, შემდეგ „ტსპო“ მთლიანად „ლოკომოტივის“ საუწყებო გუნდად იქცა და ამ სახელითვე მოინათლა. ეს სწორედ ის „ლოკომოტივია“, ომამდელი დროის თბილისის „ლოკომოტივი“, რომელიც ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კოლექტივთა შორის ადგილობრივ დინამოელთა მხარდამხარ გამოდიოდა ოცდაათიან წლებში. გუნდი გამოირჩეოდა კოლექტიური თამაშით. მის ბირთვის შეადგენდნენ ძმები ნესტორ და შალვა ჩხატარაშვილები, ბ. ვორონოვი, გ. ჭუმ-

ბურიძე, გ. ჯეჯელავა, ს. სიხარულიძე, გ. გაფრინდაშვილი.

### **„ბურთი ჩემია“**

ახლაც კი, როცა გუნდები „მოთელვაზე“ გამოდიან, გულგრილად ვერ ვუტყერ მოედანზე ბურთების სიმრავლეს. ადრე ხომ მოთელვას და თვით თამაშსაც გუნდები, ხშირად ერთადერთი და ისიც თვითნაკეთი ბურთით ატარებდნენ. ამბავი, რომელიც უნდა გიამბოთ სწორედ ზემოხსენებულ კალინინის ქარხნისა და „ტსპო“-ს შორის კალენდარული მატჩის დროს მოხდა.

უხეში თამაშისათვის მსაჯმა ნიკოლოზ ლარიონოვმა გუნდის კაპიტანი მ. იაშვანიანი მოედნიდან გააძევა. მიშამ დაუყოვნებლივ დაავლო ხელი ბურთს და მოუსვა. თამაში შეწყდა. რას ვიზამდით?

– ბურთი ჩემია, განაცხადა „პატრონმა“ – მათამაშეთ და სიამოვნებით, ლამის დაუწოქეთ მსაჯს. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მიშა დააბრუნეს მოედანზე და თამაშიც განახლდა.

### **მსაჯის პატიოსნება**

...1938 წელს თბილისის „ლოკომოტივმა“, რომელიც „ა“ კლასის გუნდებს შორის გამოდიოდა საკავშირო პირველობაზე, მოსკოვში გამართა კალენდარული მატჩი იმდროინდელ ცდკსთან. თამაშს სჯიდა ხარკოველი შელჩკოვი. „ლოკომოტივის“ მეკარის მოედანზე კრიტიკული მომენტი შეიქმნა, შელჩკოვი ვერ გაერკვა ვითარებაში და

ბურთი, რომელიც კარის ხაზზე შევარ-  
ერე, გატანილად ჩათვალა. თამაში წა-  
აგეთ – 0:1. მეორე დღეს ფიზიკულ-  
ტურის საკავშირო კომიტეტმა ხარკ-  
ოვში გამგზავრებული შელჩკოვისაგან  
ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო: „თბი-  
ლისელთა კარში გოლი არ იყო. გთხ-  
ოვთ გააუქმეთ მატჩის შედეგი. შელ-  
ჩკოვი“.

სიხარულისაგან ცას ვეწიეთ, –  
მატჩი გადათამაშდება.

და აი, გუშინდელი მეტოქეები კვ-  
ლავ ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ.  
წარსულში სახელმგანთქმულ ფორ-  
ვარდს გრიგოლ ფედოტოვს პირადი  
მეთვალყურე მ. ჭელიძე მიუჩინეთ, ჩვე-  
ნი მცველი გრიშას ზედ ფეხზე „აჯდა“  
და ამოსუნთქვის საშუალება არ მის-  
ცა. მაგრამ ფედოტოვი რის ფედოტ-  
ოვია! მან მაინც მოახერხა... თავით ორი  
ბურთის გატანა ჩვენს კარში.

### აკიმოვის თილისმა

ხშირად სპორტსმენები, მეტადრე  
მეკარეები ცრუმორწმუნე ქალიშვილებს  
მოგვაგონებენ, „თილისმისა სჯერათ“,  
წარმოიდგინეთ ზოგ შემთხვევაში იგი  
„უმართლებთ“ კიდევ მათ. ამასწინათ  
ლ. იაშინმა პრესის ფურცლებზეც კი  
განაცხადა, რომ მას აქვს ‘თილისმა’ –  
ქუდი, ურომლისოდაც იგი საერთოდ  
არ გამოდის თამაშზე.

შემჩნეული მქონდა, რომ მოსკოვის  
„დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე  
ტორპედოელთა მეკარე აკიმოვი  
მოთელვაზე ყოველთვის პირველი გა-  
დიოდა და, როგორც წესი, აღმოსავ-

ლეთ კარს „იკავებდა“. გადავწყვიტე  
მისთვის ნირი წამეხდინა და გუნდის  
კაპიტანს გაიოზ ჯეჯელავას ვთხოვე  
დავასწროთ ტორპედოელებს მოთელ-  
ვაზე გასვლა-თქო. ასეც მოვიქცით.  
როცა ანატოლს „თავისი“ კარი დაკავე-  
ბული დახვდა, სახე მოეღრიცა და მე-  
ორე კარის ნაცვლად მოედნის შუაგულ-  
ში დადგა, მისი თავდამსხმელები კი  
ნამდვილი კარის ნაცვლად „იმიტირე-  
ბულ“ გოლში ურტყამდნენ.

თილისმამ ძალა „დაჰკარგა“, ეს  
თამაში თბილისელთა გამარჯვებით  
დამთავრდა.

### რომ დაღამდება...

1936 წლის მაისის ბოლოს თბილი-  
სის „ლოკომოტივი“ ლენინგრადს  
ეწვია. თითქმის მთელი შემადგენლობა  
პირველად იყო ნევისპირა ქალაქში.  
გადავწყვიტეთ დაგვეთვალიერებინა მისი  
ღირსშესანიშნაობანი. სასეირნოდ რომ  
მივდიოდით, გუნდის კაპიტანმა შ. ჩხა-  
ტარაშვილმა გვითხრა, – დაბინდები-  
სთანავე სასტუმროში გამოცხადდით,  
ადრე დავიძინოთო.

დრომ შეუმჩნევლად განვლო. მალე  
დაღლილობა ვიგრძენით, მაგრამ სახ-  
ლში წასვლა არცერთ ჩვენგანს არ  
უფიქრია, რადგან ისევ დღისული იყო.  
ბოლოს საათი ვიკითხეთ და რა დიდი  
იყო ჩვენი გაკვირება, როცა გვითხრეს  
– უკვე შუალამე გადავიდაო. გავემართეთ  
სასტუმროსაკენ, მაგრამ ნევას ვერ  
გავცილდით – ხიდები აყვარათ და შინ  
მეორე დილას მივედით.

...ასე ვეზიარეთ ლენინგრადის  
„თეთრ ღამეებს“.